# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 5 აპრილი 2004 №75 (2094) ფასი 50 თეთრი

## თბილისმა მართლა ძიუდო გაიხსენა

*ლამაზად ჩაიარა თბილისის ტრადიციულმა ძიუდოს ტურნირმა. ლამაზად და შედეგიანადაც, ოლონდ შედეგი სულ სხვა მხრიდან გამოჩნდა. საქართველოს ძიუდოისტთა თითქმის მთლიანად დაკომპლექტებულ ოლიმპიურ ნაკრებს 81 კილოგრამშიღა აკლდა ლიცენზიანტი და გუშინ ამ ვაკანტურ წონასაც გამოუჩნდა ფალავანი — გრიგოლ მამრიკიშვილს ნახევარფინალში სეხნია შინჯიკაშვილისთვის, როგორც უკეთესი შანსის მქონესთვის მუხლი რომ მოეხარა, ეს უკანასკნელი ფინალში გავიდოდა და ათენში ფანჯარასაც გაჭრიდა, თუმცა მამრიკიშვილმა ნახევარფინალში შინჯიკაშვილსაც სძლია, ფინალში 33 წამში ბეჭებზე გააკრა უკრაინელი რომან გონტიუკი და თავად და სამართლიანადაც მოიპოვა თანამედროვე ცივილიზაციის პირველ დედაქალაქში ჭიდაობის უფლება.*

### იმედი სირცხვილს ნაჩვევი საქართველოსთვის

გუშინწინ და გუშინ ჭაბუკმა ქართველმა კალათბურთელებმა ხორვატიაში ფინეთი და ლატვია უდაძაბულეს ბრძოლებში დაამარცხეს და თითქმის გაინაღდეს ევროპის ჩემპიონატზე თამაში



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გრიგოლ მამრიკიშვილმა ფინალში უკრაინელი რომან გონტიუკი დასცა და თავი ათენში დაიგულა

## მსაჯი თვითმფრინავში, სიონი ცხრილის თავში

*თბილისის „დინამო“ თამაშის გადარჩენას და ორი ბურთის ამოქაჩვას ნაჩვევი არაა, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე წარმტაც მატჩში ეს „თბილისთან“ მოუწია, თუმც მეორე ეტაპზე შუშაკელებს ჯერაც არ მოუგიათ და ლიდერობაც ბოლნისის „სიონმა“ ჩამოართვა — ქვემო ქართლი მძვინვარებს, „თბილისი“ თავს იწონებს, „ვიტ ჯორჯია“ ილვიძებს — ახლა ჯერი „დინამოზეა“...*



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გიორგი შენგელიამ „სიონი“ გაალიდერა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

მანჰაიმში სანკრებო პენალტის გამტანმა დინამოელმა გიორგი ნემსაძემ „თბილისსაც“ იგივე დამართა

# ბოსკამპი საქართველოში ველოსიპედით მოდის

*ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საბოლოო სიტყვას ელის და ერთ კვირაში, ნაღდგომევს, თბილისში ჩამოვა, ახალგაზრდულ ნაკრებს ჩაიბარებს, მოგვიანებით კი ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელადაც დაინიშნება.*

*ფედერაციის ზარამდე კი ბოსკმპი ოპერაციისშემდგომ სარეაბილიტაციო კურსს გადის — ველოსიპედით სუფთა ჰაერზე დასეირნობს*



ბაჩანა კოპალიანის ფოტო

— ფეხბურთის ფედერაციიდან ორშაბათს უნდა დამიკავშირდნენ და საქართველოში ჩემი მომავალი საქმიანობის კონკრეტული დეტალები შემითანხმონ — გვითხრა იოჰან ბოსკამპა — არანაირი პრობლემა არ არის. მე მსურს, თანაც ძალიან მსურს საქართველოში დაბრუნება. ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ეს იცის, მას გერმანიაში შევხვდი, ვესაუბრე და ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობაზე დავთანხმდი.

— გუნდზე არ გისაუბრიათ?

— დიახ, ამაზეც ვისაუბრეთ, თუმც ჯერ თავადაც არ ვიცი, რომელ გუნდში მომიწევს ნაკრების პარალელურად მუშაობა.

— **თბილისში როდის ჩამოხვალთ?**

— ალბათ, ნაალდგომევს, თუმც შესაძლოა, იქამდეც წამოვიდე. ორშაბათს დამირეკავენ და ზუსტად მეტყვიან, როდის ჩამოვიდე.

— **მარტო მოდიხართ?**

— შესაძლოა, ფიზმომზადების მწვრთნელიც წამოვიყვანო. ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

— **მანჰაიმში საქართველოს ნაკრების თამაშს დაესწარით. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ ქართველებზე?**

— ვერაფერს გეტყვით. ნაკრების თამაშის გარჩევა მწვრთნელის საქმეა. ჟირესის ნაცვლად ვერ ვილაპარაკებ.

— **მაგრამ ითანამშრომლებთ...**

— რა თქმა უნდა, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ეროვნულ გუნდის თავკაცის იდეები უნდა გაითვალისწინოს და გაიზიაროს. ჩემთვის ძალიან საინტერესო საქმე იქნება ახალგაზრდებთან მუშაობა და ბედნიერი ვიქნები, ბოსკამპთან დაწინაურებული ჭაბუკები ეროვნულ გუნდს თუ გამოადგებიან. საქართველოში უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელია, მათ ფეხბურთის სათამაშოდ სწორი მიმართულება უნდა მივცეთ.

**კობა ინასარიძე**

# დარასელიას კუთხურმა შინიკთან შეუხვია



*როლან კურბისმა თავის ახირებას უღალატა და ვიტალი დარასელია მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში შესწია. შედეგიც ლოგიკური მიიღო. ვიტალი ალანიელთაგან საუკეთესო იყო და პირველი გოლიც გაიტანა, თანაც როგორი: „შინიკი“ კუთხურიდან დაამწუხრა. მართალია, ეს გოლი თავიდან პაგაევს ჩაუთვალეს, მაგრამ ვიდეომ ცხადყო, რომ ბურთს არავინ შეხებია...*

— კუთხურიდან ჩავახვიე, გოლი თავიდან პაგაევს მიაწერეს, მაგრამ შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ბურთი კარში ჩემი მოჭრილი დარტყმით გავიდა.

— **კურბისმა ისევ მარჯვნივ გათამაშა?**

— როგორც იქნა, ცენტრში შემწია და კარგადაც ვითამაშე. მატჩის შემდეგ კურბისმა მითხრა, საუკეთესო იყავიო. მე კი გულში ვფიქრობდი, ადრეც ცენტრში გეთამაშებინე-მეთქი. თუმცა მაინც სასიამოვნოა, როდესაც მთელი გუნდის გასაგონად გაქებს მთავარი მწვრთნელი.

— **რატომღა შეგცვალა?**

— იაროსლავლში მინდორი ატალახებული დაგვხვდა, მოძრაობა ძალიან ჭირდა. ბოლოს დავიქანცე და შეცვლაც ამის ბრალია.

— **გვაზავამ როგორ ითამაშა?**

— ძალიან კარგად. კურბისმა თამაშის შემდეგ ასეთი რამ თქვა — ორი ქართველი, ორი მებრძოლიო.

— **ალბათ ნაკრებში შენი თამაშითაც დაინტერესდებოდა...**

— სანამ გერმანიაში წავიდოდი, მითხრა, რომ ჩამოხვალ, აუცილებლად გათამაშებო. მერე, ცხადია, გაიგო, რომ 90 წუთი ვითამაშე და საგოლე პასიც გავაკეთე. მითხრა, გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან 2:2 კარგი შედეგია, ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავთო.

— **შენ რაღას იტყვი გერმანელ ახალგაზრდებზე?**

— სერიოზული გუნდია, დიდი უპირატესობა ჰქონდათ. იცი, რამდენი ირბინეს... ყველაფერს გააზრებულად აკეთებდნენ.

— **ნაკრებში რა პოზიციაზე ითამაშე?**

— საყრდენი იყო ნემსაძე, მე და ჯამარაული მარცხნივ და ცენტრში ადგილებს ვცვლიდით.

— **ისევ „ალანიას“ დავუბრუნდეთ. „შინიკთან“ მატჩის შემდეგ თავი ძირითადის მოთამაშედ იგრძენი?**

— მწვრთნელი კურბისია და რას როგორ იზამს, ღმერთმა უწყის, თუმც ამდენი საქებარი სიტყვის შემდეგ არა მგონია, ძირითადში ადგილი აღარ მანდოს.

**დავით ერაძე**

**იტალია**
სერია A. XXVIII ტური
ინტერი 3:2 იუვენტუსი

**ესპანეთი**
პრიმერადივიზიონი. XXXI ტური
ვალენსია 2:0 მურსია

**პორტუგალია**
სუპერლიგა. XXIX ტური
ბრაგა 2:3 სპორტინგი

**საფრანგეთი**
I დივიზიონი. XXXI ტური
გენგამი 2:2 ოსერი

*მანჰაიმური გერმანია—საქართველოს შემდეგ ჩვენი ნაკრების მოთამაშეთა უმეტესობამ მოსკოვის „დინამოს“ მცველი ოთარ ხიზანეიშვილი გამოარჩია. ეს იმით უფრო საგულისხმო, რომ ოთარს სათამაშო ფორმა არც მოსკოვური კლუბის მეორე გუნდში დაუკარგავს და იქნებ მალე „დინამოს“ ჩეხი მწვრთნელის გჟებიკის ნდობაც დაიმსახუროს. ამის იმედზეა თავად ხიზანეიშვილიც*

# ხიზანეიშვილი გჟებიკს ენდობა



— **სანაკრებო მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილხარ...**

— იმის გათვალისწინებით, რა დღეშიც შემადგენლობის გამო ვიყავით ჩავარდნილი, მგონი, მაქსიმუმი გამოვწურეთ. რაც შეეხება ჩემს კარგ თამაშს, ვერაფერს ვიტყვი, როგორც ყველამ, მეც მოვინდომე — ნაკრებში თამაში ძალიან მომნატრებია.

— **შენი აზრი ჟირესის შესახებ...**

— საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ყველასთან ნორმალური, საქმიანი ურთიერთობა დაიჭირა. პირველი თამაში ნებისმიერი რანგის მწვრთნელისთვის რთულია და, ვფიქრობ, მან კარგად გაართვა თავი საქმეს. არაოპტიმალური შემადგენლობის გამო ნაკრებმა თავისი საუკეთესო თამაში ვერ აჩვენა, მაგრამ შედეგი ნორმალურია. თანაც გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები ძალიან მაგარი გუნდია. ახალგაზრდები და ასეთი ჯანიანები, მე არ მინახავს.

— **კლუბში ალბათ დაინტერესდნენ შენი თამაშით?**

— გჟებიკი მელაპარაკა. გამომკითხა, როგორი თამაში იყო, რომელ პოზიციაზე ვითამაშე...

— **ადრე არაერთხელ გითქვამს, რომ გჟებიკი კარგი თვალით გიყურებს, მაშ, უთამაშებლობას რით ახსნი?**

— ამაზეც ვილაპარაკეთ. ამ ეტაპზე სამდურავი ბევრიც არაფერი მაქვს. შეკრებაზე რეგულარულად მათამაშებდა, ფაქტობრივად, ძირითადისთვის მამზადებდა და ეს თვალის პრობლემა გამოხტა. სამი კვირა ხეირიანად არ მივარჯიშია და ფორმიდან ამოვვარდი. ნელ-ნელა კი შევდივარ ფორმაში, მაგრამ ეს ის არაა, მე რომ მინდა, გჟებიკმაც ეგ მითხრა, ჯერ კიდევ სუსტად ხარ, მაგრამ შენი დროც მალე დადგებაო. მეც ვგრძნობ, რომ მალე ოპტიმალურ ფორმაში ვიქნები.

— **ესე იგი, გულნატკენი არ ხარ?**

— გულნატკენი არა, მაგრამ რა ვქნა, თამაში მინდა. მეორე გუნდში რეგულარულად კი ვთამაშობ, მაგრამ ეს სხვაა. თუმცა მეორე გუნდის მატჩებს გჟებიკი არ აცდენს.

— **„დინამო“ ახლა ცხრილის სათავეშია, ჩემპიონობას ხომ არ ითხოვენ?**

— მადა ჭამაში მოდისო და, ჩემპიონები თუ ვერ გავხდით, სამეულში მაინც უნდა მოვხვდეთო. თუ ასე გააგრძელეს, რა იცი, რა ხდება.

— **ოჯახი ჯერაც თბილისში გყავს, ბინა არ მოუციათ?**

— როგორ არა, კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა პირობა შემისრულეს. ოჯახიც მიმყავდა, მაგრამ ბავშვი საზღვარზე არ გაგვაყვანინეს. ამიტომ მეუღლესაც უკან გაბრუნება მოუხდა. თუმცა ეგებ ასეც ჯობს, მოსკოვში ახლა მინუს ათი გრადუსი და საშინელი ამინდია.

**დავით ერაძე**

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### არხი და ხვალის თამაში

ეს ბოლო ხანია, ჩემს ტელევიზორს შემოეჩვია ერთი სპორტული არხი, რომელსაც უბრალოდ და უპრეტენზიოდ „სპორტი“ ჰქვია. ჩემი ანგარიშით, პაკისტანური არხი უნდა იყოს (თუ მაინცდამაინც ინდური). აქ პაკისტან-ინდოეთის ისტორიულ საკრიკეტო ტესტს გადმოსცემენ და ზუსტად ისე ლაპარაკობენ ინგლისურად, როგორც პაკისტანელების ლაპარაკი გამიგონია სადღაც ქუჩაში.

შაბათს ამ არხზე ფეხბურთიც იყო (არის ხოლმე ფეხბურთი). თანაც სანაკრებო. ერთმანეთს ხვდებოდნენ პაკისტანი და შრი-ლანკა. ამსიგრძე თამაში იშვიათად მინახავს, პენალტებით მოიგო პაკისტანმა. თამაში სახალისოდ და სასიხარულოდ საცქერი იყო — დაახლოებით ასე თამაშობენ ფეხბურთს ჩვენი ჩემპიონატის ქვედა ექვსეულში და პირველი ლიგის ზედა ექვსეულში. გამიხარდა, რომ ასე ვჯობივართ და ჩვენმა საშუალო კლუბმა შეიძლება დაამარცხოს რომელიმე აზიური ნაკრები.

ჩვენს საკლუბო ფეხბურთში კი არის ხელჩასაჭიდი რამეები, ვთქვათ, ის, რაც ახლა ხდება, რომ ამ ქარში და ყინვაში ბოლნისელმა გიორგი შენგელიამ საუცხოო გოლი გაიტანა ვაკის სტადიონზე, „სიონი“ კი ლიდერი შეიქნა. მე არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს ბოლნისელთა ლიდერობა, მაგრამ ამ ქალაქში მერამდენე წელიწადია, ნაღდად დაგორავს ბურთი. პატარა ფეხბურთია, მაგრამ ნამდვილი ფეხბურთი. ამ ამბავში კარგი კიდევ ის არის, რომ „სიონს“ არ დასტყობია ბოლო დროის პოლიტიკური ცვლილებები: რახან გვეგონა, რომ გუნდის ლონიერი უფროსობის წასვლა განწყობასაც დასცემდა და ჯიბესაც გაათხელებდა, რაც ჩვეული ამბავია ხოლმე საქართველოში. ასე კი არ მოხდა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ფეხბურთი ბოლნისში სამუდამოდაა დაბუდებული.

ეს პაკისტანი და ბოლნისი ერთად მარტო იმიტომ არ გამახსენებია, რომ ეს უქმეებზე მოხდა. იმ აზიურ თამაშს რომ შევხედე, მივხვდი, რომ პაკი და ლანკელი ბიჭები ზუსტად ისე თამაშობენ ფეხბურთს, როგორც შეუძლიათ. მეტი ეგებ ოდესმე ისწავლონ, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ ისინი თვალმისაწვდენ დროში სადმე მოხვდნენ. იმათი ქართულ ფეხბურთთან შედარება სრული უაზრობაა, ოღონდაც, საანგარიშოა, რომ ქართულ ფეხბურთს ხშირად სულ ნულიდან უწევს ხოლმე დაწყება. აი, ახლაც, ნაკრები ნულიდან იწყებს. ანდა, არის ხოლმე გუნდი, რომელიც ერთხანს კარგია და მერე ისე განადგურდება, თითქოს არც ყოფილაო. ვთქვათ, ჩვენი საყვარელი და კოლორიტული „გურია“. ჰოდა, იმის თქმა მინდა, რომ ბოლნისში ასე არ არის. ამას თუ მოჰყვა განვითარება, საქმეც ეს იქნება. პატარა ფეხბურთი ლამაზია, ძალიან მიმზიდველი და ჯიგრიანი, მაგრამ მიზანი ხომ დიდი ფეხბურთი უნდა იყოს?!

ჰოდა, ასე: პაკისტანი და შრი-ლანკა კი თამაშობენ თავის საწვალებელს, მაგრამ მთავარია, იცოდე, რომ ხვალ უკეთ უნდა ითამაშო.

საქართველოს 15 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
# 3 ტური

# ივო შუშაკი: თერთმეტმეტრიანი თვითმფრინავიდანაც გამოჩნდებოდა
# გიორგი დევდარიანი: ჩვენი გოლები ქარმა წაიღო


უკმაყოფილონი: ივო შუშაკი ...


... და გიორგი დევდარიანი

თბილისი. 3 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 600 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:2 თბილისი

0:1 ოდიკაძე (23), 0:2 მესხი (31), 1:2 ნემსაძე (54პ), 2:2 ახალაია (62)

| | |
|---|---|
| დინამო: გვარამაძე, კარლოსი, შაშიაშვილი, წერეთელი, სილაგაძე, კვირკველია, გოგობერიშვილი, გ. ნემსაძე (კანდელაკი 72), ანჩაბაძე, ახალაია, მელქაძე (მ. ბობოხიძე 46) *სათადარიგონი:* თოთლაძე; კაშია, ქოქიაშვილი, რომერო, კაკალაძე მწვრთნელი: ივო შუშაკი | თბილისი: გრიშიკაშვილი, მიკუჩაძე (გ. ნოდ. ჭელიძე 11), გ. კვარაცხელია, ხოჯავა, ქემოკლიძე, ელიავა (სიდამონიძე 53), გ. ნუგ. ჭელიძე (ჯიქია 72), დ. ოდიკაძე, მესხი, აფციაური, ფიფია *სათადარიგონი:* ნაჭყებია; გეწაძე, მიქიაშვილი, გოგიტა გოგუა მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი |

გაფრთხილება: კვარაცხელია (53), წერეთელი (64)

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი


მიხეილ მესხი (№6 მარცხნივ), დარტყმა არის! მეორე გოლი „დინამოს“ კარში

### დავით ერაძე

**ვინც** აპრილის მოულოდნელ სუსხს არ შეეპუა და „ეროვნულზე“ მივიდა, მატჩით ნამდვილად ისიამოვნებდა. ჩვენი ფეხბურთის კვალობაზე უჩვეულოდ სწრაფ, გააზრებულ და დაძაბულ თამაშს საკადრისი ოდენობის მაყურებელიღა აკლდა, ის მაყურებელი, რომელიც სიცივემ თუ შეაშინა...

ფეხბურთელებმა, თითქოს ალენ ჟირესის სიტყვები ისმინესო, ბურთი მართლაც წინ და სწრაფად აგორეს. თუმცა სისწრაფეში ტექნიკური წუნიც მრავლად იყო. მატჩის დებიუტი „თბილისს“ დარჩა, თუმც გუნდმა მე-10 წუთზე გვარიანი ზარალი ნახა: მიკუჩაძეს ფეხი გადაუბრუნდა და შესაცვლელი შეიქნა.

პირველი საგოლე მომენტი დინამოელებმა შექმნეს, კვირკველიას ფლანგური გარღვევა, პასი და... უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ანჩაბაძემ ბურთი ვერ მოარჯულა. მომდევნო, „თბილისის“ შეტევა კი საგოლე აღმოჩნდა. აფციაურის რეიდს წინ არც ერთი დინამოელი არ აღუდგა, მანაც დარტყმა მოახერხა, ბურთი რამდენიმე დინამოელში გაიხლართა და მარტოდ მდგომ ოდიკაძეს მიუვიდა, მას კი გოლის გატანა არ გასჭირვებია. „თბილისმა“ იგრძნო, რომ მეტოქის უკანა ხაზი აირია და თამამად შეუტია. 30-ე წუთზე ოდიკაძის გარღვევის შემდეგ პასი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ მიიღო, თუმც დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა. 31-ე წუთზე „თბილისმა“ კუთხური მოაწოდა, ეს ხოჯავამ გააკეთა. მან შორეულ ძელთან მარტოდ მდგომი მესხი მონახა, ისე, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყო — მესხმაც იოლად გაიტანა. ასეთი სუსტი დინამოელთა დაცვა დიდი ხანია, არავის უნახავს.

თამაშის განახლებისთანავე ცხადი გახდა, რომ „დინამო“ ვითარებას შეცვლიდა. კვირკველიას ჯარიმა გრიშიკაშვილმა კუთხურზე მოიგერია, 49-ე წუთზე ნემსაძის შორეული დარტყმა მცირედით ასცდა მიზანს. 53-ზე ისევ ნემსაძემ იაქტიურა, ბურთი ცენტრიდან მეტოქის საჯარიმომდე მიიტანა და სამი მეტოქის გარემოცვაში მყოფმა ბობოხიძე მაინც გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე. ფორვარდის დარტყმა კვარაცხელიამ ხელით შეაჩერა... მსაჯმა მაისურაძემ პენალტი უყოყმანოდ კი დანიშნა, მაგრამ დინამოელ სათადარიგოთა სკამი წამოიშალა — პენალტთან ერთად კვარაცხელიას გაძევებას ელოდნენ. აკი თქვა კიდეც მატჩის შემდგომ შუშაკმა: ნებისმიერი ევროპელი მსაჯი საჯარიმოში ხელით თამაშისთვის ფეხბურთელს წითელ ბარათს აუცილებლად აუფრიალებდაო.

პენალტი ნემსაძემ ზუსტად დაარტყა, გრიშიკაშვილმა კუთხე კი გამოიცნო, მაგრამ ბურთს ველარ მისწვდა. დინამოელთა მეორე გოლზე კი კარგი სანახავიც ითქმის:. ანჩაბაძემ კუთხურისას ბურთი გოგობერიშვილთან გაათამაშა, ალეკომ ახლო ძელთან ჩააწოდა, დასწრებაზე კი ახალაიამ საუცხოოდ ითამაშა — 2:2. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა და ეფექტურიც იმიტომ იყო.

„თბილისი“ მოვლენების ასეთ განვითარებას არ ელოდა, დაიბნა და კინალამ დაისაჯა კიდეც. 66-ე წუთზე ბობოხიძემ ანჩაბაძე გრიშიკაშვილს შეატოვა, დინამოელთა პლეიმეიკერმა მეკარისთვის ბურთის თავზე გადაეგდება მოინდომა, მაგრამ...

„თბილისი“ 79-ე წუთზე მოუგო გონს, ჯერ ოდიკაძის სახიფათო ჯარიმა კუთხურზე მოიგერია გვარამაძემ, შემდეგ კი ფიფია ვერ მისწვდა კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს. დინამოელთა საპასუხო შეტევაც საგოლე იყო. გოგობერიშვილ-კარლოს-ბობოხიძის სწრაფი სამკუთხედი ბობოხიძის დარტყმით დასრულდა. გრიშიკაშვილმა თავისიანები იხსნა. 86-ე წუთზე კი მატჩის ყველაზე საკამათო ეპიზოდი იყო. ახალაიამ სიდამონიძეს პოზიციური ბრძოლა მოუგო, საჯარიმოში შეიჭრა და დასარტყმელად მომზადებული დაეცა. აშკარა იყო, მაისურაძე ზედმეტ გართულებებს მოერიდა და წესების დარღვევა არ დააფიქსირა. ამ ეპიზოდმა მატჩის შემდეგ შუშაკის ასეთი კომენტარი დაიმსახურა: „წესების დარღვევა იმდენად აშკარა იყო, რომ ის თვითმფრინავიდანაც გამოჩნდებოდა, მაპატიეთ, მსაჯზე საუბარი საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ დღეს ჩემს პრინციპს ვულალატე და ვაცხადებ, რომ მსაჯი ორჯერ შეცდა“.

ახალაიას წაქცევის შემდეგ საინტერესო ისღა მოხდა, რომ შუშაკი გასახდელისკენ ისე გაემართა, ჩვეული რიტუალი არ შეუსრულებია — მსაჯისთვის ხელი არ ჩამოურთმევია.

*გიორგი დევდარიანი:* გახსნილი თამაში იყო. ვიცოდი, „დინამო“ დაცვით ტაქტიკას არ აირჩევდა და შემოგვიტევდა. ამით ჩვენ უნდა გვესარგებლა და სისწრაფის ხარჯზე გვეხეირა. ჩემმა გუნდმა დავალებას ნაწილობრივ გაართვა თავი. შედეგი ლოგიკურია, თუმცა სამწუხარო, 2:0 ვერ შევინარჩუნეთ. ეს ჩემს შეცდომებზეც მიუთითებს, ვინაიდან დიდი უპირატესობა ქარს გავატანეთ. როგორც ჩანს, ადრე ვირწმუნეთ გამარჯვება, შევატყვე, შესვენებაზე გასახდელში ის მობილიზება აღარ იყო. ახალგაზრდებისთვის ეს კარგი გაკვეთილი იქნება. ჩვენი მომავალი შეხვედრა უკეთესი ხარისხის მინდორზე ჩატარდება და სანახაობრივადაც, ალბათ, უკეთესი იქნება, თუმც ვფიქრობ, მაყურებელი დღესაც ისიამოვნებდა.

*ივო შუშაკი:* დღევანდელი თამაშის მნახველს თამამად შეუძლია თქვას, რომ საქართველოში ფეხბურთი არსებობს. მატჩი მაღალი ტემპით და დაძაბულობით საშუალო ევროპული დონის ფეხბურთსაც შეედრებოდა. ეს ორივე გუნდის დამსახურებაა. ჩვენ პირველ ტაიმში შოკური დარტყმები მივიღეთ და 0:2 ვაგებდით, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამის გამოსწორება შეგვეძლო. მგონი, მეორე ტაიმში ჩვენი ძალა დავამტკიცეთ და რომ არა მსაჯის ორი საშინელი შეცდომა, არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა ეს შეხვედრა. თუმცა ამით არ მინდა „თბილისის“ ღირსების შელახვა. ადრეც მითქვას და ახლაც ვიტყვი, „თბილისი“ სეზონის აღმოჩენაა!

### საუკეთესო
## ლადო ახალაია



*ლამაზი გოლის გამტანი ახალაია მეორე ტაიმში ყველასგან გამორჩეული იყო. აქტიურობდა შეტევაშიც და დაცვაშიც. ბოლო წუთებზე კი მის გარღვევას სულაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეეძლო, მაგრამ...*


ლადო ახალაიას სადავო და საკამათო წაქცევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 15 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

# 3 ტური

თბილისი. 3 აპრილი. 18 საათი. ლოკომოტივი. 600 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 0:1 სიონი

| | |
|---|---|
| 0:1 შენგელია (88) | |
| ლოკომოტივი: მამალაძე, ი. ვაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ორბელაძე, სახვაძე, რ. სვანაძე (მორჩილაძე 20), სანიკიძე, დოლიძე, დათვაძე, გ. ვ. მიქაძე, ზირაქიშვილი (ლილუაშვილი 75) *სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი; გოგინაშვილი, გაგუა, ტლენტი, ფირცხალავა მწვრთნელი: ზაურ სვანაძე | სიონი: ა. ლაბაძე, ბაქრაძე, ს. ბურნაძე, სიჭინავა, დარსანია (უგრეხელიძე 57), გილაური, გაბისკირია, ალადაშვილი (გ. შენგელია 85), გონჩაროვი, რ. ონიანი, ჭიჭვეიშვილი *სათადარიგონი:* ვოლკოვი; სვანიძე, ე. გვასალია მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| გაფრთხილება: სახვაძე (66) | |
| მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (გულრიფში), ი. აფციაური (დუშეთი); ა. შილაკაძე (თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია | |

# კვიცი გოლზე ხტის: გიორგია თუ რამაზი?
## რიტორიკული შეკითხვა სოლიდური ცხრიანით



გიორგი შენგელია: გოოოლ!

**დავით თავართქილაძე**

**გიორგი შენგელია** მინდორზე სამი წუთის შესული იყო, როცა მეტოქის საჯარიმოს წიბოსთან მოიგდო ბურთი და ზურაბ მამალაძის კარის ცხრიანში შურდულით გატყორცნილი ქვასავით შეარჭო — ამ გოლით ბოლნისის „სიონი" ჩემპიონატის ლიდერი შეიქნა.

აქ თამაშობს „სიონი" — ასეთ წარწერას „ლოკომოტივის" სტადიონზე ვერ შეამჩნევთ, მაგრამ ვაკეში ოდენ სიონელ ფანებს მოეყარათ თავი და რახან „დინამო" — „თბილისის" შედეგი უკვე იცოდნენ, თავიანთი გუნდისგან გალიდერებას მოითხოვდნენ.

თამაში დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა. „ლოკომოტივს" დისკვალიფიცირებული მიხეილ სოსელია და გიორგი მანწკავა აკლდნენ, ხოლო რამაზ სვანაძე და ზაზა ზირაქიშვილი მატჩის მსვლელობისას დაშავდნენ — შეიძლება ითქვას, რომ „სიონს" აქაც გაუმართლა, მაგრამ ლიდერობა ბოლნისელებზე ალალია — წინა ტურში ხომ მათ „დინამოსაც" მოუგეს.

„სიონმა" „ლოკომოტივთან" ფრთხილად ითამაშა. რკინიგზელებს კარგი დაცვა ჰყავთ და პირველ ტაიმში სტუმრებს საგოლე მომენტი არც შეუქმნით. საჯარიმო დარტყმების ოსტატ იური გაბისკირიას მიზანი ღალატობდა — ჯერ თამაშიდან აცილა 16-17 მეტრიდან, მერე კი ჯარიმაც გააცუდა. რაც შეეხება „ლოკომოტივს", ზირაქიშვილმა მოინდომა ოციოდე მეტრიდან „სიონის" დამწუხრება, მაგრამ ლაბაძე მაღალ ბურთზე კარგად გაისარჯა და კუთხურზე მოიგერია.

დაბალი ტემპი და ფრთხილი თამაში მეორე ტაიმშიც იყო. რკინიგზელებს სოსელია-მანწკავა-სვანაძის არყოფნა ძალიან დაეტყოთ, მარცხენაფლანგელი არჩილ სახვაძე კი სვანაძის მოედნიდან გასვლის შემდეგ ზაურ სვანაძემ ცენტრში გადასწია — იძულებითი გადაადგილებების გამო „ლოკომოტივს" ფლანგებიდან უჭირდა თამაშის გამწვავება. თუმც რკინიგზელები მეორე ტაიმში ოდნავ უფრო ყოჩაღად მიდიოდნენ წინ. ჰოდა, „სიონს" კონტრშეტევაზე მიეცა შანსი, მაგრამ გაბისკირიამ ხელსაყრელი პოზიციიდან კვლავ ვერ დაუმიზნა მამალაძის კარს. გოლის გატანა „ლოკომოტივსაც" შეეძლო — დავით დათვაძის ჩაწოდებულზე სახვაძეს თავური უნდა შეეგდო...

ტაიმის შუაწელიდან „სიონი" ძალას იკრებს და უტევს. „ლოკომოტივის" დაცვა და მეკარე უშეცდომოდ თამაშობენ, მაგრამ რკინიგზელებს შეტევა აღარ აქვთ, იქით ველარ ჩხვლეტენ მეტოქეს. „სიონი" გალიდერების მადაზე მოდის, მაგრამ „ლოკომოტივისთვის" შტურმის მოწყობა არ ძალუძს. თემურ მახარაძეს შენგელია შეჰყავს, შენგელია კი შენგელიაა — უმცროსია თუ უფროსი, გოლი უნდა გაიტანოს და გიორგიც რამაზ შენგელიასავით იღბლიანი და ზუსტია — ასეთი იყო „სიონის" გალიდერების ქრონიკა.



ზურაბ მამალაძე და იური გაბისკირია: მეკარემ კინაღამ თავდამსხმელის თავი დაიჭირა, თავდამსხმელმა კი ბურთი

### საუკეთესო
#### *გიორგი შენგელია*



*გიორგი შენგელიამ „ლოკომოტივის" მინდორი სულ რამდენიმე წუთით დაქაცვა, მაგრამ ისეთი აბრაგანი ამოცხო ბურთს, რომ „სიონს" სამი ქულა და ლიდერობა მოუტანა — რახან მანამდე მეტოქე გუნდთაგან ეულად არავინ გამორჩეულა, საუკეთესოება შენგელიაზე ფეშქაში არ უნდა იყოს.*

ფოთი. 3 აპრილი. 16 საათი. ფაზისი. 200 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 0:0 სპარტაკი

| | |
|---|---|
| კოლხეთი: ბათიაშვილი, ჭითანავა, ქუტიძე, შ. ლონლაძე, დ. ნარსია, აკობია, თაყაძე (გაბედავა 71), ე. მარგალიტაძე, ჯ. შალამბერიძე, ღაღანიძე (კალანდაძე 83), ზ. ქუთათელაძე *სათადარიგონი:* ჩემია; წურწუმია, კუნჭულია, კრასოვსკი, ტყებუჩავა მწვრთნელი: დავით მახარაძე | სპარტაკი: დევაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ა. იმნაიშვილი, ჩიკვილაძე, ლ. ვაშაკიძე, ჯანგიძე, კიკნაძე, ტაბიძე, მუშკუდიანი (ი. სამხარაძე 82), ტატანაშვილი (კ. შალამბერიძე 62) *სათადარიგონი:* გრძელიძე; კვერენჩხილაძე, მაღლაკელიძე, ს. შელია მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა |
| გაფრთხილება: ჯ. შალამბერიძე (67), ჯანგიძე (81), ქუთათელაძე (88) | |
| მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ასკაროლლი (ქარელი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი | |

# დამთრგუნველი ფსიქოლოგიცაა

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

შერეკილი ამინდით შეხვდა ფოთი ამ მატჩს. აუტანელი სიცივე, თოვლ-ჭყაპი და... მზე. ამინდის დარად ფეხბურთელებიც წვალობდნენ, უვარგის გრუნტზე რაიმე ღირებულის შექმნას ამაოდ ცდილობდნენ.

ჰოდა, აკი დიდი ვერაფერი მატჩი გამოდგა. ხეირიანი, გააზრებული კომბინაცია იშვიათი იყო და ბურთის უაზრო გადაგდება-გადმოგდებით რა ისეთი მომენტები შეიქმნებოდა...

არადა, შედეგს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უფრო მეტად კი სტუმართათვის, რომლებსაც მარცხის უფლება ნაღდად არ ჰქონდათ. საბოლოოდ, მურთაზ ხურცილავას შეგირდებმა გაძლეს და არ წააგეს, რითაც ერთით გაიმდიდრეს ქულათა მწირი მარაგი.

„კოლხეთი" კი ჯერჯერობით ძალიან სუსტად გამოიყურება. აგერ, მეორე მატჩია, გოლი ვერ გააქვს და ვერც დალაგებული თამაშით იწონებს თავს. პირველი ტაიმი ულიმღამო გამოდგა. ბურთი მოედნის ცენტრში ტრიალებდა, შეტევა ორივე გუნდს უჭირდა. კოლხები ოდნავ აქტიურნი ჩანდნენ, მაგრამ მეტოქის კარს მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ. მე-17 წუთზე მარგალიტაძე მცველებს დაუსხლტა, საჯარიმოში შევიდა, კარის გასწვრივ ჩააწოდა და ბურთს ახლო ძელთან ქუთათელაძე ვარდნაში დაუხვდა, მაგრამ დევაძემ იყოჩაღა, მომხდურს ფეხებში ჩაუხტა და სიტუაცია განმუხტა. „სპარტაკი" უფრო დაცვაში ჩაუქობდა, ჟვანიასა და იმნაიშვილის თავკაცობით თავს მშვენივრად იცავდა, თუმცა ინერტული თავდამსხმელების გადამკიდე შეტევაში ვერაფერს ქმნიდა.

მეორე ტაიმში თოვლი კი წამოვიდა, მაგრამ თამაში უფრო გახალისდა. დათო მახარაძის მიერ შეფუცხუნებულ მასპინძლებს მონდომება დაეტყოთ და პირველ ხუთ წუთში შალამბერიძე ორჯერ დაემუქრა მეტოქის კარს. ჯონიმ ორჯერვე შორიდან სცადა გატანა, მაგრამ ჯერ ძელს გაარტყა ბურთი, მერე კარს ოდნავ ააცილა.

ამის შემდეგაც ჩანდა, „კოლხეთი" მოსაგებად უფრო მოწადინებული რომ იყო, მაგრამ კარგა ხანი რეალური საგოლე მომენტი ფხიზლად მოთამაშე სტუმართა კართან არ შექმნილა. დაცვით დაკავებულმა თბილისელებმა რამდენჯერმე კონტრშეტევაც სცადეს, მაგრამ ამაოდ. ერთადერთხელ იყო, მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე, კიკნაძემ გამოზომილი პასით შეცვლაზე შესულ კობა შალამბერიძეს ღირებული შანსი რომ შეუქმნა, მაგრამ კობას დარტყმა გაუცუდდა.

„კოლხეთს" კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ კვლავ დევაძემ ივარგა: შალამბერიძის და ღონლაძის სახიფათო დარტყმებს სწორად დაუხვდა.

მოკლედ, „ფაზისზე" ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა. ისე კი, საინტერესოა, ასეთი თამაშით როგორ აპირებენ ეს გუნდები უმაღლესში ადგილის შენარჩუნებას. ნამატჩევს მწვრთნელები ფსიქოლოგიურ ფონზე საუბრობდნენ, ამან იმოქმედა დამთრგუნველად ფეხბურთელებზეო. არადა, „კოლხეთს" და „სპარტაკს" ასეთი ფსიქოლოგიური ფონი სეზონის ბოლომდე ექნებათ.

### საუკეთესო
#### *აკაკი დევაძე*



*კაკი დევაძის საიმედოობა დიდი სტიმულია „სპარტაკისთვის". ასე იყო შაბათსაც. მართალია, კოლხებმა იგი დიდად ვერ დაასაქმეს, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდში დამაჯერებლად გაისარჯა. საერთოდაც, ის ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელსაც ნაკლს, ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, ვერ უნახავდი. სწორედ ამიტომაც მივიჩნიეთ საუკეთესოდ.*

# გოცირიძემ დილა დააკოჭლა

**კობა ინასარიძე**



„ვიტ ჯორჯია“ „დილასთან“ მერაბ კოჭლაშვილმა გაიყვანა

„**ვიტ ჯორჯიამ**“ მეორე ეტაპის საწყისს ორ ტურში, ვინძლო, ოქროს ხუთი ქულაც კი დაჰკარგა. ფრე „ლოკომოტივთან“, მარცხი „თბილისთან“, უფერული თამაში და გალიდერების დაკარგული შანსი — აი, „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონატის განახლებიდან „დილასთან“ მატჩამდე. და ეს მაშინ, როცა „დინამო“ „დინამოს“ არ ჰგავს და შინ თუ სტუმრად ქულებს არიგებს.

ჩანს, „ვიტ ჯორჯიას“ წამალმა არგო, მწვრთნელის შეცვლა ფეხბურთელებმა შედეგის შეცვლით აღნიშნეს, „დილა“ გააცამტვერეს და „დინამოს“ ახლაღა მიუახლოვდნენ. ჩემპიონებთან სხვაობის ორი ქულით შემცირებაც საქმეა.

„ვიტ ჯორჯიამ“ მატჩის დასაწყისშივე აგრძნობინა სტუმრებს, რომ თბილისში ტყუილად ჩამოვიდნენ და ქულის იმედიც არ უნდა ჰქონოდათ. „დილამ“ მასპინძლთა პირველ შეტევებს კი გაუძლო და ერთი-ორჯერ მერლანის კარს იქით დაემუქრა, მაგრამ ცხადი იყო, გორელები „ვიტ ჯორჯიას“ ვერ შეაჩერებდნენ. და რაკი მერლანი ვახსენეთ, ესეც ვთქვათ — მასპინძელთა მეკარის ფორმა გორელების მაისურის ფერი იყო და განსასხვავებლად მერლანმა უმკლავო გადასაცმელი გამოიყენა. თავმოყვარე „ვიტ ჯორჯიას“ არ ეკადრება თავისი მეკარის ცალი ფორმის ამარად დატოვება. ეს ისე, სიტყვაზე, რადგანაც „ვიტ ჯორჯიაზე“ ვლაპარაკობთ, თორემ ზოგი გუნდია, ფორმის ერთი კომპლექტიც კი სანატრელი აქვს.

მოკლედ, მასპინძლები, რომლებიც ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით — ადამიათი და გოცირიძით უტევდნენ, მესამე — მარცვალაძე კი მათ ფლანგიდან ეხმარებოდა, საქმეს მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში უფრო აზრიანად შეუდგნენ და დაწინაურდნენ: შუა მოედნიდან საჯარიმოში ნოზაძის ჩაწოდებული ბურთი გოცირიძემ ადამიას დაუგდო, ამან კი კარის გასწვრივ ისევ გოცირიძე მოძებნა, რომელმაც მცველს ბრძოლაში აჯობა და გაიტანა.

მერე უკვე თავად ადამიას ჯერი დადგა. შესვენების შემდეგ ანგარიშის გასათანაბრებლად დაძრული „დილა“ მასპინძლებმა კონტრშეტევაზე დაიჭირეს, ისარგებლეს ცენტრის ხაზთან დარჩენილი მცველების პოზიციური შეცდომით და ადამიაც სოლოლაშვილთან პირისპირ დარჩა — შორეულ კუთხეში მისი დარტყმული ზუსტი გამოდგა.

მესამე გოლიც ადამიას აქტიურობას მოჰყვა. სოლოლაშვილთან ისევ პირისპირ დარჩენილმა ფორვარდმა ბურთს ფეხი წაჰკრა, მეკარემ მოიგერია, თუმც იქვე, საჯარიმოს ხაზთან გოცირიძე იყო, რომელსაც ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია.

„დილამ“, მთლად ხელცარიელი როგორ წავიდეთო და ერთი შეტევა კი შეუტია. ბექა ჩიტაია ახლოს იყო კიდეც მიზანთან, როცა სულთანიშვილის ჩაწოდებულს ტერფი შეაგება, მაგრამ კარის ხაზზე მერლანმა იყოჩაღა და დარტყმული მოიგერია.

მეტი საინტერესო მატჩში არაფერი მომხდარა, თუმცა რაღა უნდა მომხდარიყო, როგორც ზემოთ ვთქვით, „ვიტ ჯორჯიას“ თამაში თამაშის დაწყებისთანავე მოგებული ჰქონდა.

თბილისი. 3 აპრილი. 16 საათი. შევარდენი. 1 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 3:0 დილა

1:0 გოცირიძე (29), 2:0 ადამია (54), 3:0 გოცირიძე (64)

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: მერლანი, იმედაშვილი, იაშვილი ... ინწკირველი, ლ. მერებაშვილი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, დევანოსიძე (ი. შენგელია 80), გ. გოჩაშვილი, მარცვალაძე (გვილესიანი 54), ადამია (ც. მერებაშვილი 88), რ. გოცირიძე. სათადარიგონი: ბედიაშვილი; კვახაძე, მალიჩავა, ლ. კვარაცხელია. მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი | დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია, რაზმაძე (გ. მოდებაძე 90), ლაცაბიძე (ჯობაძე 57), შატაკიშვილი, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, ძოძუაშვილი (მალანია 57). სათადარიგონი: თ. ილურიძე; მასურაშვილი, ბ. შელია. მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი |

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

### საუკეთესო

**გიორგი ადამია**



*აზროვნება, სისწრაფე, აგრესია — ადამიამ „დილა“ დააწიოკა. დროული პასი, თავისუფალი ადგილის სწორად შერჩევა, ერთი შეხედვით დაკარგული ბურთისთვის ბოლომდე ბრძოლა — ასე აჯობა ადამიამ მცველებს და იმ სამი გოლიდან, რომელიც „ვიტ ჯორჯიამ“ გაიტანა, სამივე მისი იყო, უფრო სწორად, გოცირიძეს ორჯერ ასისტენტად გამოადგა, ერთხელ თავად გაიტანა.*



გიორგი ადამიამ (№7) „დილა“ გოლით და საგოლე პასებით წაახდინა

ბათუმი. 3 აპრილი. 16 საათი. დინამო. 100 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 2:1 მერცხალი

0:1 მიქაბერიძე (36), 1:1 დარჩიძე (88), 2:1 მახარაძე (90)

| | |
|---|---|
| ბათუმი: ი. ბალაძე, მახარაძე, გალოგრე, მ. სალუქვაძე (ი. ხაჭაპურიძე 62), ბეგლარ თედორაძე (იალამიძე 30), მანჩხავა, გვიანიძე, ბესო თედორაძე, ფირცხალაიშვილი (ბეჟანიძე 50), დარჩიძე, სირბილაძე. სათადარიგონი: შერიფაძე; დიდია, დუმბაძე, ნემსაძე. მწვრთნელები: ვალერიან ჩხარტიშვილი, ასლან ბალაძე | მერცხალი: გია გოგუა, კობაური (ჩხაიძე 68), კვირკვია, ჭალიაშვილი, მჟავანაძე, სიამაშვილი, გ. წივწივაძე, ბართია, მებონია, მიქაბერიძე, ებრალიძე. სათადარიგონი: როხაძე, მოწყობილი, თორია, ოქიტაშვილი, ჯანელიძე. მწვრთნელი: აკაკი ათუაშვილი |

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ეჯიბია

# მერცხალო, ისწავლე ფრენა

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

მოგებას დანატრებული ბათუმელები აუტსაიდერთან იოლ გამარჯვებას გეგმავდნენ...

ზამთარმა კუდი მოიქნია და ბათუმში მოთოვა. ისედაც უვარგის საფარს თოვლი დაემატა. სტადიონზე მოსულ თითზე ჩამოსათვლელ გულშემატკივარს იმედისა არაფერი ეტყობოდა: ისედაც შესუსტებული „ბათუმი“, თანაც ასეთ მოედანზე...

ნახევარი საათი ორივე გუნდი მოედნის ცენტრს ატალახებდა. ამ დროს შექმნილი ნახევარმომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ და პირდაპირ იმ ეპიზოდზე ვთქვათ, „მერცხალი“ რომ გადაურჩა გოლს. გვიანიძემ შორიდან დაარტყა, გოგუამ ბურთი უხერხულად მოიგერია და ის დარჩიძეს მიუგორდა, ამანაც ახლოდან დაამატა, მაგრამ ამჯერად მეკარემ იყოჩაღა და დარტყმის სიძლიერის მიუხედავად ბურთი მოიხელთა. ვერ გაიტან — გაგიტანენ! გოგუამ სწრაფად შეიყვანა ბურთი თამაშში, უფრო სწორად, გადააწოდა მარცხენა ფლანგზე მოძრავ კაპიტან წივწივაძეს. ბათუმელთა დაცვაში ნაპოვნ ნაპრალში გურულებმა ხეირი ნახეს — ბურთი სიამაშვილს მიაწოდეს, მანაც დაარტყა, ბათუმელთა მეკარე ბალაძემ დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ დასწრებაზე მიქაბერიძემ ითამაშა მარჯვედ და 36-ე წუთზე თავისიანები დააწინაურა.

ბათუმელები პირველ ტაიმში აშკარად სცოდავდნენ. 42-ე წუთზე გოგუამ ხუთი მეტრიდან ზედიზედ სამჯერ უძლიერესად დარტყმული მოიგერია. პირველი ტაიმის ბოლოს შექმნილი ეს მომენტები „მერცხალის“ კართან გოლს ამწიფებდა, თუმცა ბათუმელებს მუხტი არ ეყოთ ასაფეთქებლად.

მეორე ტაიმშიც უტევდა „ბათუმი“, თავს იცავდა „მერცხალი“. 71-ე წუთზე მანჩხავამ კუთხური ჩააწოდა, სირბილაძემ კი თავი დაუხვედრა. „მერცხალი“ გოლს ბედად გადაურჩა — ბურთი ხარიხას მოხვდა. მორიგი შეტევისას ხაჭაპურიძის შორიდან დარტყმული ბურთი გოგუამ კუთხურზე გადააგდო. მალე კი მოსახდენიც მოხდა: „ბათუმმა“ ორ წუთში ორი გოლი გაიტანა — 88-ე და 90-ე წუთებზე. მანჩხავას კუთხურისას დარჩიძე მეურვეს დაუსხლტა, ბურთი კარგად მოირგო და ახლოდან ზუსტად დაარტყა — 1:1.

90-ე წუთზე კი მახარაძემ შორიდან ძლიერად დაარტყა და ბურთი ცხრიანში შევარდა. გოგუას ნახტომი ამაო იყო, წუთში კი მსაჯმაც დაუსტვინა.

### საუკეთესო

**ვიტალი დარჩიძე**



*„ბათუმის“ ყველა შეტევა სწორედ დარჩიძით იწყებოდა და მთავრდებოდა კიდეც. მან რამდენიმე მწვავე პასი გააკეთა და სხვა საქმეა, პარტნიორებმა მისი გადაცემებით რომ ვერ ისარგებლეს. თუმც ერთხელ მახარაძეს გაატანინა, იქამდე კი თავადაც იხეირა.*

| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 27 |
| დინამო | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 25 |
| თბილისი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 23 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 19 |
| დილა | 3 | 0 | 2 | 1 | 0:3 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 24 |
| ბათუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 19 |
| მცხეთა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 15 |
| კოლხეთი | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 15 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 9 |
| მერცხალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 6 |

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXI ტური

# ღვთის რისხვას ჯიმი ჰქვია

**ტოტენჰემი 0:1 ჩელსი**

0:1 ჰასელბაინკი (38)

**ტოტენჰემი:** კელერი, კარი, ე. გარდნერი, დოჰერტი, ტარიკო (დ. კელი 60), მ. ბრაუნი, ციგე (კანუტი 46), კინგი, რედნაპი (ჯექსონი 66), დეფო, რობი კინი

მწვრთნელი: დევიდ პლიტი

**ჩელსი:** ამბროზიო, მელხიოტი, დალასი, ტერი, ბრიჯი, მაკელელე, ლამპარდი, პარკერი (ჯ. კოული 74), დაფი, ჰასელბაინკი (კრესპო 86), გუდიონსენი (გრონკიაერი 78)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: ტარიკო, კარი

მსაჯი: ბენეტი

36 101 მაყურებელი

**ნიუკასლი 4:2 ევერტონი**

1:0 ბელამი (5), 1:1 გრავესენი (12), 2:1 დაიერი (21), 3:1 შირერი (52), 3:2 იობო (81), 4:2 შირერი (90)

**ნიუკასლი:** გივენი, ა. ჰიუზი, ვუდგეიტი, ბრამბლი, ბერნარი, ამბროზი (ბოიერი 75), დაიერი, სპიდი, რობერი (ამეობი 84), შირერი, ბელამი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

**ევერტონი:** მარტინი, ნეისმიტი, იობო, ანსუორთი, პისტონე, უოტსონი, ლინდეროტი (ნიარკო 68), გრავესენი, კილბეინი (მაკფადენი 68), რაძინსკი, კ. კემპბელი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

მსაჯი: გალაჰერი

42 155 მაყურებელი

**ფულემი 0:0 ბირმინგემი**

**ფულემი:** ვან დერ სარი, ვოლცი, ნაითი, გომა, ბოკანეგრა, ჯეტუ (მაკბრაიდი 66), მალბრანკი, შ. დევისი, ლეგვინსკი, ბოა მორტე, ჰეილსი (პირსი 75)

მწვრთნელი: კრის კოულმენი

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, მარტინ ტეილორი, კანინგემი, აპსონი, გრაინგერი (კლემენსი 39), დ. ჯონსონი, ბ. ჰიუზი (კლეპამი 90), სევიჯი, ლაზარიდისი, მორისონი (ჯონი 69), ფორსელი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: ჯეტუ, მალბრანკი, დევისი, ბოა მორტე, სევიჯი, აპსონი

მსაჯი: რაილი

14 667 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:0 ბოლტონი**

1:0 ნოლანი (8ს.კ.), 2:0 გრინინგი (51)

**მიდლსბრო:** შვარცერი, მილსი, ეჰიოგუ, რიგოტი, ზენდენი, მენდიეტა, ბოატენგი, ჟუნინიო პაულისტა (მ. რიკეტსი 79), გრინინგი, ჟობი (ნემეტი 46), მაკარონე (დოუნინგი 72)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, ტომე, ჰაუი, ბერნესი, იანაკოპულოსი, კამპო (ვას ტე 67), ნოლანი (ფრანდსენი 57), ოკოჩა, პედერსენი, კ. დევისი (ხავი მორენო 57)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: გრინინგი, ეჰიოგუ, ჰანტი, ოკოჩა

მსაჯი: ბერი

30 107 მაყურებელი

**ვულვერჰემპტონი 1:4 საუთჰემპტონი**

0:1 ბიტი (25), 0:2 ლუნდეკვამი (58), 1:2 კამარა (72), 1:3, 1:4 ფილიპსი (89, 90)

**ვულვერჰემპტონი:** პ. ჯოუნსი, ირვინი (კამერონი 83), კრადოკი, ბატლერი, ნეილორი, ა. კამარა, ინსი, რაე, კენედი, განია (კორტი 46), კ. მილერი (ნიუტონი 62)

მწვრთნელი: დეივ ჯონსი

**საუთჰემპტონი:** ნიემი, ტელფერი, ჰიგინბოთემი, ლუნდეკვამი, დოდი (ჰალი 53), ფ. ფერნანდესი (ა. სვენსონი 85), ფოლი, დელაპი, პრატონი, ფილიპსი, ბიტი

მწვრთნელი: პოლ სტაროკი

გაფრთხილება: ბატლერი, კამარა, პრატონი

მსაჯი: ჰალსი

29 106 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:1 მანჩესტერ სიტი**

1:0 ანხელი (26), 1:1 დისტინი (82)

**ასტონ ვილა:** სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, რ. იონსენი, ჯ. სამუელი, ჰენდრი, გ. მაკკანი, ჰიცლშპერგერი, ბერი, ვასელი (ლ. მური 67), პ. ანხელი (კრუჩი 46)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

**მანჩესტერ სიტი:** ჯეიმსი, ჟიხაი, დისტინი, რ. დანი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი, კ. რეინა (ტ. სინკლერი 73), მაკმანამანი, ვანჩოპე (ანელკა 67), მაკენი (ფაულერი 67)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: სამუელი, ჟიხაი, დანი

მსაჯი: რენიე

37 602 მაყურებელი

**ლივერპული 4:0 ბლექბერნი**

1:0 ოუენი (7), 2:0 ტოდი (22ს.კ.), 3:0 ოუენი (24), 4:0 ჰესკი (79)

**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი, ბისკანი, ჰიიპია, რიისე, დიუფი (მერფი 71), ჰამანი, ჯერარდი, კიუელი, ოუენი (ბაროში 76), ჰესკი (სინამა-პონგოლე 85)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ბაბელი, შორტი (ნ. იოჰანსონი 46), ტოდი, გრეი, ემერტონი, თუგაი, ფლიტკროფტი (რიდი 46), ანდრესენი, გალაჰერი (ენდი კოული 61), სტიდი

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: ფლიტკროფტი

მსაჯი: უინტერი

41 559 მაყურებელი

**ლიდსი — ლესტერი**

*დღეს გაიმართება*



REUTERS ლონდონიდან

ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი

„ჩელსიმ“ იმდენი მოახერხა, რომ 4 ქულამდე დაიყვანა სხვაობა პრემიერლიგის ლიდერ „არსენალთან“, რომელსაც ეს ტური გაუცდა თასის ნახევარფინალის გამო.

„ჩელსი“ კი სტუმრობდა „უაით ჰარტ ლეინს“ და ისტორიაც კი მის მხარეს იყო — 28 თამაში მოგროვდა, რაც „ტოტენჰემს“ მისთვის არ მოუგია და ასეთი ღვთის რისხვა პრემიერლიგის არცერთ გუნდს არ სჭირს პრემიერლიგის მეორე გუნდთან.

თამაშის ერთადერთი გოლი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა გაიტანა დემიენ დაფის პასით. გავიხსენოთ, რომ ჯიმიმ წინა ტურში ჰეტ თრიქი ალასრულა. „ტოტენჰემის“ კაპიტან ჯეიმი რედნაპს ფრენკ ლამპარდთან ჭიდილისას პირიდან ბევრი სისხლი გასდიოდა და შეცვალეს, ლედლი კინგს თავურით უნდა გაეთანაბრებინა, ფრედი კანუტის და ჯერმენ დეფოსაც რაღაც უნდა ექნათ, რობი კინიც მოხდენილად თამაშობდა, მაგრამ მოგებით მაინც „ჩელსიმ“ მოიგო.

„ჩვენ შეგვეძლო მატჩი ადრიანად მოგვემთავრებინა. სამი ბრწყინვალე კონტრშეტევა გამოგვივიდა“ — თქვა თამაშის შემდეგ კლაუდიო რანიერიმ, რომელსაც თავში მაინც ამ კვირის ჩემპიონთა ლიგის თამაში ჰქონდა „არსენალის“ წინააღმდეგ. თავის მხრივ, „ჩელსის“ ბოლო 17 თამაშში ერთხელაც ვერ მოუგია „მეთოფეთათვის“, თუმცა, არაერთხელ გაუტანია პირველი გოლი.

ცხრილის მეორე, უფრო ტრაგიკულ ბოლოში ზედიზედ მეოთხე თამაში წააგო „ვულვზმა“, რომელსაც მთლად დაელია გადარჩენის შანსი. „ვულვზმა“ შინ 1:4 წააგო პოლ სტაროკის „საუთჰემპტონთან“. ამ თამაშში კევინ ფილიპსმა დუბლით აასრულა. „ნერვებზე თამაში ძნელია — თქვა აუტსაიდერთა მწვრთნელმა დეივ ჯონსმა — „უკანა კარი საიმედოდ უნდა ჩაკეტო, ჩვენ კი ეს ვერ შევძელით“. ახლა „ვულვზს“ თამაშით მეტი და ქულით ნაკლები აქვს „ლიდსზე“, რომელიც ამაღამ „ლესტერს“ მასპინძლობს. თავის მხრივ, „ლესტერი“ სამი ქულით უსწრებს „ლიდს“ და ორით ჩამორჩება „პორტსმუთს“.

სხვა მატჩებიდან უგოლოდ დასრულდა „ფულემ“ — „ბირმინგემი“, რაც მთლიანობაში ბირმინგემელთა მეკარის, მაიკ ტეილორის დამსახურებაა. რობი სევიჯმა კი სთხლიშა ბურთი ფულემელთა ძელს, მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან, რაც პირველ ტაიმში მოიმოქმედა ტეილორმა. მან ჯერ ჰეილსს მოუხსნა ოთხი იარდიდან დაკრული თავური, მერე კი ჯერ მალბრანკის დარტყმული აილო, მერე კი იმავ ჰეილსის დამატებული. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ შანსი ბოა მორტესაც ჰქონდა, ტეილორი სინამდვილეში გმირი გამოვიდა.

„მიდლსბრომ“ და „ბოლტონმა“ თავიანთ მატჩში ლიგის თასის ფინალის შედეგი გაიმეორეს, კვლავ „ბორომ“ მოიგო, ოღონდ ამჯერად 2:0. „ნიუკასლი“ კი აგრძელებს ბრძოლას ჩემპონთა ლიგის საგზურისთვის. გუნდმა ზედიზედ მერვე საშინაო თამაში მოიგო, ამჯერად „ევერტონთან“, 4:2. ეს თამაში იოლი არ იყო, თუმც ორივე გუნდის ლიბერალური დაცვის ხერხებს თუ გავითვალისწინებთ, 6 გოლი ბევრი სულაც არ გამოვა. „ევერტონი“ ცდილობდა როგორმე წამოწეოდა მასპინძლებს, ალან შირერი კი ამ იმედს ჰკლავდა და ჯამში „ნიუკასლი“ მართლაც უკეთესი იყო. „დაღვინებულ გუნდს არ ვგავდით, მაგრამ სამი ქულა ჯიბეში გვიდევს“ — თქვა დუბლის ამსრულებელმა შირერმა, რომელიც ერთი გოლითღა ჩამორჩება სეზონის მთავარმეგოლე ტიერი ანრის.

ამ მოგებით „ნიუკასლი“ მეოთხე ადგილზეც დაბრუნდა, ოღონდ სულ ერთი დღით, რაკი კვირას თავისი მატჩი „ლივერპულმაც“ მოიგო და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი დაიბრუნა.

„ლივერპულმა“ პირწმინდად გაანადგურა „ბლექბერნ როვერსი“, გამოსარჩევი კი მაიკლ ოუენის დაბრუნება და დუბლი იყო. ოუენმა უკვე მეშვიდე წუთზე დაბალი დარტყმით გახსნა ანგარიში, ტაიმის შუაში კი თავისი მეორე გოლიც გაიტანა. ოუენის გოლებს შუა ბლექბერნელმა ენდი ტოდმა ელ-ჰაჯი დიუფის კროსი ჩაჭრა საკუთარ კარში, ხოლო მეოთხე გოლი, თამაშის მიწურულს ემილ ჰესკიმ გაიტანა.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS ლონდონიდან

მაიკლ ოუენი დუბლით დაბრუნდა

|  |  | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № |  | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | არსენალი | 30 | 22 | 8 | 0 | 58:20 | 38 | 74 | 15 | 12 | 3 | 0 | 29:11 | 18 | 39 | 15 | 10 | 5 | 0 | 29:9 | 20 | 35 |
| 2 | ჩელსი | 31 | 22 | 4 | 5 | 58:23 | 35 | 70 | 15 | 10 | 2 | 3 | 29:12 | 17 | 32 | 16 | 12 | 2 | 2 | 29:11 | 18 | 38 |
| 3 | მანჩესტერი | 30 | 19 | 5 | 6 | 56:30 | 26 | 62 | 15 | 10 | 3 | 2 | 33:13 | 20 | 33 | 15 | 9 | 2 | 4 | 23:17 | 6 | 29 |
| 4 | ლივერპული | 31 | 13 | 10 | 8 | 46:31 | 15 | 49 | 15 | 9 | 2 | 4 | 26:13 | 13 | 29 | 16 | 4 | 8 | 4 | 20:18 | 2 | 20 |
| 5 | ნიუკასლი | 31 | 12 | 12 | 7 | 45:33 | 12 | 48 | 16 | 10 | 3 | 3 | 30:12 | 18 | 33 | 15 | 2 | 9 | 4 | 15:21 | -6 | 15 |
| 6 | ბირმინგემი | 31 | 12 | 10 | 9 | 37:36 | 1 | 46 | 16 | 8 | 4 | 4 | 23:17 | 6 | 28 | 15 | 4 | 6 | 5 | 14:19 | -5 | 18 |
| 7 | ასტონ ვილა | 31 | 12 | 8 | 11 | 39:36 | 3 | 44 | 15 | 7 | 5 | 3 | 20:15 | 5 | 26 | 16 | 5 | 3 | 8 | 19:21 | -2 | 18 |
| 8 | ჩარლტონი | 30 | 12 | 7 | 11 | 41:39 | 2 | 43 | 15 | 6 | 3 | 6 | 23:24 | -1 | 21 | 15 | 6 | 4 | 5 | 18:15 | 3 | 22 |
| 9 | საუთჰემპტონი | 31 | 11 | 9 | 11 | 34:29 | 5 | 42 | 16 | 8 | 4 | 4 | 19:11 | 8 | 28 | 15 | 3 | 5 | 7 | 15:18 | -3 | 14 |
| 10 | ფულემი | 31 | 11 | 8 | 12 | 41:40 | 1 | 41 | 16 | 8 | 4 | 4 | 24:16 | 8 | 28 | 15 | 3 | 4 | 8 | 17:24 | -7 | 13 |
| 11 | მიდლსბრო | 31 | 11 | 8 | 12 | 37:39 | -2 | 41 | 16 | 6 | 4 | 6 | 19:19 | 0 | 22 | 15 | 5 | 4 | 6 | 18:20 | -2 | 19 |
| 12 | ტოტენჰემი | 31 | 11 | 4 | 16 | 40:48 | -8 | 37 | 16 | 8 | 2 | 6 | 29:24 | 5 | 26 | 15 | 3 | 2 | 10 | 11:24 | -13 | 11 |
| 13 | ბოლტონი | 31 | 9 | 10 | 12 | 34:48 | -14 | 37 | 15 | 4 | 7 | 4 | 16:16 | 0 | 19 | 16 | 5 | 3 | 8 | 18:32 | -14 | 18 |
| 14 | ევერტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 38:45 | -7 | 34 | 16 | 7 | 5 | 4 | 23:16 | 7 | 26 | 15 | 1 | 5 | 9 | 15:29 | -14 | 8 |
| 15 | სიტი | 31 | 7 | 11 | 13 | 42:43 | -1 | 32 | 15 | 3 | 8 | 4 | 21:17 | 4 | 17 | 16 | 4 | 3 | 9 | 21:26 | -5 | 15 |
| 16 | ბლექბერნი | 31 | 8 | 7 | 16 | 42:52 | -10 | 31 | 15 | 3 | 3 | 9 | 21:28 | -7 | 12 | 16 | 5 | 4 | 7 | 21:24 | -3 | 19 |
| 17 | პორტსმუთი | 30 | 8 | 6 | 16 | 32:45 | -13 | 30 | 14 | 7 | 2 | 5 | 24:15 | 9 | 23 | 16 | 1 | 4 | 11 | 8:30 | -22 | 7 |
| 18 | ლესტერი | 30 | 5 | 13 | 12 | 39:52 | -13 | 28 | 16 | 2 | 9 | 5 | 15:24 | -9 | 15 | 14 | 3 | 4 | 7 | 24:28 | -4 | 13 |
| 19 | ლიდსი | 30 | 6 | 7 | 17 | 29:60 | -31 | 25 | 15 | 4 | 5 | 6 | 17:23 | -6 | 17 | 15 | 2 | 2 | 11 | 12:37 | -25 | 8 |
| 20 | ვულვზი | 31 | 5 | 9 | 17 | 27:66 | -39 | 24 | 15 | 5 | 5 | 5 | 18:30 | -12 | 20 | 16 | 0 | 4 | 12 | 9:36 | -27 | 4 |

### ბომბარდირები

|  |  |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 22 |
| შირერი (ნიუკასლი) | 21 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 18 |
| საჰა (ფულემი/მანჩესტერ იუნ.) | 18 |

### XXXII ტური

10 აპრილი

არსენალი — ლივერპული
ბირმინგემი — მანჩესტერი
ბლექბერნი — ლიდსი
ბოლტონი — ასტონ ვილა
ჩარლტონი — პორტსმუთი
ჩელსი — მიდლსბრო
ევერტონი — ტოტენჰემი
ლესტერი — ფულემი
სიტი — ვულვზი
საუთჰემპტონი — ნიუკასლი

### პირველი დივიზიონი

#### XL ტური

**ბარნლი 3:5 ნორვიჩი**

1:0 ვუდი (7), 1:1 სვენსონი (14), 2:1 მეი (30), 2:2 ჰაკერბი (32), 3:2 ბლეიქი (38), 3:3 მაკკენზი (54), 3:4 სვენსონი (62), 3:5 ჰაკერბი (89)

**ძრიუ 0:0 როტერჰემი**

**დერბი ძაუნთი 0:1 უოლსოლი**

0:1 ბრედბერი (86პ)

**ჯილინგემი 1:2 კარდიფი**

0:1 ერნშოუ (36), 1:1 ჰოპი (59), 1:2 ბალოკი (86)

**პრესტონი 1:0 ბრედფორდი**

1:0 ჯემილი (50)

**რედინგი 2:0 ვესტ ჰემი**

1:0, 2:0 კიტსონი (35, 52)

**შეფილდ იუნ. 1:2 ნოტინგემი**

0:1 კინგი (24), 1:1 რაიტი (59), 1:2 ტეილორი (74)

**სტოკი 1:0 ძოვენთრი**

1:0 კომონსი (41)

**უიგანი 0:1 უიმბლდონი**

0:1 ჩორლი (5)

**იფსვიჩი 2:3 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ტ. მილერი (42), 1:1 კუმასი (71), 1:2 დაიერი (73), 2:2 დ. ბენტი (77), 2:3 ჰორსფილდი (90)

|  |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 39 | 22 | 10 | 7 | 63:34 | 76 |
| ვესტ ბრომვიჩი | 39 | 22 | 10 | 7 | 58:34 | 76 |
| სანდერლენდი | 37 | 18 | 11 | 8 | 53:37 | 65 |
| ვესტ ჰემი | 40 | 16 | 15 | 9 | 58:43 | 63 |
| მილუოლი | 38 | 17 | 12 | 9 | 50:36 | 63 |
| შეფილდი | 40 | 18 | 9 | 13 | 58:47 | 63 |
| რედინგი | 40 | 18 | 9 | 13 | 51:52 | 63 |
| უიგანი | 39 | 16 | 14 | 9 | 52:40 | 62 |
| იფსვიჩი | 40 | 18 | 8 | 14 | 75:66 | 62 |
| კარდიფი | 39 | 16 | 10 | 13 | 62:49 | 58 |
| ქოვენთრი | 40 | 14 | 13 | 13 | 54:45 | 55 |
| პრესტონი | 40 | 15 | 10 | 15 | 56:53 | 55 |
| სტოკი | 39 | 15 | 10 | 14 | 51:50 | 55 |
| კრ. პალასი | 38 | 15 | 9 | 14 | 58:55 | 54 |
| ნოტინგემი | 40 | 12 | 12 | 16 | 52:53 | 48 |
| ქრიუ | 40 | 13 | 9 | 18 | 48:55 | 48 |
| უოლსოლი | 40 | 12 | 12 | 16 | 42:52 | 48 |
| როტერჰემი | 39 | 11 | 13 | 15 | 42:51 | 46 |
| უოტფორდი | 39 | 11 | 11 | 17 | 44:57 | 44 |
| ბარნლი | 39 | 10 | 14 | 15 | 53:67 | 44 |
| ჯილინგემი | 39 | 12 | 8 | 19 | 40:55 | 44 |
| დერბი | 40 | 10 | 12 | 18 | 43:62 | 42 |
| ბრედფორდი | 40 | 9 | 6 | 25 | 32:57 | 33 |
| უიმბლდონი | 38 | 6 | 3 | 29 | 30:75 | 21 |

### II დივიზიონი. XL ტური

რექსემი — ტრანმერი 0:1; ბარნსლი — პლიმუთი 1:0; ბორნმუთი — კოლჩესტერი 1:1; ბრენტფორდი — ჩესტერფილდი 1:1; ბრაიტონი — ჰარტლპული 2:0; ბრისტოლი — ქუინზ პარკი 1:0; გრიმსბი — შეფილდ უენსდი 2:0; ლუტონი — ოლდემი 1:1; ნოტსი — ბლეკპული 4:1; პიტერბრო — სუინდონი 4:2; სტოკპორტი — რაშდენი 2:1; უიკომბი — პორტ ვეილი 2:1

### III დივიზიონი. XL ტური

საუთენდი — სკანთორპი 4:2; ბოსტონი — დარლინგტონი 1:0; ჩელტენემი — როვერსი 1:2; დონკასტერი — ბერი 3:1; კიდერმინსტერი — ჰალი 1:1; ლეიტონი — ჰადერსფილდი 1:1; მენსფილდი — კემბრიჯი 1:1; ნორთჰემპტონი — ოქსფორდი 2:1; როჩდეილი — ლინკოლნი 0:3; სუონსი — კარლაილი 1:2; ტორკი — იოვილი 2:2; იორკი — მაკლსფილდი 0:2

### კონფერენსლიგა. XXXVIII ტური

აკრინგტონი — ჩესტერი 0:2; ბარნეტი — სკარბორო 0:0; დაგენემი — გრეივსენდი 0:4; ჰალიფაქსი — ჰერეფორდი 1:2; ლეიფი — ბარტონი 0:1; მარგეიტი — ფარნბორო 3:0; მორეკემბი — ფორესტ გრინი 4:0; შრიუსბერი — ექსეტერი 2:2; ტემუორთი — უოქინგი 2:0

# ბოლო გოლიათური მანჩესტერმა არსენალზე გაიხარა



არსენ ვენგერი



REUTERS

ალექს ფერგიუსონი

## ინგლისი

ასოციაციის თასი. ნახევარფინალი

**არსენალი 0:1 *მანჩესტერ იუნ.***
0:1 სქოულზი (32)
**არსენალი:** ი. ლემანი, ლორენი, ს. კემბელი, კ. ტურე, კლიში, ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ (კანუ 76), პირესი (ანრი 57), ბერხკამპი, ალიადიერი (რეიესი 57)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**მანჩესტერ იუნ:** კეროლი, გ. ნევილი, ვ. ბრაუნი, მ. სილვესტრი, ოში, კ. რონალდო (ბელიონი 84), ფლეტჩერი, როი კინი, სქოულზი, გიგზი, სოლსკიაერი (ფ. ნევილი 75)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: პირესი, ლემანი, ტურე, ლორენი, სქოულზი
მსაჯი: ბარბერი
39 939 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 *მილუოლი***
0:1 ჩეპილი (25)

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ამ სეზონში ერთხელ, მაგრამ მაინც გაამწარა „არსენალი“, რომელმაც მას წლეულს ჩემპიონობა წაართვა, თუმცა, სეზონურ ორმაგს კი ვეღარ გასწვდა.

პოლ სქოულზის გოლმა, რაიან გიგზის კროსს რომ მოჰყვა „ვილა პარკზე“ და ერთადერთი გამოდგა ორი გოლიათის სეზონში უკანასკნელ შეხვედრაში, ასოციაციის თასის ფინალში „მანჩესტერი“ გაიყვანა. სასტარტოში არ იყვნენ მუხლმტკივანი რუუდ ვან ნისტელროი და საგანგებოდ დასვენებული ტიერი ანრი, რომელიც მეორე ტაიმში მაინც შევიდა მოედანზე თამაშის გადასარჩენად.

ედუმ და პატრიკ ვიეირამ ძელები დაუზანზარეს „მანჩესტერს“ და საერთოდაც, თამაში ისე დაიწყო, რომ გამარჯვებული ვინ დარჩებოდა, საეჭვო არ ჩანდა. როი კეროლმა მაგარი ბურთი აუღო დენის ბერხკამპს, რობერ პირესმა კი ცარიელ კარს გადააცილა ბურთი. პირველი ტაიმის შუისკენ „მანჩესტერმა“ მოიხედა და სწორედ ამას მოჰყვა სქოულზის გოლიც.

„მეთოფეებს“ პირველ ტაიმშივე უნდა გაეთანაბრებინათ, მაგრამ ვიეირას დარტყმული ძელს მოხვდა. 51-ე წუთზე „არსენალის“ მეკარე იენს ლემანი რონალდოს წაქცევისთვის ნაღდ გაძევებას გადაურჩა. არსენ ვენგერმა თამაშის წაგება, ცხადია, არ ინდომა და ანრი და ხოსე ანტონიო რეიესი შეუშვა. თუმცა, „მანჩესტერის“ დაცვა საუცხოო და სეზონში საუკეთესო იყო. ვესლი ბრაუნმა ყველა სკეპტიკოსი დაადუმა, ისევე, როგორც რონალდომ და დარენ ფლეტჩერმა.

„არსენალი“ გავარდა — პირველად წააგო სათასო თამაში 2001 წლის ფინალის შემდეგ, თუმცა, სამწუხაროდ ისიც დაურჩა, რომ რეიესი და ფრედი ლიუნგბერგი დაუშავდნენ და ეგებ ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ჩელსის“ წინააღმდეგ ვერც ითამაშონ.

ვენგერმა უბედობა დაიჩივლა: „ათი საგოლე მომენტიდან, ერთიც რომ არ გავა, ძნელია. ჩვენ ყველაფერი გავილეთ და იღბალმა ზურგი გვაქცია. მთელს ამ მარცხში ყველაზე კარგი ის არის, რომ დამატებითმა დრომ არ მოგვიწია. თუ გავარდნაა, ამ თასიდან გავარდნა მერჩივნა. მათ კარგი გოლი გაგვიტანეს, მაგრამ მერე კარში ჩადგნენ“.



REUTERS

კრისტიანო რონალდოს შეჩერება არსენალელებს ძალიან გაუჭირდათ

საპირისპიროდ, უზომოდ ხარობდა სერ ალექს ფერგიუსონი, რომელმაც თქვა: „ჩვენ რაიმე ტიტული გვინდოდა. ყოველ წელიწადს გვინდა ტიტული. ახლა ფინალში ვართ. როი კეროლის კარგმა თამაშმა იღბალი მოგვცა, რონალდო კი შეუდარებელი“.

„მანჩესტერი“ კი ფინალში ელის „მილუოლის“, პირველი დივიზიონის კლუბს, რომლისთვისაც 119-წლიან ისტორიაში ეს პირველი ფინალი იქნება. ასევე პირველად, ფინალის შედეგის მიუხედავად, „მილუოლი“ უეფას თასზე ითამაშებს, რაკი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგაში გამოვა.

„მილუოლის“ მოთამაშე-მწვრთნელია ძველი ჩელსელი დენის უაიზი და თუ სამხრეთლონდონელებმა „მანჩესტერიც“ დაამარცხეს, 37 წლის უაიზი პირველი ფეხბურთელი შეიქნება, ასოციაციის თასი სამ სხვადასხვა კლუბში რომ მოუგია. 1988 წელს ის „ლივერპულის“ სენსაციურად მძლეველი „უიმბლდონის“ წევრი იყო, ორი წლის მერე კი მისმა „ჩელსიმ“ „ასტონ ვილა“ დაამარცხა.

საერთოდ კი 1992 წლის მერე დაბალდივიზიონელ კლუბს თასის ფინალში არ გაუღწევია და ბოლოს ეს სწორედ „მილუოლისგან“ ძლეულმა „სანდერლენდმა“ მოახერხა. ხოლო „მილუოლი“ 1937 წლის მერე ნახევარფინალშიც არ გასულა.

გუშინდელი მატჩი ლონდონელებმა ავსტრიელი ტიმ ჩეჰილის გოლით მოიგეს, მატჩის მიწურულს კი სანდერლენდელებს ჯეისონ მაკალისტერი გაუძევეს.

**ირაკლი გამყრელიძე**

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXXI ტური

**აბერდინი 3:0 დანდი იუნ.**
1:0 ჰინდსი (21), 2:0 მაკგირი (24), 3:0 შეერინი (43)

**სელტიკი 2:2 ჰართსი**
0:1 მაკკენა (21), 0:2 დე ვრიზი (78), 1:2 სატონი (88), 2:2 აგატი (90)

**დანდი 2:1 პარტიკი**
1:0 მილნი (2), 1:1 ტომსონი (14), 2:1 ნოვო (90)

**დანფერმლაინი 2:1 კილმარნოკი**
0:1 ინვინჩიბილე (9), 1:1 ნიკოლსონი (40), 2:1 კროუფორდი (70)

**ჰიბერნიანი 3:1 ლივინგსტონი**
1:0 მაკმანუსი (39), 1:1 ილილეი (50), 2:1, 3:1 რიორდანი (54, 83)

**მოზერუელი 0:1 რეინჯერსი**
0:1 ს. ჰიუზი (44)
**რეინჯერსი:** შ. კლოსი, ჰატონი (მორის როსი 46), კ. მური, ფ. დე ბური, ბოლი, ნამუში (უოქერი 73), ს. ჰიუზი, რაე, ვანოლი, ს. ტომპსონი, მოლსი
***ზურაბ ხიზანიშვილი** დისკვალიფიცირებულია, **შოთა არველაძე** ტრავმირებული*
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
მსაჯი: როუბოთემი
8 967 მაყურებელი

# აგატი 76

„სელტიკის“ გასაჩემპიონებლად ორი პირობის შესრულება იყო საჭირო: „სელტიკის“ მოგება და იმავდროულად „რეინჯერსის“ წაგება.

„თეთრ-მწვანეებმა“ ჩემპიონობა კი არა, კინაღამ 76-მატჩიანი საშინაო დაუმარცხებელი სერია დაასრულეს.

მარტინ ონილის გუნდს შინ 2001 წლის აგვისტოს შემდეგ არ წაეგო და „ჰართსს“ ერთი წუთი დააკლდა ამ რეკორდის დასამხობად.

პირველი ტაიმის შუაში პოლ ჰარტლიმ საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა, ბურთი ვარგასგან მაკკენასთან აღმოჩნდა და სტუმარმა მარშალს დაბალ კუთხეში გაუტანა.

ცხადია, „სელტიკი“ უტევდა და არაერთი შანსიც ჰქონდა გასათანაბრებლად, მაგრამ გორდონის კარს გასაღები შესვენებამდე ვერ მოარგო.

მეორე ტაიმის დასრულებამდე 16 წუთით ადრე „ჰართსის“ მწვრთნელმა კრეიგ ლევეინმა მაკკენას ნაცვლად დე ვრიზი შეუშვა. მას ოთხი წუთი დასჭირდა მასპინძელთა გასაოცებლად. ნილსონმა აუტიდან შეიტნა ბურთი, რომელიც ბალდეს შეცდომის გამო დე ვრიზთან მოხვდა და ჰოლანდიელმა ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

მუდამ ბოლომდე მებრძოლ „სელტიკს“ ოფლის ღვრა ორ წუთში დაუფასდა. მილერის პასით საჯარიმოში მოტრიალე სატონმა ერთი გაქვითა, მატჩის მიწურულს კი დიდიე აგატიმ შეაგდო, ფანები გაახარა და საშინაო რეკორდი გაახანგრძლივა.



„რეინჯერსმა“ სტივენ ჰიუზის კინკილა გოლით მოიგო

| | ვაჟა | | | ხუციშვილი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 31 | 28 | 3 | 0 | 97:18 | 87 |
| რეინჯერსი | 31 | 22 | 4 | 5 | 63:25 | 70 |
| ჰართსი | 30 | 15 | 8 | 7 | 45:33 | 53 |
| დანფერმლაინი | 30 | 12 | 9 | 9 | 33:40 | 45 |
| დანდი იუნ. | 31 | 11 | 7 | 13 | 36:48 | 40 |
| მოზერუელი | 30 | 10 | 8 | 12 | 35:36 | 38 |
| ლივინგსტონი | 30 | 8 | 9 | 13 | 35:45 | 33 |
| ჰიბერნიანი | 30 | 8 | 9 | 13 | 31:49 | 33 |
| დანდი | 31 | 8 | 8 | 15 | 37:51 | 32 |
| აბერდინი | 31 | 8 | 7 | 16 | 36:49 | 31 |
| კილმარნოკი | 30 | 9 | 4 | 17 | 38:63 | 31 |
| პარტიკი | 31 | 3 | 6 | 22 | 30:59 | 15 |



REUTERS

სელტიკი — ჰართსი. საჩემპიონოდ მომართული გლაზგოელები მარცხისგან დიდიე აგატიმ (მარცხნივ) იხსნა

**I დივიზიონი. XXX ტური**

ბრეჩინი — ეარი 0:3; კლაიდი — ქუინი 2:0; როსი — რეითი 1:1; სენტ ჯონსტონი — ფოლკირკი 2:1; სენტ მირენი — ინვერნესი 0:0

**II დივიზიონი. XXX ტური**

ერდრი — ბერვიკი 6:0; ისტ ფაიფი — ჰამილტონი 2:3; მორტონი — არბროთი 1:0; სტენჰაუზმური — დამბარტონი 1:2. ფორფარი — ალოა გადაიდო

**III დივიზიონი. XXX ტური**

კოუდენბითი — ელგინი 2:0; პიტერჰედი — ალბიონი 5:0; ქუინზ პარკი — ისტ სტირლინგი 1:0; სტირლინგი — გრეტნა 0:1; სტრანრარი — მონტროუზი 6:0

# მგელმთავარს ტყავი გააძრეს

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXVII ტური

**შალკე 4:1 ჰამბურგი**

1:0 ვალდოხი (10), 2:0 სანდი (30), 2:1 მაჰდავიკია (35პ), 3:1 ლამოტე (43), 4:1 დელურა (55)
შალკე: ჰაიმეროტი, ლამოტე, ჰაიტო (დ. როდრიგესი 67), ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, დელურა (პინტო 90), ჰამიტ ალტინტოპი, ვერმანტი, ბიომე, სანდი, გლიდერი (ჰანკე 75)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ჰამბურგი: ვიახტერი, ფუკალი, ჰოოგმა, უიფალუში, ჰოლერბახი, შლიკე, იაროლიმი, კლინგი (ვიკი 74), მაჰდავიკია, რომეო, ტაკაჰარა (რაინჰარდტი 75)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: სანდი, ჰაიტო, ჰოლერბახი, შლიკე, რომეო
მსაჯი: ვაკი
61 266 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 0:2 ბაიერნი**

0:1 მაკაი (47), 0:2 სანტა კრუზი (77)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, თ. რიოტერი (ბოშკოვიჩი 75), კნავსი, ვენცელი, დრეშერი, რიდლი, ბიელიცა, მალცი, მ. ხრისტოვი, ლოკვენცი, ჰალილ ალტინტოპი (მიხაელ ლემანი 85)
მწვრთნელი: კურტ იარა
ბაიერნი: კანი, სანიოლი (სალიჰამიჯიჩი 23), კუფური, იერემისი, ლიზარაზუ, შვაინსტაიგერი, ბალაკი, ჰარგრივსი, ზე რობერტო (ტროხოვსკი 79), მაკაი, სანტა კრუზი (კ. პიზარო 85)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: მალცი, ბიელიცა, მალცი, იერემისი, კუფური, კანი
გაძევება: მალცი (28)
მსაჯი: ფროილიხი
47 315 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:5 შტუტგარტი**

0:1 გერბერი (6), 0:2 სტრელერი (26), 1:2 პეტროვი (30), 1:3 ლამი (43), 1:4 კურანი (75), 1:5 საბიჩი (86)
ვოლფსბურგი: რამოვიჩი, შარპეი (კარჰანი 63), შნოორი, ფრანცი, ვაიზერი, ტიამი, მენსეგეში (პრგოვიჩი 67), დალესანდრო, მ. პეტროვი, კლიმოვიჩი, ტოპიჩი (პონტე 85)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ლამი, ბ. ჟივკოვიჩი, ბორდონი, ჰ. გერბერი, სოლდო, მეირა, ა. გლები (ჰ. იაკინი 46), ტიფერტი, სტრელერი (საბიჩი 26), კურანი (ჰელდტი 81)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: შნოორი, ფრანცი, ბორდონი, გლები
მსაჯი: შტარკი
25 396 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 0:0 ლევერკუზენი**

მიონხენგლადბახი: შტილი, პლეტჩი, გაედე, შტრასერი (ჰაუსვაილერი 84), კორზინეცი, ულიხი, ბროიხი (კოლკა 72), დემო, კარნელი, ვან ლენტი, სვერკოში (ტ. მარიჩი 75)
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, კ. ფრიცი (ტ. ლუკიჩი 28), ჟუანი, ნოვოტნი, პლასენტე, რამელო, ბიროფკა, ბ. შნაიდერი, ბაბიჩი (ნოივილი 70), ბერბატოვი, ფრანცა (ბაშთურქი 79)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ბროიხი, სვერკოში, ბიროფკა, ლუკიჩი, ბაშთურქი
მსაჯი: კინჰოფერი
34 200 მაყურებელი



იურგენ რიობერს სამსახურის ძებნა მოუწევს

**მიუნხენი 0:2 ჰანოვერი**

0:1 ზურავი (71), 0:2 ბრდარიჩი (74)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ფერნანდო, კურცი (კიოიო 80), როდრიგო კოშტა, ტ. ჰოფმანი, ჩერნი (ტისი 46), გიორლიცი, მათიას ლემანი (ლაუტი 59), რ. მაიერი, აგოსტინო, შროტი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ჰანოვერი: ციგლერი, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, შულერი, მატისი (დე გუზმანი 63), ლალა, დაბროვსკი, იდრისუ, თ. კრისტიანსენი (შტენდელი 82), ბრდარიჩი (კლებერი 90)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ჩერნი, როდრიგო კოშტა, ტ. ჰოფმანი, ფერნანდო, ჩერუნდოლო, დე გუზმანი, ზურავი, ბრდარიჩი
მსაჯი: მერკი
26 700 მაყურებელი

**ჰერტა 1:1 ჰანზა**

1:0 პინტუ (59), 1:1 რასმუსენი (65)
ჰერტა: ფიდლერი, ჩაჰედი, ა. ფრიდრიხი, მადლუნგი, ფატი, დარდაი (კაგარა 76), შმიდტი, პინტუ, ნოინდორფი (გოორი 68), მარსელინიო, ვიშნიარეკი (ბობიჩი 76)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ჰანზა: შობერი, მიორლე, პერსონი, კ. მადსენი, ლანცი, ჰილი, ტიკუზუ, რიდლევიჩი, რასმუსენი (პლასნეგერი 81), არვიდსონი (დი სალვო 78), მაქსი (პრიკა 86)
მწვრთნელი: იური შლიუნცი
მსაჯი: ალბრეხტი
47 305 მაყურებელი

**კიოლნი 2:0 აინტრახტი**

1:0 ჰერჩი (ნს.კ.), 2:0 პოდოლსკი (35)
კიოლნი: ვესელსი, ვოიგტი, ჩიკონი, დოგანი, ო. შრიოდერი, კრინგე, გრუიჩი (ნიდრიგი 46), ფიულენერი (სინკალა 73), სტრაიტი, ფედერიკო (კენედი 87), პოდოლსკი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი, გიუნტერი (ფრომერი 46), კრისი (ბაიერლე 46), ჰერჩი, პროისი, ბიურგერი, შური, ლექსა (დრაგუშა 73), შკელა, ამანატიდისი
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
გაფრთხილება: ვოიგტი, გრუიჩი, ნიდრიგი, ლექსა, ჰერჩი
მსაჯი: მაიერი
45 500 მაყურებელი

**ვერდერი 1:1 ფრაიბურგი**

0:1 კრუპკე (1), 1:1 აილტონი (18)
ვერდერი: რაინკე, უმითი (ხარისტიასი 79), ისმაელი, კრსტაიჩი, სტალტერი, ლისტეში (ნ. ვალდესი 65), ფ. ბაუმანი, მიკუ, ფ. ერნსტი, აილტონი, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
ფრაიბურგი: გოლცი, კრუპკე, შ. მიულერი, ბ. დიარა, რიტერი, ბაირამოვიჩი, ბერნერი, ცქიტიშვილი (კონდე 67), ანტარი, ვილი (კულიბალი 69), სანუ (ოლაიენგბეში 82)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ისმაელი, ბაირამოვიჩი, მიკუ, ვილი, ბაირამოვიჩი
გაძევება: ბაირამოვიჩი (66)
მსაჯი: კესლერი
43 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 4:1 ბოხუმი**

1:0 კოლერი (9), 1:1 მადსენი (14), 2:1 გამბინო (30), 3:1 ფრინგსი (45), 4:1 ევერტონი (53პ)
დორტმუნდი: ვარმუზი. შ. როიტერი, დემელი, ვიორნსი, ნ. იენსენი, ფლავიო კონსეისაო (ბერგდოლმო 46), ფრინგსი, დედე (ლეანდრო 83), გამბინო, კოლერი, ევერტონი (ოდონკორი 74)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, ფ. ბიონიგი (მაიხელბეკი 58), სტევიჩი (ფ. ტაპალოვიჩი 58), ცდებელი, ვოში, ფრაიერი (ბაკლი 46), ჰაშემიანი, პ. მადსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: გამბინო, კალა, სტევიჩი, ვან დუინჰოვენი, ვოში, მაიხელბეკი
მსაჯი: ფანდელი
81 000 მაყურებელი

ტანჯულმა „კიოლნმა“ ნანატრი გამარჯვებით გაიხარა. გასულ ოთხშაბათს ამავე სტადიონზე ბუნდესნაკრებმა ბელგიას სძლია, შაბათს კი „თხებმაც“ ნავსი გატეხეს. მასპინძლებს მოგებაში ფრანკფურტელი მცველი უგო ჰერჩი დაეხმარა. ალექსანდრ ვოიგტმა კარის გასწვრივ ჩააწოდა, ჰერჩმა თავით ბურთის მოგერიება სცადა და საკუთარ კარში ეფექტური გოლი გამოუვიდა.

პირველი ტაიმის დასრულებამდე ათი წუთით ადრე „თხებმა“ მეორედ იხეირეს. ჯოვანი ფედერიკოს პასით ლუკას პოდოლსკიმ გაიტანა. „კიოლნს“ უპირატესობა შესვენების შემდეგაც ჰქონდა. ეს იყო ზედიზედ მეორე მარცხი „აინტრახტისა“, რომლის დასჯილი თავკაცი ვილი რაიმანი გუნდის საცოდაობას ტრიბუნიდან უყურებდა.

ახალი მწვრთნელის, ევალდ ლინენის ხელში „ჰანოვერმა“ პირველი შეხვედრა მოიგო. „მიუნხენ 1860“-თან ფრიად მოსაწყენ მატჩში მასპინძლებმა უნიათოდ ითამაშეს. სტუმრებსაც არ გადაუქლიათ მეტოქის საჯარიმო მოედანი, მაგრამ სამწუთიან მონაკვეთში გატანილი ორი გოლით სამი ქულა მიითვალეს. მარკუს შულერის ჩაწოდებული ბურთი ახლო ძელთან ჩასაფრებულმა დარიუშ ზურავიმ თავური დარტყმით კარში შეაგდო, შემდეგ კი ტომაშ ბრდარიჩმა მეორე მიამატა.

გელზენკირხენში „შალკემ“ თვალსასეირო და შედეგიანი ფეხბურთი აჩვენა. „ხუმარებმა“ მეხუთე საშინაო შეხვედრა მოიგეს, „ჰამბურგი“ კი ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა სტუმრად. ტომაშ ვალდოხმა მასპინძლები მალე დააწინაურა — კუთხურიდან გაგზავნილ ბურთს ხეირიანად უთავაზა.

ებე სანდმა კი ძელიდან დაბრუნებულს დაამატა და ანგარიშში სხვაობა გაზარდა. მეჰდი მაჰდავიკიამ ლამოტეს მიერ კლინგის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით ერთი გაქვითა, მაგრამ პირველივე ტაიმში ლამოტემ შეცდომა გამოასწორა და შორიდან გაიტანა. ჰამბურგელთა რბევა მიხაელ დელურამ შესვენების შემდეგ დაასრულა.

„კაიზერსლაუტერნი“ ისედაც ძლიერი მეტოქის პირისპირ კაცნაკლული ნაადრევად დარჩა და რაღა გასაკვირია, რომ წააგო. შტეფან მალცს ზედიზედ მიღებული ყვითელი ბარათები წითლად ექცა და პირველი ტაიმის შუაში გააძევეს.

„ბაიერნმა“ რიცხობრივი უპირატესობა შესვენებამდე ვერ გამოიყენა. მეორე ნახევრის დასაწყისში კი როი მაკაიმ სეზონში მეოცე გოლი ბალაკის პასით გაიტანა, ხოლო სანტა კრუზმა ხარიხიდან უკუგდებულ ბურთს მიუსწრო და ზუსტად დაჰკრა.

„ვოლფსბურგის“ მწვრთნელი იურგენ რიობერი გუშინ გუნდიდან დაითხოვეს. ამ ბოლო ხანს „მგლებმა“ მგლობა დაივიწყეს და მიჯრით ოთხი შეხვედრა წააგეს. შტუტგარტელთა საპირველტაიმო სამ გოლს მასპინძლებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. შესვენების შემდეგ კურანიმ და საბიჩმა „ვოლფსბურგი“ მთლად შეარცხვინეს.

გამარჯვებამოწყურებულმა „ჰერტამ“ ერთბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. რობერტო პინტუმ მასპინძლები დააწინაურა, ტომას რასმუსენმა კი მალევე გაქვითა და „ჰერტა“ სახიფათო ზონაში ჩატოვა.

უგოლო მიონხენგლადბახურ მატჩში „ბორუსიამ“ ლევერკუზენელთა წარმატებული სვლა შეაჩერა. დამხვდურებს ამ შეხვედრაში მსაჯთან პრეტენზიები ჰქონდათ. მათი აზრით, ტორსტენ კინჰოფერმა სტუმრები ორჯერ დაინდო — ჰანს იორგ ბუტი საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის არ გააძევა, მერე კი იონას კოლკას წაქცევისთვის ნაღდი პენალტი არ დანიშნა.

**მაჩა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვერდერი | 27 | 19 | 6 | 2 | 66:28 | 38 | 63 | 14 | 10 | 3 | 1 | 34:15 | 19 | 33 | 13 | 9 | 3 | 1 | 32:13 | 19 | 30 |
| 2 ბაიერნი | 27 | 16 | 8 | 3 | 61:29 | 32 | 56 | 13 | 10 | 3 | 0 | 37:15 | 22 | 33 | 14 | 6 | 5 | 3 | 24:14 | 10 | 23 |
| 3 შტუტგარტი | 27 | 14 | 9 | 4 | 42:17 | 25 | 51 | 14 | 7 | 6 | 1 | 22:10 | 12 | 27 | 13 | 7 | 3 | 3 | 20:7 | 13 | 24 |
| 4 ლევერკუზენი | 27 | 13 | 7 | 7 | 50:34 | 16 | 46 | 13 | 8 | 1 | 4 | 30:18 | 12 | 25 | 14 | 5 | 6 | 3 | 20:16 | 4 | 21 |
| 5 შალკე | 27 | 11 | 10 | 6 | 37:30 | 7 | 43 | 14 | 5 | 7 | 2 | 19:12 | 7 | 22 | 13 | 6 | 3 | 4 | 18:18 | 0 | 21 |
| 6 დორტმუნდი | 27 | 12 | 6 | 9 | 45:36 | 9 | 42 | 14 | 9 | 3 | 2 | 30:14 | 16 | 30 | 13 | 3 | 3 | 7 | 15:22 | -7 | 12 |
| 7 ბოხუმი | 27 | 11 | 9 | 7 | 42:33 | 9 | 42 | 13 | 8 | 4 | 1 | 20:5 | 15 | 28 | 14 | 3 | 5 | 6 | 22:28 | -6 | 14 |
| 8 ჰამბურგი | 27 | 10 | 6 | 11 | 37:47 | -10 | 36 | 13 | 8 | 3 | 2 | 25:16 | 9 | 27 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:31 | -19 | 9 |
| 9 ჰანზა | 27 | 9 | 8 | 10 | 42:39 | 3 | 35 | 13 | 7 | 1 | 5 | 24:14 | 10 | 22 | 14 | 2 | 7 | 5 | 18:25 | -7 | 13 |
| 10 ფრაიბურგი | 27 | 9 | 7 | 11 | 38:53 | -15 | 34 | 14 | 9 | 2 | 3 | 28:23 | 5 | 29 | 13 | 0 | 5 | 8 | 10:30 | -20 | 5 |
| 11 ვოლფსბურგი | 27 | 10 | 1 | 16 | 46:56 | -10 | 31 | 14 | 9 | 0 | 5 | 32:24 | 8 | 27 | 13 | 1 | 1 | 11 | 14:32 | -18 | 4 |
| 12 მიუნხენი | 27 | 8 | 6 | 13 | 28:40 | -12 | 30 | 14 | 5 | 2 | 7 | 13:21 | -8 | 17 | 13 | 3 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 13 |
| 13 ჰანოვერი | 27 | 7 | 8 | 12 | 43:55 | -12 | 29 | 13 | 3 | 6 | 4 | 23:25 | -2 | 15 | 14 | 4 | 2 | 8 | 20:30 | -10 | 14 |
| 14 ლაუტერნი | 27 | 9 | 4 | 14 | 29:42 | -13 | 28 | 13 | 6 | 3 | 4 | 16:12 | 4 | 21 | 14 | 3 | 1 | 10 | 13:30 | -17 | 10 |
| 15 გლადბახი | 27 | 7 | 7 | 13 | 29:39 | -10 | 28 | 13 | 5 | 5 | 3 | 15:12 | 3 | 20 | 14 | 2 | 2 | 10 | 14:27 | -13 | 8 |
| 16 აინტრახტი | 27 | 7 | 5 | 15 | 28:41 | -13 | 26 | 14 | 4 | 4 | 6 | 19:21 | -2 | 16 | 13 | 3 | 1 | 9 | 9:20 | -11 | 10 |
| 17 ჰერტა | 27 | 5 | 10 | 12 | 27:51 | -24 | 25 | 13 | 2 | 6 | 5 | 13:21 | -8 | 12 | 14 | 3 | 4 | 7 | 14:30 | -16 | 13 |
| 18 კიოლნი | 27 | 5 | 5 | 17 | 23:43 | -20 | 20 | 14 | 5 | 2 | 7 | 16:19 | -3 | 17 | 13 | 0 | 3 | 10 | 7:24 | -17 | 3 |

*„კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 25 |
| მაკაი (ბაიერნი) | 20 |
| მაქსი (ჰანზა) | 16 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 12 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 12 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 12 |

**XXVIII ტური**

10 აპრილი
ჰერტა — ვოლფსბურგი
ლევერკუზენი — ლაუტერნი
ჰანზა — გლადბახი
ფრაიბურგი — შტუტგარტი
აინტრახტი — ვერდერი
ჰანოვერი — კიოლნი
ბოხუმი — მიუნხენი
ჰამბურგი — დორტმუნდი
ბაიერნი — შალკე

### მეორე ბუნდესლიგა

#### XXVII ტური

**არმინია 2:1 უნიონი**

1:0 ბოაკიე (7), 1:1 რისტიჩი (31), 2:1 კუნცელი (61)
უნიონი: ჟულნიკოვსკი, პეიჯი, მოლატა, პფუდერერი (ბრუსკო 68), სანდმანი, სირაძე, სობოტჩიკი, ბრუნსი (კუიტა 75), დაბაჩი (ოკეკე 68), ბაუმგარტი, რისტიჩი
გაფრთხილება: ბაუმგარტი, მოლატა, პეიგი, სირაძე, სირაძე
გაძევება: სირაძე (81)
მსაჯი: რაფატი
13 444 მაყურებელი

**აუე 3:0 ბურგჰაუზენი**

1:0 ჰაიდრიხი (10), 2:0 იანკი (52), 3:0 იუსკოვიაკი (66)
აუე: ჰანელი, ნოვესკი, ემერიხი, იენდროშეკი, მ. ჰაიდრიხი (გ. ბერგერი 78), ჩიპევი, ტრენკოპფი, ტოპმიოლერი, კური (მუზითიძე 69), იუსკოვიაკი, იანკი
მსაჯი: კამერერი
12 500

**ტრირი 3:3 ალემანია**

0:1 ბრინკმანი (7), 1:1 კელერი (8), 1:2 გომესი (10), 2:2 კელერი (50), 3:2 პაჩინსკი (59), 3:3 გრლიჩი (66)

**რეგენსბურგი 2:1 ნიურნბერგი**

1:0 კოლომაჟნიკი (3), 1:1 ვოლფი (75), 2:1 კნაკმუსი (84)

**ლიუბეკი 1:0 ობერჰაუზენი**

1:0 კოსტა (65ს.კ.)

**დუისბურგი 1:2 ალენი**

1:0 კურტი (14), 1:1 ჯენიჩი (55), 1:2 მბამბა (72)

**ფიურტი 2:1 კარლსრუე**

0:1 საენკო (8), 1:1 რუმანი (61), 2:1 აზუზი (65)

**უნტერჰახინგი 2:1 ოსნაბრიუკი**

1:0 შუკალო (33), 1:1 შიდი (37), 2:1 კოპადო (55)

**კოტბუსი — მაინცი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 27 | 13 | 7 | 7 | 49:32 | 46 |
| კოტბუსი | 26 | 13 | 7 | 6 | 41:32 | 46 |
| არმინია | 27 | 13 | 6 | 8 | 40:28 | 45 |
| ალემანია | 27 | 12 | 7 | 8 | 42:39 | 43 |
| ობერჰაუზენი | 27 | 12 | 6 | 9 | 38:37 | 42 |
| მაინცი | 26 | 9 | 12 | 5 | 34:28 | 39 |
| დუისბურგი | 27 | 10 | 8 | 9 | 41:35 | 38 |
| აუე | 27 | 10 | 8 | 9 | 36:32 | 38 |
| რეგენსბურგი | 27 | 9 | 9 | 9 | 34:38 | 36 |
| უნტერჰახინგი | 27 | 9 | 8 | 10 | 33:36 | 35 |
| ლიუბეკი | 27 | 9 | 8 | 10 | 39:43 | 35 |
| ტრირი | 27 | 9 | 7 | 11 | 39:44 | 34 |
| კარლსრუე | 27 | 9 | 7 | 11 | 31:37 | 34 |
| ფიურტი | 27 | 7 | 11 | 9 | 42:42 | 32 |
| ბურგჰაუზენი | 27 | 8 | 8 | 11 | 31:33 | 32 |
| ალენი | 27 | 9 | 5 | 13 | 28:39 | 32 |
| უნიონი | 27 | 7 | 7 | 13 | 31:36 | 28 |
| ოსნაბრიუკი | 27 | 6 | 5 | 16 | 26:44 | 23 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

#### XXV ტური

ზანკტ პაული — ქემნიცი 1:0; ვატენშაიდი — პადერბორნი 1:1; ნოიმიუნსტერი — ლაიპციგი 2:1; იურდინგენი — დორტმუნდი (მ) 2:1; ბრაუნშვაიგი — შალკე (მ) 2:2; დინამო — ესენი 0:0; ვუპერტალი — კილი 2:1; მიუნსტერი — ჰამბურგი (მ) 1:0. *ვერდერი (მ) — კიოლნი (მ) დღეს გაიმართება*

### სამხრეთ რეგიონალლიგა

#### XXV ტური

ელვერსბერგი — შვაინფურტი 1:2; პფულენდორფი — მაინცი (მ) 1:1; კიკერსი — ზიგენი 3:2; ოფენბახი — აალენი 1:1; აუგსბურგი — ერფურტი 1:1; ჰოფენჰაიმი — ვეჰენი 2:0; ფოიხტი — შტუტგარტი (მ) 2:0; ეჰბორნი — ზაარბრიუკენი 1:1; კაიზერსლაუტერნი (მ) — ბაიერნი (მ) 1:4

# მილანს ფრენამ აწყინა

## იტალია

### სერია A. XXVIII ტური

**მოდენა 1:1 მილანი**

0:1 ტომასონი (42), 1:1 ამორუზო (51)
მოდენა: ძანკოპე, პავანი (მენსა 73), მ. მაიერი, გრანდონი, ბალესტრი, პონცო (სკოპონი 50), მარასკო, ვინიაროლი, დომიცი, დ. კამარა, მაკინვა (ნ. ამორუზო 46)
მწვრთნელი: ჯანფრანკო ბელოტო
მილანი: დიდა, შიმიჩი (სერჟინიო 63), ნესტა, მალდინი, პანკარო, ამბროზინი (გატუზო 26), პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (კაკა 70), ფ. ინძაგი, ტომასონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: პონცო, ნესტა, მალდინი, ვინიაროლი, ბალესტრი, დომიცი, კამარა, პირლო
მსაჯი: დე სანტისი
19 000 მაყურებელი

**ლეჩე 0:3 რომა**

0:1 ემერსონი (51), 0:2 ბოვო (54), 0:3 ტოტი (90პ)
ლეჩე: სიჩინიანო, სივილია, სტოვინი, ბოვო, ტონეტო (ბილი 74), კასეტი, ბოლანო, ლედესმა, დ. ფრანჩესკინი (პელე 58), ბოჟინოვი (ვ. დალმა 58), კონანი
მწვრთნელი: დელიო როსი
რომა: პელიცოლი, ძებინა, ვ. სამუელი (დელვეკიო 89), კივუ, ფ. ლიმა, მანსინი, ემერსონი, დაკური (დელასი 87), დაგოსტინო (ტომაზი 77), ტოტი, ა. კასანო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, კივუ, ტოტი, ბოვო, სივილია
მსაჯი: ტრეფოლონი
16 266 მაყურებელი

**ლაციო 5:2 სიენა**

1:0 სეზარი (4), 1:1 გიგუ (10), 1:2 ტადეი (24), 2:2 ფიორე (29), 3:2, 4:2 სეზარი (45, 49), 5:2 კორადი (78)
ლაციო: სერენი, ოდო, სტამი, მიხაილოვიჩი, ძაური, ფიორე (ფ. კოუტუ 81), დაბო, ალბერტინი, სეზარი, ს. ინძაგი (მუცი 73), კ. ლოპესი (კორადი 39)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
სიენა: ფორტინი, კუფრე, ჟუარესი, მინანი, გიგუ, ტადეი, ვერგასოლა, დავერსა (ვენტოლა 67), ლაზეტიჩი (კიეზა 67), კუჩარი, ტ. ფლო (მენეგაცო 80)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: ალბერტინი
მსაჯი: დონდარინი
50 000 მაყურებელი

**კიევო 0:2 პარმა**

0:1 მარკიონი (31), 0:2 ჯილარდინო (71)
კიევო: ფრეცოლინი, ფ. მორო, დანა, ბარძალი, ბონომი (სალა 46), სემიოლი (ამაური 64), პეროტა, ბარონიო, ლუსიანო, სკული, ფ. კოსატო (პელისიერი 46)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
პარმა: ს. ფრეი, ბონერა (ბენარივო 86), მ. ფერარი, პ. კანავარო, პოტენცა, ბარონე, ბლაზი, მარკიონი, დონადელი (კარბონე 58), ბრეშიანო, ჯილარდინო (კამარატა 90)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: კანავარო, ბონერა
გაძევება: ბარონიო (72), მარკიონე (72)
მსაჯი: ფარინა
11 047 მაყურებელი

**ანკონა 0:1 სამპდორია**

0:1 ბაცანი (18)
ანკონა: მარკონი, ბოლიჩი, მ. ესპოზიტო, ჯაკობო, ლ. ელგერა, დ. ბაჯო, დ. ანდერსონი (დე ფალკო 65), მაინი (სოლიანო 30), სომეზე (ბუკი 69), განცი, რაპაიჩი
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კონტე, კაროციერი, საკეტი, დიანა, ვოლპი (დონატი 90), პალომბო, დონი (პაგანო 65), ბაცანი, ჩიპრიანი (ფლორო ფლორესი 79)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ბაჯო, ვოლპი, ბუკი, განცი
მსაჯი: პრესკერნი
10 200 მაყურებელი

**უდინეზე 4:3 ბრეშა**

1:0 იაკინტა (5), 2:0 ფავა (15), 3:0 იაკინტ (30), 3:1 ბაჯო (45), 3:2 დი ბიაჯო (46), 3:3 მანიერო (61), 4:3 ფავა (82)
უდინეზე: დე სანკტისი, ბერტოტო, კროლდრუპი, ფელიპე, ალბერტო (იანკერი 80), დ. პიზარო (პიერინი 83), როსიტო, იანკულოვსკი, იორგენსენი, იაკინტა (კასტრომანი 58), ფავა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ბრეშა: ალიარდი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი (სტანკევიჩიუსი 30), დი ბიაჯო, დაინელი, პ. კასტელინი, ბრიგი, მატუზალემი, ჯ. კოლუჩი (მანიერო 46), დელ ნერო (შოპი 75), რ. ბაჯო
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: იაკინტა, ბრიგი, როსიტო, სტანკევიჩიუსი
მსაჯი: ბოლონინო
16 000 მაყურებელი

**ბოლონია 2:2 რეჯინა**

0:1 დი მიკელე (8), 0:2 სტელონე (30), 1:2 ლოკატელი (43), 2:2 ბელუჩი (67)
ბოლონია: პალიუკა, ძაკარდო, ნატალი, მორეტი, ნერვო (მეგნი 27), ნაკატა, ლ. კოლუჩი (პეკია 61), ლოკატელი (ბელუჩი 61), სუსი, ტარე, სინიორი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, ტორიზი, ი. ფრანჩესკინი, მესტო, მოცარტი (პარედესი 60), ტედესკო, კომოტო, კოცა (ბაიოკო 64), სტელონე (ნაკამურა 82), დი მიკელე
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: სუსი, კოლუჩი, ტედესკო, ბელუჩი
მსაჯი: რაკალბუტო
21 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:0 პერუჯა**

1:0 როკი (64)
ემპოლი: ბალი, ბელერი, კრიბარი, ვარგასი (ტავანო 63), კუპი, ჯამპიერეტი (ფიჩინი 46), გრელა, ბუშე, ვანუკი, დი ნატალე (ფოჯა 46), როკი
მწვრთნელი: ატილიო პეროტა
პერუჯა: კალაჩი, დიამუტენე (უბნერი 69), დი ლორეტო, ფრეზი, ფაბიანო, ზე მარია, კოდრია (დო პრადო 69), ობოდო, დი ფრანჩესკო (გატი 90), რავანელი, ბრიენძა
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: გრელა, ვანუკი, დო პრადო, ფრეზი
მსაჯი: პაპარესტა
6 098 მაყურებელი

**ინტერი — იუვენტუსი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

მორჩა, „ანკონა" გავარდა! ახლა სხვა ამბები: „მილანის" საქმე ისევეა, როგორც წინა ტურში — ორი ქულა დაკარგა, კახა კალაძეს კვლავ არ უთამაშია, არ უთამაში ანდრეი შევჩენკოსაც. ხოლო ბრაზილიელები კაფუ და კაკა სანაკრებო მატჩის გამო სამხრეთ ამერიკაში გადაფრენილ-გადმოფრენილები იყვნენ და ისვენებდნენ — თუმცა კაკამ ბოლო ცხრამეტი წუთი მაინც ითამაშა.

„მოდენას" მოგეხსენებათ, ახალი მწვრთნელი ჰყავს, ჯანფრანკო ბელოტო, რომლის ხელმძღვანელობით გუნდმა წინა ტურში ტურინში, „იუვენტუსთან" 1:3 წააგო, გუშინ კი „სტადიო ბრალიაზე" პირველად ითამაშა და თვით „მილანს" არ დაუდო ტოლი.

„მილანის" მაისურით მე-200, ოღონდ უიღბლო თამაში ჩაატარა მასიმო ამბროზინიმ, რომელსაც 25-ე წუთზე მოედნიდან კოჭლობით მოუხდა გასვლა.

42-ე წუთზე კლარენს ზეედორფის დაბალი დარტყმული მასპინძლებმა პირდაპირ იონ დალ ტომასონის წინ მოიგერიეს და დანიელმაც ანგარიში გახსნა. შესვენების შემდეგ კი „მოდენას" შემადგენლობაში ნიკოლა ამორუზო შევიდა და კამარას დაწყებული კონტრშეტევა შედეგიანი დარტყმით დააგვირგვინა. ცოტა ხანში ფილიპო ინძაგის შეეძლო „მილანის" მეორე გოლის შეგდება, მაგრამ ხელსაყრელი მდგომარეობიდან თავით ააცილა. შემდეგი დასამახსოვრებელი ეპიზოდიც იგივე შინაარსისა იყო, ინძაგიმ საგოლე მომენტით ვერ ისარგებლა, მეკარე ძანკოპეს ვერ აჯობა. კიდევ, მომენტები ზეედორფს და კაკას ჰქონდათ, რასაც ისევ ინძაგის უიღბლობა და კაკას უზუსტობა მოჰყვა. სულ ბოლოს ფეხბურთელები ერთმანეთზე გაიწიენ, რაშიც ყველაზე მეტად მილანელთაგან ჯენარო გატუზო და მოდენელთაგან იაკოპო ბალესტრი აქტიურობდნენ, მაგრამ საქმეში პოლიციელები ჩაერივნენ და მოშულარნი დააშორეს.

ხოლო „რომამ" წინა ტურისგან განსხვავებით „მილანის" წაფორხილება „უყურადღებოდ" აღარ დატოვა და ლეჩეში მოიგო, თუმცა, რომ გითხრათ, მაგალითად, ფრანჩესკო ტოტიმ ბევრი ოფლი ღვარაო, მართალი არ ვიქნებით.

გოლები მეორე ტაიმში გავიდა. ჯერ, 50-ე წუთზე გაეტანო დაგოსტინოს ჩაწოდებულ კუთხურს ემერსონმა თავური, თუმცა უფრო კეფური დაარტყა და ანგარიში გახსნა, შემდეგ იმავე დაგოსტინომ საჯარიმოდან ჩააწოდა დაბალი, ხოლო „ლეჩეს" მცველმა ჩეზარე ბოვომ საკუთარ კარში „ვაჟკაცურად გაჭედა", მესამე გოლი კი ტოტის დარტყმული პენალტი იყო. პენალტი ანტონიო კასანოს დაგდებისთვის დანიშნეს.

საინტერესო გამოდგა რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" „სიენას" სტუმრობა. ამ შვიდგოლიან თამაშში სამი რომაელმა სეზარმა გაიტანა. სხვათა შორის, „სიენა" სწორედ ის გუნდია, რომელმაც ბოლო შეხვედრისას სწორედ ამ „ლაციოს" 3:0 აჯობა.

საინტერესოდ მიდიოდა ანგარიშიც. თავიდან „ლაციომ" შეაგდო, შემდეგ „სიენამ" და იმის შემდეგაც სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ დაწინაურებას ოთხ წუთზე მეტი არ ეწერა, მერე მხოლოდ რომაელებს გაჰქონდათ.

და კიდევ, შვიდგოლიანი გამოდგა უდინეში „ბრეშას" სტუმრობაც, ოღონდ აქ სიუჟეტი განსხვავებული გამოვიდა — „უდინეზე" 3:0-ს იგებდა, „ბრეშამ" 3:3 გახადა და ამის შემდეგლა მოახერხეს მასპინძლებმა გამარჯვების გოლის შეგდება. ბრეშელთაგან ერთი რობერტო ბაჯომ გაიტანა (203-ე გოლი სერია A-ში), ერთხელაც ძელს გაარტყა და კიდევ ერთხელ სულ ოდნავ ააცილა.

სხვათა შორის, ბოლო, გამარჯვების გოლი „უდინეზემ" შემთხვევით შეაგდო.

**ბაბუნა ძიძია**



REUTERS რომიდან

ლაციო —სიენა. მასპინძელთა ბრაზილიელმა სეზარმა „სიენას" მცველებში ინავარდა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 28 | 21 | 6 | 1 | 56:19 | 37 | 69 | 14 | 11 | 2 | 1 | 33:13 | 20 | 35 | 14 | 10 | 4 | 0 | 23:6 | 17 | 34 |
| 2 რომა | 27 | 18 | 6 | 3 | 59:13 | 46 | 60 | 14 | 11 | 1 | 2 | 38:8 | 30 | 34 | 13 | 7 | 5 | 1 | 21:5 | 16 | 26 |
| 3 იუვენტუსი | 27 | 18 | 5 | 4 | 54:31 | 23 | 59 | 14 | 11 | 1 | 2 | 34:14 | 20 | 34 | 13 | 7 | 4 | 2 | 20:17 | 3 | 25 |
| 4 ლაციო | 27 | 14 | 5 | 8 | 43:30 | 13 | 47 | 13 | 8 | 2 | 3 | 27:14 | 13 | 26 | 14 | 6 | 3 | 5 | 16:16 | 0 | 21 |
| 5 პარმა | 28 | 13 | 8 | 7 | 44:37 | 7 | 47 | 13 | 6 | 4 | 3 | 20:13 | 7 | 22 | 15 | 7 | 4 | 4 | 24:24 | 0 | 25 |
| 6 ინტერი | 27 | 12 | 7 | 8 | 44:27 | 17 | 43 | 13 | 6 | 3 | 4 | 23:11 | 12 | 21 | 14 | 6 | 4 | 4 | 21:16 | 5 | 22 |
| 7 უდინეზე | 28 | 11 | 9 | 8 | 35:32 | 3 | 42 | 15 | 6 | 5 | 4 | 18:14 | 4 | 23 | 13 | 5 | 4 | 4 | 17:18 | -1 | 19 |
| 8 სამპდორია | 28 | 10 | 11 | 7 | 36:34 | 2 | 41 | 14 | 7 | 3 | 4 | 22:18 | 4 | 24 | 14 | 3 | 8 | 3 | 14:16 | -2 | 17 |
| 9 ბოლონია | 28 | 9 | 8 | 11 | 36:40 | -4 | 35 | 15 | 6 | 4 | 5 | 22:22 | 0 | 22 | 13 | 3 | 4 | 6 | 14:18 | -4 | 13 |
| 10 კიევო | 28 | 8 | 9 | 11 | 28:32 | -4 | 33 | 14 | 3 | 5 | 6 | 13:18 | -5 | 14 | 14 | 5 | 4 | 5 | 15:14 | 1 | 19 |
| 11 ბრეშა | 28 | 7 | 10 | 11 | 45:50 | -5 | 31 | 14 | 4 | 5 | 5 | 26:23 | 3 | 17 | 14 | 3 | 5 | 6 | 19:27 | -8 | 14 |
| 12 სიენა | 28 | 7 | 9 | 12 | 35:44 | -9 | 30 | 13 | 7 | 3 | 3 | 21:9 | 12 | 24 | 15 | 0 | 6 | 9 | 14:35 | -21 | 6 |
| 13 ლეჩე | 28 | 7 | 7 | 14 | 31:46 | -15 | 28 | 14 | 3 | 4 | 7 | 13:20 | -7 | 13 | 14 | 4 | 3 | 7 | 18:26 | -8 | 15 |
| 14 რეჯინა | 28 | 5 | 13 | 10 | 24:39 | -15 | 28 | 14 | 3 | 7 | 4 | 11:14 | -3 | 16 | 14 | 2 | 6 | 6 | 13:25 | -12 | 12 |
| 15 მოდენა | 28 | 5 | 11 | 12 | 24:38 | -14 | 26 | 14 | 4 | 6 | 4 | 15:16 | -1 | 18 | 14 | 1 | 5 | 8 | 9:22 | -13 | 8 |
| 16 ემპოლი | 28 | 6 | 8 | 14 | 20:44 | -24 | 26 | 14 | 5 | 5 | 4 | 14:14 | 0 | 20 | 14 | 1 | 3 | 10 | 6:30 | -24 | 6 |
| 17 პერუჯა | 28 | 3 | 13 | 12 | 34:48 | -14 | 22 | 14 | 1 | 10 | 3 | 22:24 | -2 | 13 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:24 | -12 | 9 |
| 18 ანკონა | 28 | 0 | 7 | 21 | 13:57 | -44 | 7 | 14 | 0 | 6 | 8 | 5:19 | -14 | 6 | 14 | 0 | 1 | 13 | 8:38 | -30 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 20 |
| ტოტი (რომა) | 16 |
| ჯილარდინო (პარმა) | 15 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 14 |
| ჩევანტონი (ლეჩე) | 14 |

**XXVIII ტური**

10 აპრილი

ანკონა — ბოლონია
რომა — კიევო
მილანი — ემპოლი
პერუჯა — ინტერი
იუვენტუსი — ლაციო
პარმა — ლეჩე
ბრეშა — მოდენა
სიენა — სამპდორია
რეჯინა — უდინეზე

## სერია B

### XXXVI ტური

**პალერმო 5:0 კატანია**

1:0 ე. ფილიპინი (7), 2:0 ბიავა (29), 3:0 ტონი (56), 4:0 ე. ფილიპინი (69), 5:0 ტონი (72პ)

**სალერნიტანა 0:0 ნაპოლი**

**კალიარი 3:2 კომო**

0:1 კარპარელი (30), 1:1 კ. ესპოზიტო (37), 1:2 კარპარელი (51), 2:2 კ. ესპოზიტო (65), 3:2 ლანგელა (84)

**ფიორენტინა 1:0 ტერნანა**

1:0 გრაფიედი (9)

**ჯენოა 2:0 ვიჩენცა**

1:0 კაჩა (35), 2:0 კორდონე (89)

**ლივორნო 5:1 პესკარა**

1:0 ლუკარელი (30პ), 2:0 პროტი (47), 3:0 ლუკარელი (53პ), 4:0 პროტი (74), 4:1 გორგონე (77), 5:1 დანილევიჩუსი (80)

**მესინა 1:0 ბარი**

1:0 სოსა (43)

**პიაჩენცა 0:0 ალბინოლეფე**

**ტორინო 0:0 ვენეცია**

**ტრიესტინა 1:0 ტრევიზო**

1:0 რიგონი (15)

**ატალანტა — ასკოლი**

*დღეს გაიმართება*

**აველინო — ვერონა**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 36 | 17 | 13 | 6 | 55:29 | 64 |
| მესინა | 36 | 16 | 13 | 7 | 52:34 | 61 |
| ლივორნო | 36 | 15 | 15 | 6 | 54:36 | 60 |
| კალიარი | 36 | 14 | 14 | 8 | 57:38 | 56 |
| ატალანტა | 35 | 13 | 17 | 5 | 41:30 | 56 |
| პიაჩენცა | 35 | 14 | 14 | 7 | 34:26 | 56 |
| ფიორენტინა | 36 | 14 | 14 | 8 | 42:39 | 56 |
| ტერნანა | 36 | 14 | 12 | 10 | 47:38 | 54 |
| ტრიესტინა | 36 | 13 | 15 | 8 | 43:39 | 54 |
| ტორინო | 36 | 12 | 14 | 10 | 45:37 | 50 |
| ვიჩენცა | 36 | 12 | 14 | 10 | 37:34 | 50 |
| კატანია | 36 | 13 | 11 | 12 | 40:40 | 50 |
| ნაპოლი | 36 | 10 | 19 | 7 | 29:30 | 49 |
| ჯენოა | 36 | 10 | 13 | 13 | 36:41 | 43 |
| ტრევიზო | 36 | 9 | 15 | 12 | 32:35 | 42 |
| ვენეცია | 36 | 9 | 14 | 13 | 28:38 | 41 |
| ალბინოლეფე | 36 | 10 | 11 | 15 | 31:43 | 41 |
| ასკოლი | 35 | 9 | 13 | 13 | 36:40 | 40 |
| სალერნიტანა | 35 | 10 | 10 | 15 | 28:37 | 40 |
| ვერონა | 35 | 9 | 12 | 14 | 40:47 | 39 |
| პესკარა | 36 | 9 | 11 | 16 | 29:48 | 38 |
| ბარი | 36 | 8 | 10 | 18 | 36:50 | 34 |
| კომო | 36 | 7 | 11 | 18 | 30:48 | 32 |
| აველინო | 35 | 3 | 13 | 19 | 30:55 | 22 |

## სერია C1/A

### XXVII ტური

ვარეზე — პრო პატრია 1:2; ს. ტორესი — ჩეზენა 1:0; ლუმეცანე — რეჯანა 2:2; ნოვარა — პიზა 0:1; პადოვა — არეცო 0:1; პავია — ჩიტადელა 1:1; პისტოიეზე — სპეცია 1:2; პრატო — სპალ 2:2. რიმინი — ლუკეზე *დღეს გაიმართება*

## სერია C1/B

### XXVII ტური

აკირეალე — ტერამო 1:0; კიეტი — ბენევენტო 2:0; კროტონე — მარტინა 2:1; ჯულიანოვა — სორა 1:0; აკილა — კატანძარო 0:1; პატერნო — ვიტერბეზე 4:2; სამბენედეტეზე — ფერმანა 5:0; ტარანტო — ფოჯა 1:3; პეზარო — ლანჩანო 0:3

# პატარა კარლოსი დიდია

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი. XXXI ტური

### ალბასეტე 1:2 რეალი

0:1, 0:2 რობერტო კარლოსი (18, 71), 1:2 პარი (81)
ალბასეტე: ალმუნია, ოსკარი, ბუადესი, პენია, პაბლო, დავიდ სანჩესი (პარი 54), კ. მუნტიანუ, ალვარო (ვიაუდი 65), გ. რედონდო, ფაბიანო კოშტა (მიკელი 54), პაჩეკო
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
რეალი: კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, მეხია, რობერტო კარლოსი, ფიგუ ბექემი, გუტი (ბორხა 67), ზიდანი (სოლარი 80), რაული, რონალდო (ნუნიესი 87)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: პაბლო, პარი, მეხია, ვიაუდი, სოლარი
მსაჯი: რამირეს დომინგესი
17 000 მაყურებელი

### ბარსელონა 0:0 ვილიარეალი

ბარსელონა: ვ. ვალდესი, რაიციგერი, მარკესი (გაბრი 23; ლუის ენრიკე 88), ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ლუის გარსია (კლუივერტი 71), ხავი, კოკუ, დავიდსი, რონალდინიო, სავიოლა
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ვილიარეალი: რეინა, მარტი, ბალესტეროსი, კოლოჩინი, არუაბარენა, რიკელმე, სენა (ხოსიკო 64), როხერი, ბატალია, ს. ანდერსონი, ხოსე მარი
მწვრთნელი: ფერნანდო გარსია პაკიტო
გაფრთხილება: ბატალია, ხოსე მარი, რაიციგერი, ვან ბრონკჰორსტი
მსაჯი: მეხია დავილა
50 000 მაყურებელი

### დეპორტივო 2:2 ბეტისი

1:0 ლუკე (13), 2:0 ვიქტორი (15), 2:1 ასუნსაო (34), 2:2 დანი (78)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, სესარი, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, მაურო სილვა, ვიქტორი (სერხიო 46), ვალერონი, დუშერი (პანდიანი 75), ტრისტანი, ლუკე (მუნიტისი 46)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, რივასი, ტაისი, არზუ, დენილსონი (კანიასი 86), ხოაკინი, ასუნსაო (ფერნანდო 58), ბენხამინი, ტოტე (დანი 68)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: დუშერი, მაურო სილვა, ლუის ფერნანდესი, სესარი, ტაისი, ტაისი
გაძევება: ტაისი (89)
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
25 000 მაყურებელი

### ატლეტიკო 2:1 ვალიადოლიდი

1:0 ტორესი (24), 2:0 პაუნოვიჩი (45), 2:1 რიკეტი (65)
ატლეტიკო: არაგონესესი, გარსია კალვო, სერხი (სიმეონე 66), ლეკი, გასპარი, დე ლოს სანტოსი, აგილერა (ნოვო 21), ნანო (გაბი 85), იბაგასა, ფ. ტორესი, პაუნოვიჩი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, ხონათანი, ტორეს გომესი, ოსკარი, ფიგერედო (ჩემა 52), კამინერო (კარდეტი 88), ფ. სალესი, რაფა (რიკეტი 52), ლოსადა
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ტორეს გომესი, სერხი, ლეკი, კამინერო, არაგონესესი, პაუნოვიჩი, იბაგასა
მსაჯი: პერეს ლასა
50 000 მაყურებელი

### ოსასუნა 1:1 მალაგა

1:0 მორალესი (22), 1:1 ინსუა (89)
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, ანტონიო ლოპესი, კრუსაგა, ხოსეჩო, პუნიალი, მოა (მატეო 79), პაბლო გარსია, რივერო (მუნიოსი 68), მორალესი (ვებო 59), ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
მალაგა: კალატაიუდი, ხოსემი, ლიტოსი, ვალკარსე, ხერარდო (კანაბალი 84), მანუ (ინსუა 46), ლეკო, დუდა (დიეგო ალონსო 46), მიგელ ანხელი, ედგარი, სალვა
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ხოსემი, პუნიალი, კანაბალი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
14 843 მაყურებელი

### ბილბაო 0:0 სელტა

ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ორბაისი, იესტე (ესკერო 46), ხავი გონსალესი, ირაოლა (ხონანი 57), გურპეგი, დელ ორნო, ტიკო (ლარასაბალი 89), ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
სელტა: კავალიერო, ველასკო, ბერიცო, ანხელი, ხუანფრანი, მენდესი, გუსტავო ლოპესი (მილოშევიჩი 75), ხოსე იგნასიო, ილიჩი (მოსტოვოი 63), ოუბინია, ედუ (ხესული 88)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: ხუანფრანი, კარანკა, კარანკა
გაძევება: კარანკა (87)
მსაჯი: ესკინას ტორესი
32 000 მაყურებელი

### სარაგოსა 2:2 რასინგი

1:0 დანი (38), 2:0 ვილა (51), 2:1 პაბლო კასარი (54), 2:2 მორანი (81)
სარაგოსა: ლაინესი, კუარტერო, ალვარო, მილიტო, გალეტი (ჩანი 64), სავიო, პონციო (ხენერელო 68), მოვილია, დავიდ პირი (ტოლედო 75), ვილა, დანი
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
რასინგი: რიკარდო, ნერუ, პაბლო კასარი, კრისტიან ალვარესი, ხუანმა, ნაფტი, მორანი, რეგუერო (აფეკი 80), მატეო (ბენაიუნი 65), ბოდიპო (მორა 65), ხავი გერერო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: დავიდ პირი, მატეო, ნერუ
მსაჯი: ტრისტანტე ოლივა
32 000 მაყურებელი

### მალიორკა 1:1 სოსიედადი

0:1 გაბილონდო (32), 1:1 პერეირა (58)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ლუსენჰოფი, კორტესი, პოლი, კამპანო (კორეა 46), პერეირა, კოლსა (ხესუს პერერა 53), ნენე (დულიბაშიჩი 57), ფინიდი, რამისი, ეტოო
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
სოსიედადი: ალბერტო, კვარმე, ლოპეს რეკარტე, შურერი, პოტილიონი, ხაბი ალონსო, კარპინი, გაბილონდო, ალკისა (ბორისი 70), კოვაჩევიჩი, ნიჰათი (დე პაულა 78)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
მსაჯი: პუენტეს ლეირა
22 000 მაყურებელი

### სევილია 1:0 ესპანიოლი

1:0 ანტონიტო (51)
სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, პაბლო ალფარო, ანტონიო ლოპესი, გალიარდო (ხ. რედონდო 88), მარტი, ბაპტისტა, ანტონიტო (ტორადო 68), კარლოსი (დარიო სილვა 46)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ესპანიოლი: ლემენსი, ვომე, დავიდ გარსია (დე ლა პენია 57), ტორიჩელი, დომორო, ვინიალი, პოჩეტინიო, მაქსი (კრუიფი 73), ფრედსონი (ალექს ფერნანდესი 64), მ. ჰაჯი, ტამუდო
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: ვინიალი, ესტებანი, მარტი, ანტონიო ლოპესი, ალექს ფერნანდესი, ხავი ნავარო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
30 000 მაყურებელი

### ვალენსია — მურსია

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

„რეალმა“ ლიდერობა შეინარჩუნა, რაშიც ბრაზილიელ ფეხბომბა მცველს, რობერტო კარლოსს უნდა უმადლოდეს, თუმცა ცოტაოდენი იღბალი რომ არა, მადრიდელებს ვერც ჩია ბრაზილიელი უშველიდა.

„ალბასეტესთან“ მატჩში, რომელსაც თავი სამშვიდობოს ვერ დაუგულებია და ეგებ უკან სეგუნდადივიზიონშიც დაბრუნდეს, წესითა და რიგით, „რეალს“ არ უნდა გაჭირვებოდა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა. მასპინძლები გონივრულად იცავდნენ თავს და იერიშებიც ჭკვიანურად ჰქონდათ აწყობილი. ერთი სიტყვით, „რეალმა“ ალბასეტელთა კარს გასაღები ვერ მოუძებნა და რობერტო კარლოსის ჯადო-ჯარიმების იმედად დარჩა.

რობერტო კარლოსმა საქმე ბრწყინვალედ შეასრულა. მისი პირველი, დაახლოებით ოცი მეტრიდან დარტყმული საჯარიმოთი, ბურთი რომელიღაც ალბასეტელ მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ბადეში გაეხვა. მეორე საჯარიმოდან კი ბურთი კვლავ რიკოშეტით წავიდა კარში, ოღონდ ამჯერად ლუიშ ფიგუს გაეხახუნა.

„ალბასეტეს“ სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ ასეთმა უბედობამ ვერ გატეხა და ერთ-ერთი მორიგი იერიშისას ლიბერო პარის გოლს გამორჩა.

ამასობაში მოსაზრება, რომ „ბარსელონას“ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეეძლო, ფაქტობრივად, გაქარწყლდა. ზედიზედ ცხრა მოგების მერე „ბარსამ“ „კამპ ნოუზე“ „ვილიარეალს“ ვერაფერი მოუხერხა და უგოლოდ გაეყარა. ამგვარად, კატალონიელები ლიდერს 11 ქულით ჩამორჩებიან და მართალია, ერთი თამაში მარაგში აქვთ, ჩამორჩენის აღმოფხვრა მაინც საეჭვოა.

პირველ ტაიმში ფრანკ რაიკარდის ბიჭებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვერაფერს გამორჩნენ, მეორე ტაიმში კი უკეთ „ვილიარეალი“ გამოიყურებოდა. ყოფილი ბარსელონელებით გაძლიერებული სტუმრები თამაშის მიწურულს მოგებასთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ თავისი შანსი მათაც გააფუჭეს.

წყალი შეუდგა „დეპორტივოს“ საჩემპიონო ოცნებასაც. ლაკორუნიელებმა სულელურად დაკარგეს სამი ქულა.

გალისიელებისთვის „რეალ ბეტისთან“ მატჩი უკეთესი რომ არ შეიძლება, ისე დაიწყო — მეთექვსმეტე წუთისთვის ალბერტ ლუკეს და ვიქტორის გოლებით მასპინძლები 2:0 იგებდნენ. მერე კი მონასტერი აირია და თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე მარკოს ასუნსაომ დიდებული საჯარიმო დარტყმით სხვაობა შეამცირა. ხოლო თამაშის დასრულებამდე 19 წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა დანიმ ასევე საჯარიმო დარტყმით „დეპორტივო“ სახტად და მშრალზე დატოვა.

ასევე 2:0 იგებდა „სარაგოსა“, მაგრამ „რასინგმა ბოლოს მაინც გაათანაბრა. თუმცა სამეფო თასის მომგები და უეფას თასზე გასული სარაგოსელები ამის გამო ალბათ ნაკლებად იდარდებენ, რასაც ვერ ვიტყვით „ოსასუნაზე“, პამპლონელებმა „მალაგასთან“ საშინაო შეხვედრაში ბოლოსწინა წუთზე დაკარგეს სამი ქულა, რომელიც საუეფასთასო ადგილზე შედარებით მშვიდად ყოფნის საშუალებას მისცემდათ. ესპანეთიდან უეფას თასზე მეხუთე და მეექვსე ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ და ცხრილში ჩახედვით ადვილად მიხვდებით, რომ ამ ადგილებისთვის დარჩენილ ტურებში ფიცხელი ბრძოლა გაიმართება.

**ჭოტე ჭეჭელია**




რობერტო კარლოსი დიდ ბიჭებში არ დაიკარგა



ბარსელონა — ვილიარეალი. ხავიერ სავიოლა საგოლედ ერთხელაც ვერ გაიქცა

## სეგუნდადივიზიონი

XXXI ტური

### სიუდად მურსია 2:0 ელჩე

1:0 გუიზა (65), 2:0 კამუნიასი (80)

### ეიბარი 5:0 რაიო ვალეკანო

1:0 კუევასი (21), 2:0 საისარი (50), 3:0 კარმონა (56), 4:0 გარიტანო (75), 5:0 ბრიტი (90)

### ხეტაფე 3:0 ლას პალმასი

1:0 კრაიოვიანუ (61), 2:0 კუბილიო (84), 3:0 პაჩონი (90)

### ალხესირასი 0:1 კორდობა

0:1 რამონი (22)

### მალაგა B 1:5 ლევანტე

1:0 როდრიგესი (28), 1:1 დესკარგა (34), 1:2 აგანსო (43), 1:3 რივერა (56), 1:4 აგანსო (80), 1:5 ალექსისი (89)

### კადისი 3:1 უელვა

1:0 ხონათანი (39), 1:1 დე კინტანა (49ს.კ.), 2:1 დე კინტანა (75), 3:1 ხონათანი (87პ)

### ალავესი 1:0 სალამანკა

1:0 დე ლუკასი (46პ)

### ალმერია 1:2 ხერესი

1:0 ფრანსისკო (42პ), 1:1, 1:2 დანი პენდინი (43, 90)

### სპორტინგი 1:0 პოლი ეხიდო

1:0 ბილიჩი (70)

### ნუმანსია 3:0 ლეგანესი

1:0 პინედა (49), 2:0 ხაიმე მოლინა (62), 3:0 ფაგიანი (69)

### ტენერიფე 0:0 ტერასა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევანტე | 31 | 16 | 9 | 6 | 37:21 | 57 |
| ნუმანსია | 31 | 16 | 8 | 7 | 42:21 | 56 |
| სპორტინგი | 31 | 16 | 7 | 8 | 42:27 | 55 |
| ხეტაფე | 31 | 13 | 12 | 6 | 36:29 | 51 |
| ალავესი | 31 | 13 | 11 | 7 | 31:23 | 50 |
| კადისი | 31 | 14 | 5 | 12 | 37:30 | 47 |
| ეიბარი | 31 | 11 | 12 | 8 | 32:20 | 45 |
| უელვა | 31 | 9 | 17 | 5 | 30:24 | 44 |
| სიუდად მურსია | 31 | 9 | 13 | 9 | 40:46 | 40 |
| ელჩე | 31 | 10 | 10 | 11 | 36:44 | 40 |
| კორდობა | 31 | 9 | 12 | 10 | 27:26 | 39 |
| ხერესი | 31 | 8 | 15 | 8 | 34:38 | 39 |
| ტერასა | 31 | 10 | 9 | 12 | 31:34 | 39 |
| სალამანკა | 31 | 7 | 16 | 8 | 34:30 | 37 |
| პოლი ეხიდო | 31 | 10 | 7 | 14 | 25:34 | 37 |
| ლეგანესი | 31 | 8 | 11 | 12 | 29:38 | 35 |
| რაიო | 31 | 10 | 5 | 16 | 34:46 | 35 |
| ალმერია | 31 | 7 | 13 | 11 | 33:37 | 34 |
| ტენერიფე | 31 | 6 | 16 | 9 | 21:26 | 34 |
| მალაგა B | 31 | 7 | 12 | 12 | 32:42 | 33 |
| ლას პალმასი | 31 | 7 | 12 | 12 | 36:48 | 33 |
| ალხესირასი | 31 | 3 | 12 | 16 | 26:41 | 21 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რეალი | 31 | 20 | 7 | 4 | 64:36 | 28 | 67 | 15 | 13 | 2 | 0 | 38:13 | 25 | 41 | 16 | 7 | 5 | 4 | 26:23 | 3 | 26 |
| 2 ვალენსია | 30 | 19 | 6 | 5 | 60:21 | 39 | 63 | 15 | 10 | 2 | 3 | 32:13 | 19 | 32 | 15 | 9 | 4 | 2 | 28:8 | 20 | 31 |
| 3 დეპორტივო | 31 | 17 | 6 | 8 | 50:30 | 20 | 57 | 16 | 11 | 2 | 3 | 30:14 | 16 | 35 | 15 | 6 | 4 | 5 | 20:16 | 4 | 22 |
| 4 ბარსელონა | 30 | 16 | 8 | 6 | 48:32 | 16 | 56 | 16 | 7 | 6 | 3 | 25:13 | 12 | 27 | 14 | 9 | 2 | 3 | 23:19 | 4 | 29 |
| 5 ატლეტიკო | 31 | 13 | 9 | 9 | 38:36 | 2 | 48 | 16 | 10 | 5 | 1 | 25:11 | 14 | 35 | 15 | 3 | 4 | 8 | 13:25 | -12 | 13 |
| 6 ოსასუნა | 31 | 10 | 15 | 6 | 32:27 | 5 | 45 | 16 | 6 | 7 | 3 | 21:17 | 4 | 25 | 15 | 4 | 8 | 3 | 11:10 | 1 | 20 |
| 7 ბილბაო | 31 | 12 | 9 | 10 | 40:39 | 1 | 45 | 15 | 9 | 3 | 3 | 23:14 | 9 | 30 | 16 | 3 | 6 | 7 | 17:25 | -8 | 15 |
| 8 მალაგა | 31 | 13 | 4 | 14 | 41:44 | -3 | 43 | 15 | 8 | 3 | 4 | 28:22 | 6 | 27 | 16 | 5 | 1 | 10 | 13:22 | -9 | 16 |
| 9 სევილია | 31 | 11 | 8 | 12 | 40:36 | 4 | 41 | 15 | 9 | 2 | 4 | 22:11 | 11 | 29 | 16 | 2 | 6 | 8 | 18:25 | -7 | 12 |
| 10 ვილიარეალი | 31 | 11 | 8 | 12 | 39:40 | -1 | 41 | 15 | 7 | 5 | 3 | 24:16 | 8 | 26 | 16 | 4 | 3 | 9 | 15:24 | -9 | 15 |
| 11 ბეტისი | 30 | 9 | 12 | 9 | 38:34 | 4 | 39 | 15 | 4 | 8 | 3 | 18:16 | 2 | 20 | 15 | 5 | 4 | 6 | 20:18 | 2 | 19 |
| 12 რასინგი | 31 | 10 | 9 | 12 | 41:49 | -8 | 39 | 15 | 5 | 3 | 7 | 20:25 | -5 | 18 | 16 | 5 | 6 | 5 | 21:24 | -3 | 21 |
| 13 სარაგოსა | 31 | 10 | 8 | 13 | 36:41 | -5 | 38 | 15 | 5 | 6 | 4 | 18:14 | 4 | 21 | 16 | 5 | 2 | 9 | 18:27 | -9 | 17 |
| 14 ვალიადოლიდი | 31 | 9 | 9 | 13 | 37:44 | -7 | 36 | 15 | 6 | 5 | 4 | 18:15 | 3 | 23 | 16 | 3 | 4 | 9 | 19:29 | -10 | 13 |
| 15 სოსიედადი | 31 | 9 | 9 | 13 | 35:43 | -8 | 36 | 16 | 6 | 5 | 5 | 19:19 | 0 | 23 | 15 | 3 | 4 | 8 | 16:24 | -8 | 13 |
| 16 ალბასეტე | 31 | 10 | 6 | 15 | 31:39 | -8 | 36 | 16 | 8 | 2 | 6 | 21:14 | 7 | 26 | 15 | 2 | 4 | 9 | 10:25 | -15 | 10 |
| 17 მალიორკა | 31 | 9 | 6 | 16 | 37:57 | -20 | 33 | 16 | 5 | 5 | 6 | 22:27 | -5 | 20 | 15 | 4 | 1 | 10 | 15:30 | -15 | 13 |
| 18 ესპანიოლი | 31 | 9 | 3 | 19 | 34:53 | -19 | 30 | 15 | 5 | 1 | 9 | 16:24 | -8 | 16 | 16 | 4 | 2 | 10 | 18:29 | -11 | 14 |
| 19 სელტა | 31 | 6 | 11 | 14 | 40:59 | -19 | 29 | 15 | 2 | 3 | 10 | 13:36 | -23 | 9 | 16 | 4 | 8 | 4 | 27:23 | 4 | 20 |
| 20 მურსია | 30 | 3 | 11 | 16 | 25:46 | -21 | 20 | 16 | 3 | 7 | 6 | 17:22 | -5 | 16 | 14 | 0 | 4 | 10 | 8:24 | -16 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 24 |
| მისტა (ვალენსია) | 17 |
| სალვა (მალაგა) | 17 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 15 |
| ტამუდო (ესპანიოლი) | 14 |

### XXXII ტური

11 აპრილი

ბეტისი — მალიორკა
სელტა — სევილია
ესპანიოლი — ალბასეტე
რასინგი — ბილბაო
რეალი — ოსასუნა
სოსიედადი — მურსია
ვალიადოლიდი — ბარსელონა
სარაგოსა — ვალენსია
ვილიარეალი — დეპორტივო
მალაგა — ატლეტიკო

# გახსოვდეს ნონდა

## ექიმმა აიაჩოს შაბანი გამოუწერა

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXI ტური

**ლიონი 1:2 მარსელი**

0:1 დროგბა (5), 1:1 ლუინდულა (17), 1:2 მერიემი (84)

**ბასტია 2:1 ნიცა**

1:0 ა. დიარა (28), 2:0 ფ. მორისი (37), 2:1 მესლინი (40)

**ბორდო 1:1 სტრასბური**

0:1 ლე პენი (81პ), 1:1 ედუარდო კოშტა (89)

**ლილი 1:0 რენი**

1:0 აჩიმოვიჩი (56)

**მეცი 5:0 ლე მანი**

1:0 ბორბიკონი (6), 2:0, 3:0, 4:0 მაულიდა (19, 52, 67), 5:0 ტიავუ (88)

**მონპელიე 1:0 ლანსი**

1:0 ბამოგო (32)

**პსჟ 3:2 ნანტი**

0:1 გ. პუიოლი (17), 1:1 არმანი (35ნს.კ.), 2:1 ბოშკოვიჩი (69), 3:1 პაულეტა (76), 3:2 ზიანი (90)

**ტულუზი 0:0 სოშო**

**მონაკო 3:3 აიაჩო**

0:1 ლოკო (24), 0:2, 0:3 რობინი (34, 40), 1:3 ნონდა (50), 2:3 პლასილი (66), 3:3 პრსო (90)

**გენგამი — ოსერი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

„აიაჩომ“ კინალამ სეზონის უდიდესი სენსაცია გამოაცხო. კორსიკელებმა პირველი ტაიმი „მონაკოს“ თვალისმომჭრელი სხვაობით მოუგეს, მაგრამ კუნძულელებს შესვენების შემდეგ არ გაუმართლათ.

თითქმის ნახევარწლიანი მკურნალობის შემდეგ გამოჯანმრთელებული დიდმეგოლე შაბანი ნონდა მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა და მისი დამსახურებაა, რომ „მონაკომ“ ქულა მოიპოვა.

ნონდამ ერთი თავად გაიტანა, ბოლო წუთზე კი დადო პრსოს საგოლე პასით დაეხმარა.

ჩემპიონმა კონკურენტის წაფორხილებით ვერ ისარგებლა. „პორტუსთან“ შეხვედრისთვის სამზადისში მყოფი „ლიონი“ შინ კამელ მერიემის გვიანი გოლით დამარცხდა. ანგარიში დიდიე დროგმა მატჩის დასაწყისშივე გახსნა. მასპინძლებმა პეგი ლუინდულას წყალობით გაათანაბრეს, მაგრამ „ლიონი“ მოსაგებად მომართულ გუნდს არ ჰგავდა.

ამასობაში მდევარმა პსჟ-მ იხეირა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას კვლავ შეუერთდა. ნანტელები გრეგორი პუიოლმა კონტრშეტევის შედეგად ახლოდან გატანილით დააწინაურა. სტუმართა სამწუხაროდ, სილვან არმანმა ბრანკო ბოშკოვიჩის ჩაწოდებული ბურთი საკუთარ კარში თავით ჩაჭრა. მეორე ტაიმის დასაწყისში პედრო პაულეტამ პენალტი ვერ შეაგდო — ლანდრომ მოიგერია. ბრანკო ბოშკოვიჩმა მოგვიანებით მეტოქე მცველის ჩაურევლად იხეირა, მერე კი თერთმეტი მეტრიდან ვერგამტანმა პაულეტამ ჩვიდმეტიოდ მეტრიდან აჯობა ლანდროს.

შეხვედრის მიწურულს სტუმრებმა მხოლოდ სხვაობის შემცირება შეძლეს. სტეფან ზიანიმ მეკარის მოგერიებულს ზუსტად დაამატა.

მეცში „ლე მანის“ დაცვისგან მხოლოდ გვარ-სახელები დარჩა. მასპინძლებმა მეტოქის საჯარიმოში თავის გემოზე ისეირნეს და ამ სეირნობაში ხუთი გოლი შეაგდეს. დამხვდურთაგან ტოიფილუ მაულიდა მეტად მონდომებული იყო და ჰეთ თრიქი მიითვალა. „ლე მანის“ თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გუნდს ყველა პირობა აქვს ქვედადივიზიონში დასაბრუნებლად.

ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ „სტარსბურმა“ ბორდოში ქულა მოიპოვა. მეტოქეებმა გოლები შეხვედრის მიწურულს, ათწუთიან მონაკვეთში გაცვალეს. ულრიხ ლე პენმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა, ედუარდო კოშტამ კი შორიდან დარტყმით გაათანაბრა.

გასულ ტურში პსჟ-ს მძლეველ „ლანსს“ „მონპელიემ“ ჰაბიბ ბამოგის კინკილა გოლით აჯობა. ცხრილში ქვევით დაშვებულმა მასპინძელმა შინ მიჯრით მეორე მატჩში მოიგოს და მდგომარეობა უმნიშვნელოდ გამოისწორა.

ტულუზში „სოშოს“ მაქაელ პაგისის პენალტით მოგება შეეძლო, მაგრამ სტუმართა ფორვარდმა თერთმეტი მეტრიდან ვერ გაიტანა. კორსიკაზე კი სამივე გოლი პირველმა ტაიმმა დაიტია. ალიუ დიარა და ფლორიან მორისმა თითოჯერ იხეირეს, კრისტოფ მესლინმა კი „ბასტიას“ ერთხელ უპასუხა და დამხვდურებმა შესვენების შემდეგ უპირატესობის შენარჩუნება შეძლეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 31 | 18 | 10 | 3 | 52:23 | 64 |
| ლიონი | 31 | 19 | 6 | 6 | 53:23 | 63 |
| პსჟ | 31 | 17 | 9 | 5 | 43:23 | 60 |
| სოშო | 31 | 15 | 9 | 7 | 44:32 | 54 |
| ოსერი | 30 | 15 | 5 | 10 | 46:25 | 50 |
| მარსელი | 31 | 15 | 5 | 11 | 44:36 | 50 |
| ნანტი | 31 | 13 | 7 | 11 | 39:31 | 46 |
| ლანსი | 31 | 13 | 6 | 12 | 27:40 | 45 |
| ნიცა | 31 | 10 | 14 | 7 | 34:29 | 44 |
| ლილი | 31 | 12 | 8 | 11 | 35:31 | 44 |
| ბორდო | 31 | 11 | 10 | 10 | 30:31 | 43 |
| რენი | 31 | 10 | 9 | 12 | 41:38 | 39 |
| ბასტია | 31 | 9 | 10 | 12 | 32:38 | 37 |
| სტრასბური | 31 | 8 | 9 | 14 | 40:48 | 33 |
| მეცი | 30 | 8 | 7 | 15 | 25:33 | 31 |
| გენგამი | 29 | 9 | 4 | 16 | 28:45 | 31 |
| აიაჩო | 31 | 8 | 7 | 16 | 27:48 | 31 |
| ტულუზი | 31 | 7 | 9 | 15 | 23:37 | 30 |
| მონპელიე | 31 | 8 | 4 | 19 | 36:59 | 28 |
| ლე მანი | 31 | 4 | 10 | 17 | 20:49 | 22 |

II დივიზიონი. XXXI ტური

გრენობლი — სენტ ეტიენი 2:2; ამიენი — ნანსი 2:1; ანჟერი — გენიონი 2:1; ბეზანსონი — სედანი 1:1; კაენი — კრეტეი 1:2; კლერმონი — ლე ავრი 1:1; ლავალი — შატორუ 2:0; რუანი — ლორიანი 0:1; ტრუა — ვალანსი 0:1. *ისტრი — ნიორი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ეტიენი | 30 | 17 | 5 | 8 | 34:25 | 56 |
| ისტრი | 30 | 16 | 7 | 7 | 34:16 | 55 |
| კაენი | 31 | 14 | 10 | 7 | 42:29 | 52 |
| ამიენი | 31 | 14 | 8 | 9 | 35:30 | 50 |
| ლორიანი | 31 | 14 | 7 | 10 | 47:34 | 49 |
| ნანსი | 31 | 12 | 12 | 7 | 40:27 | 48 |
| სედანი | 31 | 11 | 14 | 6 | 31:26 | 47 |
| ლე ავრი | 31 | 13 | 8 | 10 | 37:35 | 47 |
| ნიორი | 29 | 12 | 10 | 7 | 38:31 | 46 |
| შატორუ | 31 | 11 | 9 | 11 | 37:39 | 42 |
| კრეტეი | 31 | 9 | 12 | 10 | 34:37 | 39 |
| ტრუა | 30 | 9 | 12 | 9 | 30:34 | 39 |
| კლერმონი | 31 | 8 | 14 | 9 | 32:41 | 38 |
| ვალანსი | 31 | 8 | 11 | 12 | 37:43 | 35 |
| გრენობლი | 31 | 7 | 13 | 11 | 29:31 | 34 |
| ანჟე | 31 | 7 | 11 | 13 | 27:36 | 32 |
| ლავალი | 31 | 6 | 12 | 13 | 39:46 | 30 |
| ბეზანსონი | 30 | 5 | 12 | 13 | 27:39 | 27 |
| გენიონი | 31 | 4 | 14 | 13 | 25:39 | 26 |
| რუანი | 31 | 4 | 11 | 16 | 23:40 | 23 |




REUTERS

ლიონი — მარსელი. სტუმართა მეკარე ფაბიენ ბარტეზი ჯოვანი ელბერსაც მაგრად დაუდგა

## ბელგია

იუპილერლიგა. XXVIII ტური

**ანდერლეხტი 0:0 მუსკრონი**

**გენტი 1:1 ლიერსი**

1:0 ზეზეტო (50), 1:1 მი[illegible]უ (74)

**ანტვერპენი 3:1 გენკი**

1:0 იონსონი (20), 2:0 სერჟანი (66), 3:0 პივალიევიჩი (68), 3:1 ტიისი (83)

**ბევერენი 0:2 სტანდარდი**

0:1 ვალასიაკი (35), 0:2 კურბელიო (60)

**ბრიუგე 2:1 ლოკერენი**

1:0 დე კოკი (6), 2:0 ვ[illegible]რშეინი (23), 2:1 დე ოლივეირა (62)

**სენტ ტრუიდენი 1:2 მონსი**

0:1 კარდიასკო (6), 0:2 ვამბერტო (45), 1:2 მბონაბუკია (51)

**ვესტერლო 3:1 ბეერსხოტი**

0:1 კოორემენი (24), 1:1 ბრონო (26), 2:1 იანსენსი (71), 3:1 დე[illegible]ლენი (81)

**ჰეუსდენი 3:1 შარლერუა**

0:1 იკპება (3), 1:1 ბარკა (53), 2:1, 3:1 დე კამარგო (58, 78)

**ლუვიე 2:0 სერკლ ბრიუგე**

1:0 კოორემანი (13), 2:0 მაგრო (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 28 | 22 | 3 | 3 | 66:22 | 69 |
| ბრიუგე | 28 | 18 | 4 | 6 | 60:28 | 58 |
| სტანდარდი | 28 | 15 | 9 | 4 | 56:24 | 54 |
| მუსკრონი | 28 | 13 | 11 | 4 | 55:34 | 50 |
| ვესტერლო | 28 | 13 | 8 | 7 | 44:35 | 47 |
| გენკი | 28 | 12 | 8 | 8 | 48:36 | 44 |
| ბეერსხოტი | 28 | 9 | 11 | 8 | 24:28 | 38 |
| სენტ ტრუიდენი | 28 | 8 | 10 | 10 | 31:39 | 34 |
| გენტი | 28 | 7 | 12 | 9 | 26:28 | 33 |
| ლუვიე | 28 | 7 | 12 | 9 | 34:37 | 33 |
| ბევერენი | 28 | 10 | 3 | 15 | 35:48 | 33 |
| მონსი | 28 | 7 | 10 | 11 | 26:34 | 31 |
| ლიერსი | 28 | 6 | 13 | 9 | 25:33 | 31 |
| სერკლი | 28 | 6 | 11 | 11 | 22:44 | 29 |
| ლოკერენი | 28 | 7 | 7 | 14 | 35:49 | 28 |
| შარლერუა | 28 | 6 | 7 | 15 | 29:40 | 25 |
| ანტვერპენი | 28 | 6 | 5 | 17 | 23:52 | 23 |
| ჰეუსდენი | 28 | 5 | 6 | 17 | 27:55 | 21 |

II კლასი. XXX ტური

ვიგორი — აალსტი 1:0; დენდერლეუ — ტინენი 1:2; დესელი — ეუპენი 1:1; ვარეგემი — გეელი 0:2; ვირტონი — ბრიუსელი 2:0; პატრო — რონსე 1:1; სპორტინგი — დაინცე 0:3; ოსტენდე — რუზელარე 2:1; ვიზეტი — ტუბეკე 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუსელი | 30 | 17 | 7 | 6 | 64:28 | 58 |
| ოსტენდე | 30 | 16 | 9 | 5 | 61:38 | 57 |
| ტუბეკე | 30 | 15 | 10 | 5 | 55:27 | 55 |
| რუზელარე | 30 | 16 | 5 | 9 | 55:37 | 53 |
| ვარეგემი | 30 | 14 | 5 | 11 | 50:38 | 47 |
| გეელი | 30 | 13 | 7 | 10 | 36:34 | 46 |
| დესელი | 29 | 13 | 5 | 11 | 40:35 | 44 |
| დაინცე | 29 | 13 | 4 | 12 | 41:40 | 43 |
| ვირტონი | 30 | 11 | 10 | 9 | 35:34 | 43 |
| ვიგორი | 30 | 10 | 12 | 8 | 37:38 | 42 |
| ვიზეტი | 30 | 12 | 5 | 13 | 43:52 | 41 |
| პატრო | 30 | 10 | 10 | 10 | 37:40 | 40 |
| აალსტი | 30 | 10 | 9 | 11 | 48:51 | 39 |
| ეუპენი | 30 | 8 | 12 | 10 | 31:37 | 36 |
| სპორტინგი | 30 | 5 | 11 | 14 | 39:54 | 26 |
| რონსი | 30 | 5 | 9 | 16 | 20:45 | 24 |
| ტინენი | 30 | 5 | 6 | 19 | 25:58 | 21 |
| დენდერლეუ | 30 | 3 | 10 | 17 | 30:61 | 19 |

## პოლონეთი

I ლიგა. XVII ტური

ლეჩნა — ვიძევი 2:1; პოლკოვიცე — პლოცკი 1:2; გურნიკი — სვიტი 1:0; ლეხი — ლეგია 0:1; ოდრა — კატოვიცე 1:0; პოლონია — გროცლინი 3:1; ვისლა — ამიკა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 17 | 14 | 0 | 3 | 48:20 | 42 |
| ლეგია | 17 | 11 | 5 | 1 | 33:13 | 38 |
| ამიკა | 17 | 11 | 3 | 3 | 33:16 | 36 |
| გროცლინი | 17 | 9 | 4 | 4 | 41:15 | 31 |
| პლოცკი | 17 | 7 | 5 | 5 | 27:26 | 26 |
| ლეჩნა | 17 | 8 | 2 | 7 | 18:27 | 26 |
| გურნიკი | 17 | 6 | 6 | 5 | 18:20 | 24 |
| ოდრა | 17 | 6 | 4 | 7 | 20:26 | 22 |
| კატოვიცე | 17 | 6 | 3 | 8 | 14:30 | 21 |
| ლეხი | 17 | 4 | 5 | 8 | 27:26 | 17 |
| პოლონია | 17 | 3 | 6 | 8 | 16:30 | 15 |
| პოლკოვიცე | 17 | 3 | 3 | 11 | 13:27 | 12 |
| ვიძევი | 17 | 2 | 5 | 10 | 17:29 | 11 |
| სვიტი | 17 | 1 | 5 | 11 | 10:30 | 8 |

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XXVIII ტური

**ვალვაიკი 0:4 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (8), 0:2 კეჟმანი (52), 0:3 პარკი (59), 0:4 კეჟმანი (83)

**როდა 0:1 ჰერენვენი**

0:1 ვაირინენი (88)

**როზენდალი 1:1 ზვოლე**

1:0 დე გრააფი (1), 1:1 ზუურმანი (27)

**ტვენტე 1:2 ვოლენდამი**

1:0 ა. რამზი (53), 1:1 ბუისი (66პ), 1:2 ესაიასი (88)

**ალკმაარი 2:1 ვიტესი**

1:0 მეერდინკი (52), 2:0 ნელისე (59), 2:1 მ. ამოა (74)

**ნაიმეგენი 4:0 ტილბურგი**

1:0 ველაერტი (53), 2:0 ტუმბა (15), 3:0, 4:0 შერსი (60, 80)

**ბრედა 0:3 ფეიენოორდი**

0:1 პ. ვან დენ ბერგი (51), 0:2, 0:3 ბუფელი (65, 73)

**უტრეხტი 5:3 დენ ჰააგი**

0:1 ელ აკჩაუ (3), 1:1 ცვაანცვიკი (6), 1:2 სტროევე (17), 2:2 დ. ვან დენ ბერგი (18), 3:2 ცვაანცვიკი (36), 3:3 კასტელენი (43), 4:3 დ. ვან დენ ბერგი (61), 5:3 დე გრუტი (71)

**აიაქსი 2:1 გრონინგენი**

1:0 ვან დერ ვაარტი (57), 1:1 სალმონი (75), 2:1 შეიტინგა (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 28 | 22 | 2 | 4 | 65:27 | 68 |
| პსვ | 28 | 17 | 5 | 6 | 69:26 | 56 |
| ფეიენოორდი | 28 | 16 | 7 | 5 | 53:33 | 55 |
| ალკმაარი | 28 | 16 | 4 | 8 | 53:32 | 52 |
| ჰერენვენი | 28 | 15 | 6 | 7 | 40:31 | 51 |
| უტრეხტი | 28 | 12 | 6 | 10 | 39:40 | 42 |
| როდა | 28 | 11 | 8 | 9 | 48:36 | 41 |
| ტილბურგი | 28 | 11 | 8 | 9 | 40:46 | 41 |
| როზენდალი | 28 | 10 | 9 | 9 | 30:32 | 39 |
| ბრედა | 28 | 10 | 8 | 10 | 46:42 | 38 |
| ტვენტე | 28 | 12 | 2 | 14 | 46:46 | 38 |
| ვალვაიკი | 28 | 8 | 8 | 12 | 36:38 | 32 |
| ნაიმეგენი | 28 | 10 | 1 | 17 | 40:48 | 31 |
| გრონინგენი | 28 | 8 | 7 | 13 | 31:40 | 31 |
| დენ ჰააგი | 28 | 6 | 7 | 15 | 27:53 | 25 |
| ვიტესი | 28 | 3 | 12 | 13 | 31:49 | 21 |
| ვოლენდამი | 28 | 5 | 5 | 18 | 24:67 | 20 |
| ზვოლე | 28 | 3 | 9 | 16 | 21:53 | 18 |

II დივიზიონი. XXXI ტური

ეინდჰოვენი — ვეენდამი 1:1; აპელდორნი — სიტარდი 1:0; ემენი — იგლსი 2:2; ტელსტარი — სპარტა 1:1; ექსელსიორი — გრააფსხაპი 2:0; ვენლო — ჰელმონდი 1:0; დორდრეხტი — მაასტრიხტი 0:0; ჰერაკლესი — დენ ბოსხი 1:2; ოსი — ჰაარლემი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსელსიორი | 30 | 19 | 6 | 5 | 58:31 | 63 |
| დენ ბოსხი | 30 | 18 | 7 | 5 | 73:41 | 61 |
| სპარტა | 29 | 17 | 5 | 7 | 63:32 | 56 |
| ჰელმონდი | 29 | 16 | 6 | 7 | 54:32 | 54 |
| ჰერაკლესი | 29 | 15 | 8 | 6 | 56:34 | 53 |
| გრააფსხაპი | 30 | 14 | 8 | 8 | 49:37 | 50 |
| ვენლო | 29 | 15 | 4 | 10 | 58:49 | 49 |
| ემენი | 29 | 13 | 9 | 7 | 48:41 | 48 |
| ტელსტარი | 29 | 11 | 7 | 11 | 46:48 | 40 |
| იგლსი | 29 | 10 | 8 | 11 | 64:52 | 38 |
| აპელდორნი | 29 | 9 | 9 | 11 | 46:43 | 36 |
| ოსი | 29 | 10 | 6 | 13 | 48:50 | 36 |
| ჰაარლემი | 30 | 8 | 8 | 14 | 33:50 | 32 |
| ვეენდამი | 30 | 7 | 11 | 12 | 38:61 | 32 |
| ეინდჰოვენი | 30 | 5 | 11 | 14 | 34:53 | 26 |
| კამბური | 29 | 6 | 6 | 17 | 29:56 | 24 |
| დოორდრეხტი | 29 | 3 | 14 | 12 | 26:45 | 23 |
| მაასტრიხტი | 29 | 4 | 8 | 17 | 27:64 | 20 |
| სიტარდი | 28 | 3 | 9 | 16 | 32:63 | 18 |

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. XXVIII ტური

ბრეგენცი — ადმირა 2:2; კერნტენი — პაშინგი 1:1; მატერსბურგი — ზალცბურგი 2:1; რაპიდი — გრაცერი 0:4; შტურმი — აუსტრია 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 28 | 16 | 7 | 5 | 48:21 | 55 |
| გრაცერი | 28 | 16 | 7 | 5 | 50:28 | 55 |
| პაშინგი | 28 | 12 | 9 | 7 | 43:36 | 45 |
| რაპიდი | 27 | 12 | 8 | 7 | 40:35 | 44 |
| ბრეგენცი | 28 | 10 | 8 | 10 | 38:43 | 38 |
| ადმირა | 28 | 9 | 8 | 11 | 34:36 | 35 |
| მატერსბურგი | 28 | 7 | 9 | 12 | 27:43 | 30 |
| ზალცბურგი | 28 | 8 | 3 | 17 | 34:35 | 27 |
| შტურმი | 28 | 6 | 9 | 13 | 30:40 | 27 |
| კერნტენი | 27 | 5 | 8 | 14 | 23:50 | 23 |

I დივიზიონი. XXVII ტური

კაპფენბერგი — ტიროლი 1:2; ბლაიბერგი — რიდი 0:4; ლუსტენაუ — უნტერზიბენბრიუნი 1:3; ვიორგლი — ლეობენი 1:1; ლინცერი — აუსტრია (ლ) 0:2

# შუტოვი არ ხუმრობს

## ამკარის კარი სუფთაა

### რუსეთი

**პრემიერლიგა. IV ტური**

**რუბინი 0:0 ლოკომოტივი**

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ლეხჯატო, იზმაილოვი (პიმენოვი 70), მამინოვი, ლოსკოვი, სიჩოვი, პაშინინი, ევსეევი, სენიკოვი (ნიჟეგოროდოვი 46), აშვეთია (პარკსი 82), ბილილიტდინოვი

მწვრთნელი: იური სიომინი

**ცსკა 3:3 ზენიტი**

1:0 კირიჩენკო (6), 2:0 ჟირკოვი (39), 2:1 რადიმოვი (41), 3:1 რახიმიჩი (56), 3:2 კერჟაკოვი (64), 3:3 სპივაკი (90

**როტორი 2:3 სპარტაკი**

1:0 კრივოვი (5), 1:1 პიანოვიჩი (13), 1:2 სამედოვი (19), 1:3 კალინიჩენკო (24), 2:3 ესიპოვი (45)

**ტ. მეტალურგი 5:1 კრილია**

1:0 მილიოშინი (21), 2:0 სირხაევი (45), 3:0 ბრაკამონტე (66), 4:0 ნიკოლაევი (80), 4:1 ბობერი (82), 5:1 ნიკოლაევი (88)

**ტორპედო 3:1 ყუბანი**

1:0 პანოვი (4), 2:0 სემშოვი (19), 3:0 ლებედენკო (50), 3:1 კანტონისტოვი (88)

**ამკარი 2:0 როსტოვი**

1:0 პარამონოვი (43), 2:0 შუტოვი (60)

**შინიკი 1:1 ალანია**

0:1 დარასელია (53), 1:1 შირკო (60)

**ალანია:** ფუამი, პაგაევი, აგაევი, ბრაბეცი, ბარასა, დროზდოვი, დარასელია (ტარლოვსკი 80), გვაზავა (ბაზაევი 71), სმირნოვი, კორიტკო, დადუ (ოგანიანი 84)

მწვრთნელი: როლან კურბისი

**სატურნი 0:0 დინამო**

არტურ ჟორჟეს ცსკა-მ მეოთხე ტურში მეოთხე ფრე ითამაშა და არმიელები ცხრილში ქვევით დაეშვნენ.

მოსკოვში ერთმანეთს შარშანდელი ჩემპიონი და ვერცხლის მედალოსანი შეხვდნენ. მატჩი თითქოს ცსკა-ს უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ კარში პეტერბურგელები გაცილებით ხშირად ურტყამდნენ.

ანგარიში გუსევის მარჯვენაფლანგური შეტევის შედეგად გაიხსნა. თანაგუნდელის პასი ახლოდან საგოლე დარტყმით კირიჩენკომ დაასრულა.

არმიელებს დასჯილი მეკარე აკინფეევი არ ჰყავდათ. მისი შემცვლელი მანდრიკინი კი პირველ ტაიმში რამდენჯერმე შეცდა, რაც სტუმრებმა ვერ გამოიყენეს.

შესვენებამდე მასპინძლებმა მეორეც შეაგდეს. გუსევის ჩაწოდებულ ბურთს, რომელიც მცველებმა საჯარიმოს გარეთ გაიტანეს, ჟირკოვი დაუხვდა და ცხრიანში შეჭედა.

პეტერბურგელებმა ტაიმის დასრულებამდე ერთი გოლი გაქვითეს. რადეკ შირლის პასით და მცველების დაბნეულობით რადიმოვმა ისარგებლა.

„ზენიტმა" მეორე ნახევრის დასაწყისში ცსკა-ს მცირე შტურმი მოუწყო, მაგრამ გოლი თავად გაუშვა. ელვირ რახიმიჩი უცბად გაერკვა საჯარიმოში შექმნილ ვითარებაში და ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ივანოვის კარში მოათავსა.

სტუმრები გასათანაბრებლად დაიქოქნენ და მალე იხეირეს. არშავინმა კერჟაკოვი კარის წინ ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა და ფორვარდს გატანა არ გასჭირვებია.

მოგვიანებით მასპინძლებს კერჟაკოვის წაქცევისთვის შერშუნი გაუძევეს. მეტოქეებმა შორეული დარტყმებით ძელებიც მოსინჯეს, კანაკლულმა ცსკა-ამ კი პეტერბურგელთა ზეწოლას ველარ გაუძლო და სპივაკისგან გოლი გაუშვა.

ნამატჩევს არტურ ჟორჟემ შერშუნის გაძევების გამო მსაჯი გააკრიტიკა და აღნიშნა, იგი აშკარად ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდაო.

ვლადიკავკაზის „ალანიას" პირველი გამარჯვების დაჭაშნიკება შეეძლო, მაგრამ კუთხურიდან ვიტალი დარასელიას გატანილი გოლი ყოფილმა სპარტაკელმა ალექსანდრ შირკომ მალე გაქვითა.

ვოლგოგრადში „როტორის" თორმეტწუთიანი დაბნეულობით ისარგებლა „სპარტაკმა" და უკვე ზედიზედ მეორედ მოიგო თამაში, რომელშიც თავიდან აგებდა.

სტუმართა წარმატება მეტწილად პიანოვიჩისა და პავლიუჩენკოს კარგმა გარჯამ განაპირობა. ნევიო სკალამ სეზონში პირველად გაბედა ორი ფორვარდის გაყვანა და კიდეც გაუმართლა.

ჯერ საბოლოოდ ვერ გაარკვიეს „ტორპედო-მეტალურგს" ძველ სახელს დაუტოვებენ თუ „მოსკოვს" დაარქმევენ. ამასობაში გუნდმა პრემიერლიგაში გადასვლის შემდეგ ოთხბურთიანი სხვაობით პირველად მოიგო. დედაქალაქელთა ლუკმა სამარის „კრილია სოვეტოვი" გახდა. სტუმართა მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა ნამატჩევს დაიჩივლა, სრულყოფილი შეკრების გავლა ვერ მოვასწარით და ბლომად ხარვეზები დაგვრჩა გამოსასწორებელიო.

მეორე ადგილზე წამოსკუპებული პერმის „ამკარი" ერთადერთი გოლგაუშვებელი გუნდია ლიგაში. პერმელთა მიერ ოთხ ტურში გატანილი სამი გოლიდან ორი შუტოვის ანგარიშზეა, რომელსაც თურმე ბოლოს ცსკა-ში ყოფნისას, 1998 წელს მოუხერხებია ბურთის კარში შეგორება, ახლა კი ხელმეორედ „გაცოცხლდა".

რამენსკოეში ამაზრზენი ფეხბურთი ითამაშეს. 90 წუთის განმავლობაში ერთი არჩათვლილი გოლი და ორიოდ ძალად მომენტი შექმნეს. სამაგიეროდ, „სატურნისა" და „დინამოს" ფეხბურთელმა ერთმანეთისკენ საჩხუბრად გაიწიეს. აუტის მოსაწოდებლად ბურთისთვის წასულმა მასპინძელმა პუსინერიმ გზად „დინამოს" მწვრთნელ გჟებიკს ჰკრა ხელი და კინაღამ გუნდური თავპირისმტვრევა ატყდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ტ. მეტალურგი — კრილია. ანდრეი ნიკოლაევის მეოთხე გოლი სტუმართა კარში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 4 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 8 |
| ამკარი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:0 | 8 |
| სპარტაკი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:8 | 8 |
| დინამო | 4 | 1 | 3 | 0 | 8:3 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:1 | 6 |
| ზენიტი | 4 | 1 | 3 | 0 | 9:8 | 6 |
| ტ. მეტალურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 8:5 | 5 |
| შინიკი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| სატურნი | 4 | 0 | 4 | 0 | 5:5 | 4 |
| ცსკა | 4 | 0 | 4 | 0 | 5:5 | 4 |
| ყუბანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| რუბინი | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |
| ალანია | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |
| როტორი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:13 | 3 |
| კრილია | 4 | 0 | 2 | 2 | 5:10 | 2 |
| როსტოვი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | 2 |

### ჩეხეთი

**გამბრინუსლიგა. XXIV ტური**

ზლინი — ბანიკი 1:1; ოპავა — სინოტი 1:0; იაბლონეცი — ბუდეიოვიცე 3:2; სიგმა — ლიბერეცი 2:0; პრჟიბრამი — პლზენი 2:1; სპარტა — ბლშანი 1:0; ტეპლიცე — ჟიჟკოვი 1:1. ბრნო — სლავია *დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 24 | 14 | 8 | 2 | 50:21 | 50 |
| სიგმა | 24 | 13 | 6 | 5 | 36:17 | 45 |
| სლავია | 23 | 13 | 4 | 6 | 31:13 | 43 |
| სპარტა | 24 | 11 | 9 | 4 | 36:19 | 42 |
| სინოტი | 24 | 10 | 5 | 9 | 31:31 | 35 |
| ბუდეიოვიცე | 24 | 9 | 6 | 9 | 30:29 | 33 |
| ზლინი | 23 | 9 | 5 | 9 | 23:25 | 32 |
| პრჟიბრამი | 24 | 8 | 6 | 10 | 27:27 | 30 |
| ლიბერეცი | 23 | 7 | 9 | 7 | 19:19 | 30 |
| ტეპლიცე | 24 | 6 | 11 | 7 | 23:25 | 29 |
| ბრნო | 23 | 7 | 7 | 9 | 27:32 | 28 |
| იაბლონეცი | 24 | 5 | 13 | 6 | 21:27 | 28 |
| ოპავა | 24 | 7 | 5 | 12 | 27:43 | 26 |
| ჟიჟკოვი | 24 | 5 | 7 | 12 | 15:26 | 22 |
| ბლშანი | 24 | 6 | 4 | 14 | 25:45 | 22 |
| პლზენი | 24 | 4 | 7 | 13 | 18:40 | 19 |

### პორტუგალია

**სუპერლიგა. XXIX ტური**

**ბოავიშტა 1:2 ამადორა**

0:1 ალექს გარსია (17), 1:1 ფეიე ფერი (27), 1:2 მირან სილვა (84)

**ჟილ ვისენტე 2:0 პორტუ**

1:0 გასპარი (63), 2:0 კოენტრაუ (66)

**ალვერკა 0:1 გიმარაეში**

0:1 ნუნუ ასისი (60)

**ბეირა მარი 0:0 აკადემიკა**

**მორეირენსე 2:1 ნასიონალი**

1:0 ტიტუ (28), 1:1 ბაიანუ (46), 2:1 აგიარი (76)

**ფერეირა 1:2 ლეირია**

0:1 ფრედი სანტუში (48), 1:1 ზე მანუელი (79), 1:2 ფილიპე (83)

**რიუ ავე 1:1 ბენფიკა**

1:0 ევანდრუ (50), 1:1 ტიაგუ (55)

**ბრაგა — სპორტინგი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**მარიტიმუ — ბელენენსეში**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 28 | 22 | 5 | 1 | 58:17 | 71 |
| სპორტინგი | 28 | 20 | 4 | 4 | 50:27 | 64 |
| ბენფიკა | 29 | 18 | 7 | 4 | 53:26 | 61 |
| ბრაგა | 28 | 13 | 8 | 7 | 28:28 | 47 |
| ნასიონალი | 28 | 14 | 4 | 10 | 46:30 | 46 |
| რიუ ავე | 29 | 10 | 12 | 7 | 38:26 | 42 |
| მარიტიმუ | 28 | 9 | 12 | 7 | 28:27 | 39 |
| ბოავიშტა | 29 | 9 | 11 | 9 | 26:25 | 38 |
| ბეირა მარი | 29 | 10 | 7 | 12 | 35:38 | 37 |
| მორეირენსე | 29 | 9 | 10 | 10 | 25:29 | 37 |
| ლეირია | 29 | 9 | 9 | 11 | 38:43 | 36 |
| ჟილ ვისენტე | 29 | 8 | 10 | 11 | 38:35 | 34 |
| აკადემიკა | 29 | 8 | 5 | 16 | 26:34 | 29 |
| ალვერკა | 29 | 8 | 5 | 16 | 29:40 | 29 |
| გიმარაეში | 29 | 6 | 10 | 13 | 27:37 | 28 |
| ბელენენსეში | 28 | 6 | 10 | 12 | 30:48 | 28 |
| ფერეირა | 29 | 7 | 3 | 19 | 21:44 | 24 |
| ამადორა | 29 | 4 | 4 | 21 | 20:62 | 16 |

**II ლიგა. XXIX ტური**

ფეირენსე — შავეში 0:1; კოვილია — ლეიშოეში 3:4; ავეში — მაია 1:2; ფელგეირაში — მარკუ 3:0; სალგეირუში — ოვაირენსე 2:0; სანტა კლარა — პენაფიელი 0:2; ნავალი — მადეირა 2:2; ეშტორილი — სეტუბალი 1:2; პორტიმონენსე — ვარზიმი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეშტორილი | 29 | 17 | 6 | 6 | 57:35 | 57 |
| სეტუბალი | 29 | 14 | 10 | 5 | 55:39 | 52 |
| პენაფიელი | 29 | 15 | 7 | 7 | 46:30 | 52 |
| ვარზიმი | 29 | 14 | 8 | 7 | 40:32 | 50 |
| სალგეირუში | 29 | 13 | 6 | 10 | 42:35 | 45 |
| ნავალი | 29 | 11 | 10 | 8 | 42:33 | 43 |
| სანტა კლარა | 29 | 10 | 9 | 10 | 37:37 | 39 |
| მაია | 29 | 11 | 6 | 12 | 40:48 | 39 |
| შავეში | 29 | 10 | 9 | 10 | 32:40 | 39 |
| ფეირენსე | 29 | 9 | 11 | 9 | 40:36 | 38 |
| ავეში | 29 | 11 | 5 | 13 | 39:48 | 38 |
| ფელგეირაში | 29 | 10 | 6 | 13 | 32:31 | 36 |
| ოვაირენსე | 29 | 9 | 9 | 11 | 43:47 | 36 |
| ლეიშოეში | 29 | 8 | 12 | 9 | 37:42 | 36 |
| პორტიმონენსე | 29 | 7 | 11 | 11 | 29:34 | 32 |
| მარკუ | 29 | 7 | 6 | 16 | 31:50 | 27 |
| მადეირა | 29 | 4 | 14 | 11 | 36:44 | 26 |
| კოვილია | 29 | 6 | 5 | 18 | 32:49 | 23 |

### საბერძნეთი

**ეროვნული ლიგა. XXV ტური**

ხალკიდონა — პანიონიოსი 2:2; ეგალეო — ქსანთი 2:1; აეკ — აკრატიტოსი 1:1; კალითეა — პროდეფტიკი 3:1; პაოკ — იონიკოსი 2:0; ოფი — პანილიაკოსი 0:0; არისი — პანათინაიკოსი 0:2; ოლიმპიაკოსი — ირაკლისი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 25 | 20 | 4 | 1 | 50:13 | 64 |
| ოლიმპიაკოსი | 25 | 20 | 2 | 3 | 58:16 | 62 |
| პაოკ | 25 | 17 | 5 | 3 | 43:19 | 56 |
| ეგალეო | 25 | 13 | 6 | 6 | 33:21 | 45 |
| აეკ | 25 | 12 | 6 | 7 | 45:26 | 42 |
| ხალკიდონა | 25 | 12 | 6 | 7 | 36:31 | 42 |
| პანიონიოსი | 25 | 9 | 10 | 6 | 33:24 | 37 |
| ირაკლისი | 25 | 10 | 5 | 10 | 34:35 | 35 |
| ქსანთი | 25 | 7 | 6 | 12 | 25:35 | 27 |
| ოფი | 25 | 7 | 6 | 12 | 24:38 | 27 |
| იონიკოსი | 25 | 6 | 5 | 14 | 26:36 | 23 |
| არისი | 25 | 5 | 5 | 15 | 18:40 | 20 |
| კალითეა | 25 | 3 | 10 | 12 | 27:37 | 19 |
| პანილიაკოსი | 25 | 4 | 7 | 14 | 26:47 | 19 |
| პროდეფტიკი | 25 | 3 | 8 | 14 | 18:43 | 17 |
| აკრატიტოსი | 25 | 3 | 7 | 15 | 24:60 | 16 |

### შვეიცარია

**სუპერლიგა. XXVII ტური**

**ქსამაქსი 4:1 აარაუ**

1:0, 2:0 ფორშელე (12, 74), 2:1 ბენგელუნი (80), 3:1 მფუტი (87), 4:1 რეი (90)

**სერვეტი 1:3 ბაზელი**

0:1 კ. ხიმენესი (39), 1:1 ობრადოვიჩი (59), 1:2 დეგენი (60), 1:3 ატუბა (71)

**სენტ გალენი 4:0 ვილი**

1:0 ვოლფი (4), 2:0 ტაჩე-მენსა (31), 3:0 ხაირო (41), 4:0 ტაჩე-მენსა (77)

**თუნი 2:1 ციურიხი**

1:0 პოჯიჩი (28), 2:0 დოს სანტოსი (75), 2:1 პეტროსიანი (81)

**გრასჰოპერი 4:2 იანგ ბოისი**

1:0, 2:0, 3:0 განე (7, 16, 36), 4:0 კასტილიო (42), 4:1 ლეანდრო (73), 4:2 გაეტანო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 27 | 21 | 5 | 1 | 74:24 | 68 |
| იანგ ბოისი | 27 | 16 | 5 | 6 | 58:38 | 53 |
| სერვეტი | 27 | 13 | 6 | 8 | 49:43 | 45 |
| ციურიხი | 27 | 11 | 3 | 13 | 43:40 | 36 |
| გრასჰოპერი | 27 | 10 | 4 | 13 | 48:57 | 34 |
| თუნი | 27 | 8 | 9 | 10 | 36:46 | 33 |
| სენტ გალენი | 27 | 8 | 6 | 13 | 40:51 | 30 |
| აარაუ | 27 | 6 | 10 | 11 | 44:55 | 28 |
| ვილი | 27 | 6 | 8 | 13 | 32:50 | 26 |
| ქსამაქსი | 27 | 5 | 6 | 16 | 27:47 | 21 |

**ჩელენჯლიგა. XXIV ტური**

ბადენი — ვინტერთური 1:0; კრინსი — ბელინცონა 2:1; კონკორდია — ბულე 5:1; მეირინი — კიასო 0:4; ვოლენი — ვადუცი 2:2; ანიო — შო დე ფონი 1:1; სიონი — შაფჰაუზენი 1:1; ივერდონი — ლუცერნი 5:1

### დანია

**სუპერლიგა. XXIII ტური**

ბრონდბიუ — ჰერფიოლგე 3:0; აკადემისკი — ფრემი 1:0; ესბიერგი — ნორდსიელანდი 4:0; ოდენსე — ოლბორგი 3:1; ვიბორგი — მიდტიულანდი 1:1; ორჰუსი — კოპენჰაგენი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 23 | 15 | 5 | 3 | 39:20 | 50 |
| ესბიერგი | 23 | 14 | 6 | 3 | 50:24 | 48 |
| ოდენსე | 23 | 14 | 5 | 4 | 51:30 | 47 |
| კოპენჰაგენი | 23 | 13 | 6 | 4 | 36:19 | 45 |
| ოლბორგი | 23 | 10 | 7 | 6 | 33:28 | 37 |
| მიდტიულანდი | 23 | 7 | 6 | 10 | 41:37 | 27 |
| ორჰუსი | 23 | 8 | 3 | 12 | 34:47 | 27 |
| ვიბორგი | 23 | 6 | 8 | 9 | 32:32 | 26 |
| ჰერფიოლგე | 23 | 7 | 5 | 11 | 24:31 | 26 |
| ნორდსიელანდი | 23 | 5 | 8 | 10 | 25:39 | 23 |
| ფრემი | 23 | 4 | 3 | 16 | 22:44 | 15 |
| აკადემისკი | 23 | 3 | 2 | 18 | 17:53 | 11 |

### თურქეთი

**სუპერლიგა. XXVIII ტური**

დიარბაქირი — დენიზლი 0:1; გაზიანთეფი — ანკარაგიუჯიუ 2:1; ტრაბზონი — ისთანბული 2:0; ფენერბაჰჩე — სებათი 4:2; ადანა — ბურსა 0:3; ელაზიგი — მალათია 0:0; გენჩლერი — სამსუნი 2:1; კონია — რიზე 2:1; გალათასარაი — ბეშიქთაში 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 28 | 20 | 6 | 2 | 69:33 | 66 |
| ბეშიქთაში | 28 | 18 | 6 | 4 | 61:34 | 60 |
| ტრაბზონი | 28 | 17 | 5 | 6 | 44:31 | 56 |
| დენიზლი | 28 | 16 | 3 | 9 | 44:28 | 51 |
| გაზიანთეფი | 28 | 15 | 3 | 10 | 43:42 | 48 |
| გალათასარაი | 28 | 11 | 8 | 9 | 41:37 | 41 |
| დიარბაქირი | 28 | 11 | 7 | 10 | 41:38 | 40 |
| სამსუნი | 28 | 11 | 6 | 11 | 39:40 | 39 |
| გენჩლერი | 28 | 11 | 5 | 12 | 47:40 | 38 |
| კონია | 28 | 8 | 12 | 8 | 44:45 | 36 |
| ანკარაგიუჯიუ | 28 | 10 | 6 | 12 | 40:44 | 36 |
| რიზე | 28 | 11 | 3 | 14 | 32:43 | 36 |
| მალათია | 28 | 8 | 11 | 9 | 35:30 | 35 |
| ისთანბული | 28 | 7 | 7 | 14 | 34:40 | 28 |
| სებათი | 28 | 6 | 9 | 13 | 34:47 | 27 |
| ბურსა | 28 | 5 | 10 | 13 | 26:36 | 25 |
| ელაზიგი | 28 | 5 | 7 | 16 | 34:63 | 22 |
| ადანა | 28 | 3 | 4 | 21 | 27:64 | 13 |

### იაპონია

**ჯეი ლიგა. III ტური**

კაშიმა — ნაგოია 3:2; კაშივა — ნიიგატა 1:2; ტოკიო — ვერდი 3:2; ჰიროსიმა — იჩიჰარა 1:3; იოკოჰამა — სერეზო 2:1; ივატა — ურავა 3:1; გამბა — შიმიცუ 4:0; კობე — ოიტა 0:0

### აშშ

**MLS. I ტური**

ვაშინგტონი — სან ხოსე 2:1; კოლამბუსი — ნიუ იორკი 1:3; დალასი — კოლორადო 1:1; კანზასი — ჩიკაგო 0:0; ლოს ანჯელესი — ნიუ ინგლენდი 3:2

# გრიშა იქ არი!

## ოცნებით სავსე მამრიკიშვილმა საქართველოს ნაკრები შეავსო



გრიგოლ მამრიკიშვილმა (ქვედა ფოტოზე მუქ კიმანოში) ჯერ ნახევარფინალში გრიგოლ შინჯიკაშვილს სძლია, შემდეგ კი ფინალში უკრაინელი რომან გონტიუკი დასცა



მძიმეებში საუკეთესო ალექსი დავითაშვილი

ძიუდოს ქართველ მოყვარულთა ძირითადი საფიქრალი და მოლოდინი ამ უქმეებზე სპორტის სასახლეში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე გრიგოლ შინჯიკაშვილის კარგი გამოსვლა იყო. შოთა ხაბარელის გუნდს საათენოდ მისი საგზური შეავსებდა. ცხრამეტი წლის შინჯიკაშვილს ქომაგობაც განსაკუთრებული ჰქონდა და ნახევარფინალამდეც ლამაზი გამარჯვებებით მივიდა. იქ კენჭისყრამ თანაგუნდელ გრიგოლ მამრიკიშვილს დაუპირისპირა და ხალხმა იფიქრა, ეგაა და, სამეულში შესულაო. საერთო ქართული საქმეს ლიცენზია სჭირდებოდა და ამ ლიცენზიასთან მიახლოებული შინჯიკაშვილის გამარჯვება ბრძოლის დაწყებამდე განაღდებული ჩანდა. ერთნი მამრიკიშვილის უბრძოლველად დანებებას ვარაუდობდნენ, მეორენი საერთოდ არგამოცხადებას...



...მაგრამ ორ ქართველს შორის ისეთი ჭიდილი გაჩაღდა, ამ ორთაბრძოლაში დადგმულ სპექტაკლს ყველაზე ეჭვიანი დამკვირვებელიც ვერ ამოჩხრეკდა.

თავის დროზე გრიგოლ მამრიკიშვილს ნაკრებში ადგილი ხელის ტრავმამ დააკარგვინა. მის ანგარიშზე სალიცენზიო ტურნირების პირველ ნახევარში მოპოვებული 16 ქულა ირიცხებოდა. მას შემდეგ გრიგოლმა მარაგის შევსება ვეღარაფრით მოახერხა... თბილისური ტურნირის მოგება 90 ქულას იძლეოდა, რაც ფაქტობრივად ოცნების ახდენას ნიშნავდა, თუმც იქამდე მისასვლელი გზაც საკმაოდ რთული იყო.

ურთიერთდაპირისპირებამდე მამრიკიშვილმაც და შინჯიკაშვილმაც სამ-სამი მეტოქე ჩამოიცილეს. პირველმა ესპანელ ხორხე ბენავენტეს, ფინელ ილკა პორნას და რუსეთის სახელით მოასპარეზე ლაშა ფიფიას სძლია. მეორემ კი ბრიტანელი იან ბარტონი, ლატვიელი კონსტანტინ ოვჩინიკოვსსა და მოლდოვი ევგენი რუსუ გაიარა.

დიდი ქართული ბრძოლა თანაბრად დაიწყო და დროის ნახევარი ისე მიილია, შინჯიკაშვილი მოწინაალმდეგის გაფრთხილებით იყო წინ. უეცრად მამრიკიშვილი გააქტიურდა და ვაზარითაც დაწინაურდა. შეხვედრის ბოლო წამებზე მისი უპირატესობა მინიმუმამდე შემცირდა, თუმც გარდატეხის მოლოდინი საფინალო სირენამ დაასრულა.

ფინალის საგზური მამრიკიშვილს ერგო. ოქროსთვის იგი რომან გონტიუკს დაეჭიდა და საქმე სულ რაღაც 33 წამში მოამთავრა. არადა, უკრაინელს ყველაზე ოპტიმისტებიც კი ფავორიტად ასახელებდნენ — ფინალამდე ოთხივე შეხვედრა ბრწყინვალე გდებებით დააგვირგვინა და ტრიბუნების სიმპათიაც დაიმსახურა, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა კი პატარა ბავშვივით წააგო.

ჩემპიონობამ მამრიკიშვილს ბრინჯაოს მომგები შინჯიკაშვილიც უკან მოატოვებინა და ლიცენზიაც გაუნაღდა. შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატზეც იგი გაემგზავროს — თუმც ამას შოთა ხაბარელი გადაწყვეტს.

ამავე წონაში იჭიდავეს დავით ნადარაიამ და საბა გავაშელიშვილმაც, მაგრამ მათ პირველივე ბრძოლები წააგეს. ნადარაიას მძლეველმა ფრანგმა ვინსენ მასიმინომ მომდევნო შეხვედრა ვეღარ მოიგო და ქართველი ბრძოლას გამოეთიშა. გავაშელიშვილი ზემოთ ნახსენებ გონტიუკთან დამარცხდა. დამამშვიდებელში კი ერთმანეთის მიყოლებით სძლია ბერძენ მოსე ილიადისს, იტალიელ რობერტო მელონსა და სლოვენიელ კლემენ ფერჟანს. შემდეგ შინჯიკაშვილთან თავად წააგო და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

არანაკლებ საინტერესო ბრძოლები გაჩაღდა მძიმე წონაში. საპრიზო სამეულში აქაც ორი ჩვენებური შევიდა. ლაშა გუჯეჯიანმა და ალექსი დავითაშვილმა მშვენივრად იჭიდავეს და თავისზე ბევრით მძიმე მოწინაალმდეგეები ჰაერში ატრიალეს. თუმც გუჯეჯიანს ნახევარფინალში ბოხვერა გჟეგოჟ ეიტელი გადაელობა.

თანაგუნდელის მომგებ პოლონელზე ჯავრი ალექსი დავითაშვილმა იყარა. როგორც ყველა წინა მეტოქე, ისიც იპონით გაისტუმრა. გუჯეჯიანმა კი მესამე ადგილისთვის შეხვედრაში გამოცდილ რუმინელ გაბრიელ მუნტიანუს ისეთი გდება გაუკეთა, ტატმის განაპირას მოციმციმე ტაბლო დაამტვრევინა.

81-კილოიანებმა და მძიმეებმა ტურნირის მეორე დღეს იჭიდავეს, ისევე როგორც 90 და 100-კილოგრამიანებმა. პირველ რიგში 90-ზე ვთქვათ, რადგან ფინალში იქაც ქართველმა გააღწია მინდია ბოდაველმა ოთხი შერკინება ერთიმეორეზე ლამაზად დაასრულა, მაგრამ გერმანელ გერჰარდ დემფთან ვეღარას გახდა.

ნახევარფინალში დამარცხდა გია გუგავა. მისმა მომგებმა, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა მოვლუდ მირალიევმა ოქრო ტურნირის ყველაზე ტიტულოვან მონაწილეს პაველ ნასტულას წაჰგვარა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს ათენის საგზური აქამდე არ მოუპოვებია და ერთადერთ შანსად ევროპის ჩემპიონატი რჩება. გუგავამ კი მესამე ადგილისთვის დავაში ესპანელი ივან ვეგა გააკრა ტატამს.

შაბათს საჭიდაოდ სამი მსუბუქი წონის ძიუდოისტები გავიდნენ, თითოეულ წონაში ოთხ-ოთხი ქართველი გამოდიოდა, თუმც მედლამდე მხოლოდ დავით ბოდაველი (73 კგ) მივიდა. ჰოლანდიელი დენის მეიერის, ავსტრიელი დანიელ მალაუნისა და იტალიელი ფრანცისკო ბრუიერის ჩამოცილების შემდეგ ფინალისკენ მიმავალი გზა მას შვეიცარიელმა დევიდ პაპაიქსმა გადაუკეტა. დამამშვიდებელში ბოდაველმა სომეხ ლევონ გალუსტიანზე იყარა ჯავრი.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ოქრო ებრაელებსაც შეხვდათ: წამიც და, 66 კილოგრამის ფინალში ეჰუდ ვაქსი (ქვევით) თურქ ბექთაშ დემირელს ტატამზე დაახეთქებს

### პრიზიორები

60 კგ
1 რევაზ ციდირიდისი (საბერძნეთი)
2 ნიჰათ სულთანოვი (აზერბაიჯანი)
3 გალ იეკუტიელი (ისრაელი)
3 რუბენ ჰოუქსი (ჰოლანდია)

66 კგ
1 ეჰუდ ვაქსი (ისრაელი)
2 ბექთაშ დემირელი (თურქეთი)
3 მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი)
3 ხავიერ დელგადო (ესპანეთი)

73 კგ
1 კჟიშტოფ ვილკომირსკი (პოლონეთი)
2 დევიდ პაპაიქსი (შვეიცარია)
3 **დავით ბოდაველი** (საქართველო)
3 ალენ შმიტი (საფრანგეთი)

81 კგ
1 **გრიგოლ მამრიკიშვილი** (საქართველო)
2 რომან გონტიუკი (უკრაინა)
3 **გრიგოლ შინჯიკაშვილი** (საქართველო)
3 ივან პერშინი (რუსეთი)

90 კგ
1 გერჰარდ დემფი (გერმანია)
2 **მინდია ბოდაველი** (საქართველო)
3 დიმიტრი ბუდოლინი (ესტონეთი)
3 ვალენტინ გრეკოვი (უკრაინა)

100 კგ
1 მოვლუდ მირალიევი (აზერბაიჯანი)
2 პაველ ნასტულა (პოლონეთი)
3 **გია გუგავა** (საქართველო)
3 მაიკ ნიუვენჰუისი (ჰოლანდია)

+100 კგ
1 **ალექსი დავითაშვილი** (საქართველო)
2 გჟეგოჟ ეიტელი (პოლონეთი)
3 **ლაშა გუჯეჯიანი** (საქართველო)
3 იანუს ვოინაროვიჩი (პოლონეთი)

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

დრეზდენი. 20 მარტი–4 აპრილი

# ნანამ ნორმა შეასრულა



ევროპა და მომავალი ალექსანდრა კოსტენიუკისაა

### გადათამაშება ოქროსთვის

**ზაოგინ პენგი (ჰოლანდია) — ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 0:1; 0,5:0,5**

### ბრინჯაოსთვის

**პირველი რაუნდი:** ნანა ძაგნიძე (საქართველო) — ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 0:1; 0,5:0,5; ირინა სლავინა (რუსეთი) — ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) 0:1; 0,5:0,5

**მეორე რაუნდი:** სტეფანოვა — ჟუკოვა 1:0 1:0; სლავინა — ძაგნიძე 0:1 0,5:0,5

დიდი თაობა წავიდა და ქართველი მანდილოსნები ძველებურად ველარ პყრობენ ბებერი კონტინენტის ქალთა ჭადრაკის სადავეებს, აგერ, ევროპის ჩემპიონატიდან კვლავ უმედლოდ ბრუნდებიან, თუმც ქართული სკოლა მაინც არაა ბოლოთა შორის. 17 წლის ნანა ძაგნიძე ჩემპიონატზე მე-5 ნომრად იყო განთესილი და გათამაშებაც ამავე პოზიციაზე დაასრულა.

ევროპის მეხუთე ჩემპიონი კი 19 წლის რუსი ლამაზმანი და მსოფლიოს ვიცეჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი გახდა. ჩემპიონატმა კი საკმაოდ დაძაბულად ჩაიარა, მედალოსანთა გამოსარკვევად რეგლამენტით გათვალისწინებული 12 ტური არ აღმოჩნდა საკმარისი და ერთგვარი საჭადრაკო პლეი ოფი, ორი 15-15 წუთიანი პარტიის დამატება გახდა საჭირო. გადათამაშებაში მონაწილეობდა ქართველი ნანა ძაგნიძეც, თუმც ამაზე ცოტა ქვემოთ.

დრამატული გამოდგა ბოლო ტური. ლიდერთაგან პირველმა კოსტენიუკმა იმარჯვა და ჯერ კიდევ მოთამაშე ზაოგინ პენგს ქულით გადაუსწრო, თუმც რამდენიმე წუთში გაჰოლანდიელებულმა ჩინელმაც მოიგო, ბალანსი აღადგინა და რუსს ზეიმი მეორე დღისთვის გადაუტანა.

ტაი-ბრეიკში კოსტენიუკმა გონება მოიკრიფა, პირველივე პარტიაში შავი ფიგურებით მუსრი გაავლო წვრილთვალება ჰოლანდიელს და პრაქტიკულად ყველაფერი გადაწყვიტა. მეორე შეხვედრაში უკვე თეთრებით მოთამაშე რუსმა ამოცანა პირნათლად შეასრულა, მეტოქესთან არ წააგო და ევროპის თასიც აღმართა.

კოსტენიუკი 18 დღეში ოცის მოიყრება და უწლოვანების მიუხედავად უკვე მრავალი ჯილდო უდევს თაროზე. ჭადრაკის გარდა, იგი ასევე პოდიუმზე და სცენაზე ცდის ბედს და როგორც ამბობენ, ამ მხრივაც არ მისდის საქმე ჭადრაკზე უარესად.

ბრინჯაოს მოპოვება შეეძლო ჩვენებურ ნანა ძაგნიძეს. ქართველის გარდა ამ სანუგეშო ჯილდოზე კიდევ სამი გოგონა აცხადებდა პრეტენზიას — ბულგარელი ანტოანეტა სტეპანოვა, რუსი ირინა სლავინა და უკრაინელი ნატალია ჟუკოვა. მათგან ჟუკოვასა და სტეპანოვას 2000 და 2002 წლებში ევროპული ოქრო მოუგიათ.

გადათამაშების პირველი რაუნდი ორი ნახევარფინალის ანალოგი გამოვიდა — ერთში ძაგნიძე სტეპანოვას დაუპირისპირდა და 0,5:1:5 დამარცხდა. ბრინჯაოსთვის ფინალში გასულმა ბულგარელმა კი შანსი არ დაუტოვა მეორე ფინალისტ ჟუკოვას და 2:0 მოუგო. ჟუკოვასგან ძლეულ სლავინას ნანა ძაგნიძე მეხუთე ადგილისთვის შეხვდა.

პირველ პარტიაში ძაგნიძემ სიცილიური დაცვა დაუპირისპირა მეტოქეს და საკუთარი ფლანგების გამაგრებას შეუდგა. სლავინამ იერიშები დაიწყო და მსუბუქი ძალებით ქართველის ტერიტორიაზე შეიჭრა. ნანამ მოომხდურს დიდი ბარიკადები დაახვედრა, უკან ცოცხალი არავინ გაუშვა და იქით გადავიდა კონტრიერიშზე. მეტოქეებმა გაცვლები იწყეს, ფიგურების ხოცვასთან ერთად კი ქართველმა საკუთარი დედოფალი თეთრ მეფეზე მიუშვა და რუსს თავგზა აუბნია. ხოცვა-ჟლეტაში ძაგნიძემ სტრატეგიულად აჯობა დაბნეულ მეტოქეს, პაიკი ჩასათვლელ ხაზს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიუახლოვა და 44-ე სვლაზე გაბითურებულ რუსს ალიყული აჭამა. განმეორებითი შეხვედრაც საკმაოდ დაძაბული გამოდგა და ნანას უპირატესობით წარიმართა, თუმც 60-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

### საბოლოო ცხრილი

| | |
|---|---|
| 1 ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) | 9,5 ქულა |
| 2 ზაოგინ პენგი (ჰოლანდია) | 9,5 |
| 3 ანტოანეტა სტეპანოვა (ბულგარეთი) | 8,5 |
| 4 ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) | 8,5 |
| 5 ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 8,5 |
| 8 ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) | 8 |
| 14 ნინო ხურციძე (საქართველო) | 8 |
| 23 მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 7 |



## რეგულარული ჩემპიონატი

— 2 აპრილი —

**კაროლინა 4:6 აილენდერსი**
1:2 0:4 3:0
0:1 ჩერკავსკი (12), 0:2 ოკოინი (13), 1:2 ბულერაისი (15), 1:3 ჩერკავსკი (23), 1:4 იაშინი (28), 1:5 პანტერი (30), 1:6 ოკოინი (35), 2:6 ბულერაისი (47), 3:6 ბრონდამორი (48), 4:6 სტაალი (58)

რატომ გადავდოთ ხვალისთვის, რის გაკეთება დღესვე შეიძლებაო, იფიქრეს „აილენდერსის“ ჰოკეისტებმა და „კაროლინასთან“ დამაჯერებელი მოგების შემდეგ თავიანთ მდევარს, „ბუფალოს“ იმედები საბოლოოდ ამოუწურეს. ნიუიორკელები ზედიზედ მესამედ გავიდნენ პლეი ოფში.

**ატლანტა 2:3 პიტსბურგი**
0:1 1:1 1:1
0:1 პირიეტა (19), 0:2 ბუკბერგერი (22), 1:2 ჰიტლი (30), 1:3 მოროზოვი (60), 2:3 კოვალჩუკი (60)

**მინესოტა 4:2 დალასი**
1:0 1:2 2:0
1:0 ე. შუინარი (4), 1:1 დი მაიო (30), 1:2 დი მაიო (38), 2:2 ვალინი (39), 3:2 ვალინი (44), 4:2 გაბორიკი (50)

**ფილადელფია 1:3 ოტავა**
0:1 1:1 0:1
0:1 ვერძეტი (15), 1:1 ჰანდზუში (30), 1:2 ხარა (52), 1:3 ბონდრა (50)

**ბუფალო 0:2 ტორონტო**
0:0 0:0 0:2
0:1 კილგერი (46), 0:2 ნუინდაიკი (60)

**სან ხოსე 1:4 ვანკუვერი**
1:2 0:1 0:1
0:1 ოლუნდი (2), 1:1 ჰარვი (12), 1:2 კუკი (12), 1:3 ჰ. სედინი (22), 1:4 ჩუბაროვი (60)

**ლოს ანჯელესი 2:3 კალგარი**
2:1 0:1 0:1
1:0 კოუენი (13), 1:1 ჟელინა (18), 2:1 ბელანჟე (19), 2:2 ლომბარდი (34), 2:3 ლომბარდი (54)

**კოლუმბუსი 2:4 კოლორადო**
1:0 0:3 1:1
1:0 ჟერდევი (1), 1:1 სვატოში (22), 1:2 საკიკი (26), 1:3 სვატოში (35), 2:3 შპაჩეკი (49), 2:4 კარია (60)

3 აპრილი

**ბოსტონი 2:5 ნიუ ჯერსი**
1:3 1:0 0:2
0:1 რასმუსენი (4), 1:1 ლაპოინტი (13), 1:2 ნიდერმაიერი (17), 1:3 სტივენსონი (20), 2:3 სამსონოვი (29)
2:4 ალბელინი (47), 2:5 ელიაში (57)

**ნეშვილი 1:4 სენტ ლუისი**
1:1 0:0 0:3
1:0 ჰარტნელი (2), 1:1 ჩაიანეკი (11), 1:2 სავაჟი (43), 1:3 დრეიკი (59), 1:4 პრონგერი (60)

**ვანკუვერი 5:2 ედმონტონი**
2:1 2:0 151
1:0 კინი (12), 1:1 ისპისტერი (16), 2:1 ნესლუნდი (18), 3:1 კინი (34), 4:1 მორისონი (40), 4:2 ულანოვი (45), 5:2 ოლუნდი (58)

**დეტროიტი 1:4 კოლუმბუსი**
1:1 0:2 0:1
0:1 ერიკსონი (14), 1:1 ტომასი (15), 1:2 ნეში (25), 1:3 ლეტოვსკი (28), 1:4 ვიბორნი (60)

**ტამპა 1:2 ატლანტა**
0:0 1:0 0:2
1:0 სან ლუი (25), 1:1 კოვალჩუკი (45), 1:2 მაკივერნი (48)

**ოტავა 0:6 ტორონტო**
0:1 0:4 0:1
0:1 ფრენსისი (16), 0:2 ნუინდაიკი (24), 0:3 ნუინდაიკი (27), 0:4 სუნდინი (29), 0:5 რაიხელი (35), 0:6 დომი (52)

**მონრეალი 6:3 ბუფალო**
2:0 2:2 2:1
1:0 დაჟენე (6), 2:0 დაჟენე (10), 3:0 დაუდი (23), 3:1 კემპბელი (23), 4:1 ზედნიკი (24), 4:2 ბრიარი (36), 5:2 რაიდერი (45), 5:3 დიუმონი (52), 6:3 ბეგინი (53)

**ვაშინგტონი 2:3 რეინჯერსი**
1:1 1:1 0:0 0:1
1:0 ჰელპერნი (8), 1:1 გრინი (15), 1:2 ჰოლიკი (25), 2:2 ჰელპერნი (27), 2:3 ჰოლიკი (62)

**ფინიქსი 2:1 ჩიკაგო**
0:0 0:1 1:0 1:0
0:1 რუუტუ (37), 1:1 მარა (60), 2:1 კოლანოსი (63)






# გაიარე, გაიარე

## სერენა სურვილს ველარ მალავს

**NASDAQ-100 OPEN**
მაიამი. მაგარსაფარი. კაცები
საპრიზო 3,45 მილიონი $

### ნახევარფინალი

**ენდი როდიკი (2, აშშ) — ვინს სპედია (აშშ) 6:1, 6:3; გილერმო კორია (3, არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (21, ჩილე) 4:6, 7:6 (8:6), 6:1**

ქალები

### ფინალი

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) 6:1, 6:1**

შემზარავი გლაჯუნი, ცალკორტა მატჩები და კვირანახევრის თავზე საზეიმოდ შემართული ბროლის თასი — ეს ყველაფერი იმის უტყუარი ნიშანია, რომ ბაყვბაყვდევი დაბრუნდა!

მართალია, მაიამიში საჩოგნაოდ ამა თუ იმ მიზეზით არ ჩასულან ჟუსტინ ენენ-არდენი, კიმ კლაისტერსი, ამელი მორესმო და ლინდსი დევენპორტი — ანუ ისინი, ვინაც საამმომენტოდ რეიტინსგიაში მასზე მაღლა დგანან, მაგრამ სერენას გამარჯვებას ეს ამბავი მაინც ვერ აფერმკრთალებს.

მამა რიჩის უმცროსი გოგო დიდ კორტზე რვათვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ გამოგოგმანდა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში კი ერთადერთი, ექვს თვეზე დიდი პაუზის შემდეგ კორტზე მობრუნებისთანავე ტურნირის მოგება რომ შეძლო, დიადი მონიკა სელეში გახლდათ. საქმეში ჩახედულ მკითხველს ჯერაც ეხსომება, რომ 1993 წელს მავანი გადარეული კაცის მიერ დაჭრილმა სერბგოგომ ჩოგნის ქნევა მხოლოდ ოცდარვა თვის შემდეგ, ტორონტოში განაახლა და თან — ტიტულიანადაც!

მისი მაგალითი მართლაც მაგულიანებდაო, ამბობდა დემენტიევასთან მოგებული ფინალის შემდეგ სერენა. ვფიქრობდი, თუკი მონიკამ ტურნირის მოგება შეძლო, მე ეგებ რამდენიმე წრე მაინც გავიარო-მეთქი.

რამდენიმე კი არა, სულ გაიარა და მერე როგორ — ფინალამდე მხოლოდ ერთი სეტი დათმო, ფინალში კი ისე გაშმაგებით ურტყა, რომ სანდომიან დემენტიევას წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი სურვილი გაუქრო. დემენტიევამ, ვინაც ზუსტი და კარგმოწოდებიანი თამაშით ვერც ფინალამდე გამოირჩა, ამ 50-წუთიანი მატჩის მსვლელობისას ცხრა ორმაგი და 23 უნებლიე შეცდომა დაუშვა და კარიერის 24-ე ტიტული შავ ლაზიერს ფაქტობრივ უბრძოლველად აშოვნინა.

ამგვარად — სერენა გახდა მეორე ქალმეჩოგნე, მაიამობის ზედიზედ სამჯერ მოგება რომ შეძლო. აქამდე იქაურ ჰეთთრიკს მხოლოდ ცოლ-ქმარნი — ანდრე აგასი და შტეფი გრაფი დაიკვეხდნენ. ისე კი სამჯერ, ოღონდ არა ზედიზედ, იქ უილიამსთაგან უფროსს, მეოთხედფინალში სწორედ დემენტიევასგან ძლეულ ვინუსსაც ემარჯვა.

„ორი კვირის წინ მაგრად ვნერვიულობდი — იგონებდა ნაფინალევს სერენა — თუმცა იმავდროულად ჩემს კუთვნილ ადგილზე დაბრუნება და ბარაქიანი თამაშის ჩვენებაც მინდოდა. ახლა კი ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია — ძალიან ბედნიერი ვარ და აღარაფრისა მეეჭვება.“

ეჭვების განქარვებასთან ერთად ამ გამარჯვებამ 22 წლის ჩადედლებულ შავგოგოს 400 ათასი დოლარიც არგო.

სხვაფრივ: გუშგვიანლამ ენდი როდიკს გილერმო კორიასთან უნდა ეფინალა. როდიკი ბოკა რეიტონში, კი ბისკეინიდან საათის სავალზეა გაზრდილი და ეგებ ვინმეს ახსოვდეს, ყმაწვილობისას იქაურ ორთაბრძოლებს ქანდარიდან უცქერდა ხოლმე.

ახლა კი ქანდარებზე უკვე მისი ქომაგები სხედან, თავად კი — ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ — თავის პირველ კიბისკეინურ ფინალში ან მოგებულია, ანაც წაგებული.

სხვათა შორის, ეს კორიასთვისაც პირველი მაიამური ფინალია. ხოლო თუ გაინტერესებთ, ბარემ აქვე იმასაც გეტყვით, რომ გუშინ ისინი ერთმანეთს მესამედ შეეხლებოდნენ, მათი პირველი ორი მატჩი ენდიბოის გამარჯვებით დასრულდა — აქედან ბოლო, გასულ ნოემბერს ჰიუსტონურ მასტერთასზე.

**ლევან ძელაურაძე**

## ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

ხორვატია. სისაკი. 1-5 აპრილი

— 3 აპრილი —

**საქართველო 72:69 ფინეთი**

**12:19, 17:14, 18:13, 25:23**

**საქართველო:** ცინცაძე (25 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება), გამყრელიძე (6 ქულა, 7 მოხსნა, 8 პასი, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება), მარკოიშვილი (13 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი, 7 ჩაჭრა, 2 დაფარება), სანიკიძე (7 ქულა, 11 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 1 დაფარება), გვიმრაძე (9); საყვარელიძე (12 ქულა, 5 მოხსნა), გიორგობიანი, ლეჟავა

# ზღაპარი იყო

## ქართველმა ჭაბუკებმა ფინელებს სამ წუთში 15 ქულა მოაჭრეს

*მასპინძელ ხორვატთა ძლევის შემდეგ ქართველმა ჭაბუკებმა შაბათს ფინელებიც დაამარცხეს. ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მანუჩარ მარკოიშვილი მატჩამდე ამბობდა, ფინელებთან ხუმრობა არ შეიძლება, მერე რა, რომ ორივე მატჩში განადგურდნენ, იოლი თამაში სულაც არ გველისო. აღდგომა და ხვალეო, მანოს ნათქვამი ორმაგად ახდა — სკანდინაველებმა უდიდესი წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველებს და უდრამატულეს, შეიძლება ითქვას, ფანტასტიკურ ფინალში დამარცხდნენ — საქართველოს ნაკრები საფინალო სირენამდე 3,24 წუთით ადრე 15 ქულას აგებდა, თუმც დარჩენილ დროში 18:0 შემუსრა მეტოქე და 72:69 გაიმარჯვა. მარკოიშვილს თამაშის შემდეგაც დავუკავშირდით...*

— ასეთი რამ არ მახსოვს, საოცრება, ზღაპარი იყო, ბოლო სამ წუთში 15 ქულა ამოვქაჩეთ და ფინელებს იქით მოვუგეთ 3 ქულით. წესიერად არც მახსოვს, ბოლოს რა ხდებოდა, ყველამ მაგრად ვითამაშეთ, სიზმარს თუ შევადარებ.

— ჩვენ კი ვივარაუდეთ, რომ აუტსაიდერ ფინელებთან ძალებს დაზოგავდით, დღეს ხომ უფრო სერიოზული მეტოქე გყავთ ლატვიის სახით...

— არა, რა ძალების დაზოგვა, ბოლოს აღარ ვიცოდით, რა გვექნა, სასწაულად გადავრჩით. ლატვია კი მართლაც ძლიერი გუნდია, იტალიასთან ორმაგ ოვერტაიმში წააგო, თან კაცი გაუგდეს.

— ესე იგი ფინელები გჯობდნენ?

— არა მგონია, მაგრამ იღბალი ჩვენზე მეტად სწყალობდათ. თავიდან ძალიან თვითდაჯერებულები გავედით მოედანზე. მართალია, ვიცოდით, რომ არ უნდა მოვდუნებულიყავით, მაგრამ მაინც იოლ გამარჯვებაზე ვფიქრობდით. მაგრამ მერე ფინელებმა თითქმის ყველა ბურთი ჩააგდეს და ლამის ტურნირის მიღმა დაგვტოვეს. რომ წაგვეგო, ფაქტობრივად, აღარაფერი გვშველოდა.

— საქართველოს ნაკრებმა 44 სამქულიანი ესროლა, რაც ძალიან ბევრია. ფინელებს მხოლოდ 15 შორი სროლა ჰქონდათ. მწვრთნელმა დაგავალათ?

— სამქულიანების სასროლი სპეციალური კომბინაციები გვაქვს, რომლებიც პერიმეტრზე თავისუფლად დარჩენაში გვეხმარება, თუმც ფინელები განზრახ გვტოვებდნენ მარტო და ჩვენც ვესროდით. მათ ასეთი ტაქტიკა აირჩიეს, ზონაში ჩადგნენ და არ დაეძებდნენ სამქულიანებს რომ ვესროდით. გუმართლათ კიდეც, სროლა არ წაგვავიდა, იმათ კი პირიქით, ყველა ჩააგდეს.

— როგორ, სულ მარტონი იყავით პერიმეტრზე და ასეთი უპირატესობა ვერ გამოიყენეთ?

— მხოლოდ მე მიჭერდნენ ფინელები, გასაქანს არ მაძლევდნენ. საბედნიეროდ, გიორგი ცინცაძეს გაუმართლა, შეიძლება ითქვას, მან გვიშველა. რომ ნახეს, ცინცაძეს სროლა წაუვიდა, მასზე გადაერთნენ და მერე მეც ჩავაგდე ერთი-ორი.

— ეგებ გაიხსენო ბოლო წუთები, 15 ქულის ბოლო სამ წუთში გაბათილება სახუმარო საქმე არ არის...

— რა ვიცი, ძალიან მაგრად ვითამაშეთ. რაც მანამდე ვერ ჩავაგდეთ, ბოლო წუთებზე ყველაფერი ავანაზღაურეთ. ყველამ შეიტანა წვლილი გამარჯვებაში. იმ სამ წუთში მეც ჩავაგდე სამიანი, საყვარელიძემაც, მგონი, ცინცაძემაც. სანიკიძემ კი ძალიან მნიშვნელოვანი ჯარიმები ჩააგდო, ერთი-ორიც ჩატენა... სირენამდე ოცი წამით ადრე ქულით ვაგებდით და ბურთი ფინელებს ჰქონდათ, როცა ლაშა გამყრელიძემ დაცვაში ბურთი მოპარა მეტოქეს, ცინცაძეს გადააწოდა და „ბუმ" ერთი ქულით დაგვაწინაურა. ფინელებს 16 წამი რჩებოდათ, თუმც კიდევ წავართვით და ვიქტორ სანიკიძემ ორი საჯარიმოთი გამარჯვება მოგვიტანა.

— დრაჟენ ბრაიკოვიჩიც მანდაა, რამეს ხომ არ გასწავლით, არ გეხმარებათ?

— ბრაიკოვიჩი ჩვენს სკამთან ახლოს, ტრიბუნაზე ზის ხოლმე და ძალიან აქტიურია, სულ რაღაცას ყვირის, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავისი დინამოელი შეგირდები არიან მოედანზე. მაგალითად, ფინელებთან სულ ლაშა, ლაშას გაიძახოდა, გამყრელიძეს ასწავლიდა რაღაცეებს.

**ირაკლი პერტაია**



**გიორგი ცინცაძემ (№4), მანუჩარ მარკოიშვილმა და მათიანებმა ფინელებს ბოლო სამნახევარი წუთი 18:0 მოუგეს**

წუხელ გვიან

**საქართველო 67:65 ლატვია**

## რეგულარული ჩემპიონატი

— 2 აპრილი —

**დენვერი 110:100 ჰიუსტონი**
დენვერი: კემბი (20), ენტონი (20)
ჰიუსტონი: მინგი (23), მობლი (17)

**ორლანდო 87:95 ატლანტა**
ორლანდო: ჰოვარდი (33)
*ფაჩულია სათადარიგო იყო*
ატლანტა: სურა (32), ჯეკსონი (21)

**ფილადელფია 75:86 ნიუ იორკი**
ფილადელფია: გრინი (14)
ნიუ იორკი: მარბერი (20)

**კლივლენდი 100:103 გოლდენ სტეიტი**
კლივლენდი: ჯეიმსი (34 ქულა, 10 პასი)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (35)

**ჩიკაგო 83:97 მაიამი**
ჩიკაგო: კარი (20)
მაიამი: ჯონსი (21)

**დალასი 124:103 ფინიქსი**
დალასი: ნოვიცკი (34)
ფინიქსი: მერიონი (23)

— 3 აპრილი —

**პორტლენდი 81:94 ნიუ ორლეანი**
პორტლენდი: რენდოლფი (17)
ნიუ ორლეანი: ბრაუნი (24), მალუა (22)

**ბოსტონი 111:106 გოლდენ სტეიტი**
ბოსტონი: პირსი (32)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (25)

**ინდიანა 84:64 ტორონტო**
ინდიანა: არტესტი (21)
ტორონტო: როუზი (22)

**ნიუ ჯერსი 108:83 ნიუ იორკი**
ნიუ ჯერსი: ჰარისი (24)
ნიუ იორკი: ჰარდევეი (14)

**დეტროიტი 92:88 მაიამი**
დეტროიტი: ბილაფსი (31)
მაიამი: ოდომი (18)

**მინესოტა 91:73 ვაშინგტონი**
მინესოტა: გარნეტი (22)
ვაშინგტონი: სტეკჰაუზი (14)

**მემფისი 109:99 ფინიქსი**
მემფისი: პოუზი (32)
ფინიქსი: სტუდემაიერი (31)

**ჩიკაგო 114:110 კლიპერსი**
ძირითადი დრო 104:104
ჩიკაგო: კარი (27)
კლიპერსი: მეჯიტი (34)

**მილუოკი 107:89 კლივლენდი**
მილუოკი: რედი (23)
კლივლენდი: ბუზერი (26)

**იუტა 81:94 სან ანტონიო**
იუტა: გირიჩეკი (22)
სან ანტონიო: ბრაუნი (19)

**სიეტლი 86:97 ლეიკერსი**
სიეტლი: ალენი (30)
ლეიკერსი: ბრაიანტი (25)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 44 | 31 | 58,7 |
| მაიამი | 38 | 39 | 49,4 |
| ნიუ იორკი | 36 | 41 | 46,8 |
| ბოსტონი | 35 | 42 | 45,5 |
| ფილადელფია | 32 | 45 | 41,6 |
| ვაშინგტონი | 24 | 53 | 31,2 |
| ორლანდო | 19 | 58 | 24,7 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 56 | 21 | 72,7 |
| დეტროიტი | 50 | 27 | 64,9 |
| მილუოკი | 39 | 38 | 50,6 |
| ნიუ ორლეანი | 38 | 38 | 50,0 |
| კლივლენდი | 32 | 44 | 42,1 |
| ტორონტო | 30 | 46 | 39,5 |
| ატლანტა | 25 | 51 | 32,9 |
| ჩიკაგო | 22 | 55 | 28,6 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 53 | 24 | 68,8 |
| სან ანტონიო | 51 | 25 | 67,1 |
| მემფისი | 49 | 26 | 65,3 |
| დალასი | 48 | 28 | 63,2 |
| ჰიუსტონი | 42 | 34 | 55,3 |
| დენვერი | 40 | 37 | 51,9 |
| იუტა | 39 | 37 | 51,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 53 | 23 | 69,7 |
| ლეიკერსი | 53 | 23 | 69,7 |
| პორტლენდი | 39 | 37 | 51,3 |
| გოლდენ სტეიტი | 34 | 42 | 44,7 |
| სიეტლი | 34 | 42 | 44,7 |
| კლიპერსი | 27 | 50 | 35,1 |
| ფინიქსი | 26 | 51 | 33,8 |

*მთავრული შრიფტით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდები*

# ბასკო გადარჩა

## ჩემპიონატს ინტრიგა შერჩა

*უხელფასოდ თამაში ქართული ჩემპიონატის პრეცედენტი კი არა, უკვე კარგა ხნის წინ დამკვიდრებული პრაქტიკაა. სპონსორებშემოცლილი „რუსთავი" ჯერჯერობით უკაპიკოდ თამაშობს, ქუთაისელები საერთოდ არ იღებენ ფულს, სოხუმელთაგან კი ზოგი იღებს გასამრჯელოს, ზოგიც არა. ამათ რიცხვს ბათუმის „ბასკოც" შეუერთდა, თუმც იმ განსხვავებით, რომ ზღვისპირულ გუნდს, დანარჩენი „უხელფასოებისგან" განსხვავებით, საჩემპიონო ამბიცია აქვს*



გურამ [illegible] ფოტო

**მერაბ ემირიძე: „ბასკო" დროებით თბილისში იქნება**

მაშ ასე — დაშლის პირას მისული „ბასკო" კვლავ ითამაშებს ჩემპიონატში. ფედერაციის გამგეობის სხდომამ ბათუმელებს სხვა გუნდებში გადასვლის ნება არ დართო, რითაც მათი ხელმძღვანელობა აიძულა, გუნდი შეენარჩუნებინათ.

ზღვისპირელებიო ვთქვით, მაგრამ „ბასკოს" ამიერიდან ასე ძნელად თუ მოვიხსენიებთ, რაკი ბათუმელები ბინას თბილისში დაიდებენ. აქ ივარჯიშებენ და მეტოქეებსაც ვერის ბაღში უმასპინძლებენ.

„სანამ ბათუმში მდგომარეობა არ გამოსწორდება, თბილისში ვიქნებით, რომელიმე დარბაზს, ან ბაზას შევარჩევთ და იქ ვივარჯიშებთ. ბათუმში დაძაბული პოლიტიკური ვითარებაა და იქ თამაშების მასპინძლობა სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. თან გუნდის შენახვაც თითქმის შეუძლებელია, რადგან დაფინანსება აღარ გვაქვს" — გვითხრა „ბასკოს" პრეზიდენტმა მერაბ ემირიძემ.

შეგახსენებთ, რომ აჭარაში პოლიტიკური კლიმატის მკვეთრმა ცვლილებამ „ბასკოს" მეურვეებს ხელი აალებინა საკალათბურთო გუნდის შენახვაზე, რითაც საქართველოს სამგზის ჩემპიონსა და მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერს დაშლა დაემუქრა. გუნდიც ფაქტობრივად დაიშალა, „ბასკოს" თბილისელი მოთამაშეები (ძირითადი ბირთვი) რა ხანია, დედაქალაქში დაბრუნდნენ და სხვა კლუბებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. „ბასკოს" ხელმძღვანელობასაც ის უნდოდა, რომ მის უხელფასოდ დარჩენილ კალათბურთელებს სხვა კლუბები გამოენახათ. ფედერაციამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მოთამაშეებს გუნდის გამოცვლა აუკრძალა, რაც, ჩვენი აზრით, სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონატის ინტრიგა პრაქტიკულად ორი გუნდის დავამდე შემცირდებოდა. თან დაშლილ-გაუქმებული „ბასკოც" ღმერთმა იცის, აღდგებოდა თუ არა მომავალში...

ასე კი „ბასკო" თუმც უხელფასოდ, მაგრამ მაინც ითამაშებს, რითაც ჩემპიონატს კიდევ უფრო შეემატება ინტერესი — აქეთ მულტიმილიონერ ბადრი პატარკაციშვილისგან ნალოლიავები „დინამო", იქით ქართული სამომხმარებლო ბაზრის დიდკომპანიების „კოკა-კოლასა" და „ჯეოსელისგან" წელგამართული თსუ და „სტუ-ჯეოსელი". ამათ წინააღმდეგ კი უკაპიკო, თბილისში გადმობარგებული „ბასკო", რომელსაც რეგულარულ ჩემპიონატში ყველა ამ გუნდისთვის უჯობნია.

**ირაკლი პერტაია**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მესამე ეტაპი

**ბაჰრეინში** ტერორისტული აქტების შიში უსაფუძვლო გამოდგა და ახლო აღმოსავლეთის ამ ჯუჯა ქვეყნის პირველი დიდი პრიზი მშვიდად და უფათერაკოდ გათამაშდა.

არადა, რადიკალურად განწყობილთა მოსალოდნელი აგრესიის თავიდან ასაცილებლად სამზადისი ორგანიზატორთა არანაკლებ ყურადღებას იქცევდა, ვიდრე თავად ეტაპის სათანადო დონეზე ჩატარება. საგანგაშო ნიშანი გახდა სპარსეთის ყურეში ბოლო ხანს ფანატიკოს-ისლამისტთა გააქტიურება. მათ ჯერ ამ კუნძულოვანი სასულთანოს ის რესტორანი დაარბიეს, სადაც სპირტიანი სასმელებით ვაჭრობენ, მერე კი აშშ-ის საელჩოს მისდგნენ.

ეტყობა, ესეც იყო მიზეზი, რომ ბაჰრეინელებმა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობას ოციოდე დღის წინ თხოვნით მიმართეს, ტრასა მზად კი გვაქვს, მაგრამ ავტოდრომის კეთილმოწყობას ვერ მოვასწრებთ და იქნებ რბოლა გადავდოთო. ამაზე ჯუჯელებმა ფედერაციის ვიცეპრეზიდენტ ბერნი ეკლსტოუნისგან კატეგორიული უარი მიიღეს და რაღა დარჩენოდათ, ისე დატრიალდნენ, რომ დღე და ღამე გაასწორეს, მშენებლობაზე ათასობით დამხმარე მუშა მირეკეს და ვადაშიც ჩაეტივნენ.

ერთი სიტყვით, ჩქაროსნულ და უფართოეს ტრეკზე, სადაც გასასწრებად უამრავი ადგილია, რბოლაც საინტერესოდ წარიმართა და რაც მთავარია, ექსტრემისტულ გამოხდომებს ადგილი არ ჰქონია.

# წითელმა უდაბნოსაც მოედო

## დაბეჭდილი მბრძანებლები: ნაწილი III

მონაწილეებს უდაბნოდან ქარით მობერილი ქვიშისა და არანორმალური სიცხის პრობლემაც აფიქრებდათ. რბოლისას კი არც ქარი ყოფილა და არც გაუსაძლისი სიცხე. სიგრილის გამო ფერარელთა კონკურენტებს ალბათ ელდა ეცათ, რადგან მათი „მიშლენის" საბურავები, მათივე აზრით, გავარვარებულ ასფალტზე უკეთ მუშაობენ, ვიდრე სკუდერიელთა „ბრიჯსტოუნი". თუმცა, ყურით მოთრეული ეს არგუმენტი არ გამართლდა. შაბათს 51-გრადუსიან ასფალტზე კვალიფიკაციის დროსაც და რბოლისას ღრუბლიანობაშიც, როცა ტემპერატურა 30 გრადუსს (ჩრდილში) არ ასცილებია, მიხაელ შუმახერის და რუბენს ბარიკელოს „წითელმა ეშმაკებმა" კონკურენტებს მორიგი ნოკდაუნი აგემეს. მართალია, ჩემპიონატის ბოლომდე კიდევ ბევრი ეტაპია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ფერარელთა კრეისერს წყალი არ შეუდგება და უილიამს-მაკლარენ-რენოელები ერთამანეთში მეორე ადგილისთვის ბრძოლასლა უნდა დასჯერდნენ.

მეორელიგელთა ამ სამეულს წლეულს ხმაურით შეემატნენ ბარელები. განსაკუთრებით აქტიურობს 24 წლის ჯენსონ ბატონი, რომელმაც სამივე რბოლა ექვსეულში დაასრულა და ზედიზედ მეორე პოდიუმით ცხრილში საპატიო მესამე პოზიციაზე მოკალათდა შუმი-კელოს სუპერტანდემის შემდეგ.

კვალიფიკაცია ამჯერადაც, მიხაელ შუმახერმა მოიგო, თუმც უნდა ითქვას, ხუან-პაბლო მონტოიას „დახმარებით". კოლუმბიელის მანქანა წრის ორივე საკონტროლო მონაკვეთზე ექვსგზის ჩემპიონისაზე სწრაფი იყო, მაგრამ ფინიშის ხაზამდე რამდენიმე ასეული მეტრით ადრე მოსახვევში ზედმეტი სიფრთხილის გამო ხუანმა ნახევარ წამზე მეტი დაკარგა და საბოლოოდ ბარიკელოსაც კი ჩამორჩა.

უკვე აშკარაა „მაკლარენის" კრიზისი. პარასკევს ვარჯიშისას და გუშინ რბოლაშიც ვიცეჩემპიონ კიმი რაიკონენის ბოლიდს ძრავა დაეწვა. ეს მით უფრო სიმპტომატურია, რომ ფინელის „მაკს" რბოლის წინ „მერსედესის" გული შეუცვალეს, მაგრამ ახალსაც იგივე ბედი ეწია — სულ რაღაც 40 კილომეტრის გავლის შემდეგ ცეცხლი წაეკიდა. დევიდ კულჰარდი, რომელიც ერთი კვირის წინ 33 წლის შესრულდა და ბუნებრივია, პოდიუმის თუ არა, ორიოდე ქულის იმედით მაინც იყო, ცუდად არ დაჯირითობდა, მაგრამ ბოლომდე ვერც მან გაძლო.

მონტოიამ მესამემ დაიწყო და დიდხანს ინარჩუნებდა საპოდიუმო პოზიციას, მაგრამ ათიოდე წრით ადრე მის ბედაურს სიჩქარეთა კოლოფი მოეშალა და ძლივს მილასლასდა ფინიშამდე.

არც რალფს გაუმართლა — ტაკუმა სატოსთან ერთ-ერთ მოსახვევში შეჯახების მერე „უილიამსს" ცხვირი შესაცვლელი შეექნა და ქარავანის კუდში აღმოჩნდა. პატარა შუმიმ მაინც იყოჩაღა და ამ დავიდარაბის შემდეგ ორი ქულითაც, კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო.

მიხაელმა და რუბენსმა კი როგორც დაიწყეს რბოლა პირველი რიგიდან, ამჯერადაც ახლოს არავინ გაიკარეს და წლეულს უკვე მეორე დუბლიანი გამარჯვებით ვეებერთელა უპირატესობას მიაღწიეს.

პრიზიორებს პოდიუმზე უალკოჰოლო შამპანურით მოუხდათ წუწაობა — ისლამის მოშიშმა მასპინძლებმა საგანგებოდ დაამზადეს უგრადუსო, მცირედ ქაფიანი სასმელი „ვარდი" ფორთოხლისა და ბროწეულისგან.



REUTERS მანამადან

რალფ შუმახერს (მარცხნივ) ტაკუმა სატოსთვის გზის მოჭრა ლამის გავარდნად დაუჯდა

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ბაჰრეინის დიდი პრიზი**
**4 აპრილი. მანამა**
დისტანცია 57 წრე — 308,523 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | მ.შუმახერი (ფერარი) | 1:28.34,875 (209,0 კმ/სთ) |
| 2 | (2) | ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 1,367 |
| 3 | (6) | ბატონი (B.A.R) | 26,687 |
| 4 | (7) | ტრული (რენო) | 32,214 |
| 5 | (5) | სატო (B.A.R) | 52,460 |
| 6 | (16) | ალონსო (რენო) | 53,156 |
| 7 | (4) | რ.შუმახერი (უილიამსი) | 58,155 |
| 8 | (14) | ვებერი (იაგუარი) | 1 წრით |
| 9 | (8) | პანი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 10 | (9) | და მატა (ტოიოტა) | 1 წრით |
| 11 | (11) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 12 | (13) | მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 13 | (3) | მონტოია (უილიამსი) | 1 წრით |
| 14 | (12) | კლინი (იაგუარი) | 1 წრით |
| 15 | (19) | ჰაიდფელდი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 16 | (15) | პანტანო (ჯორდანი) | 2 წრით |
| 17 | (17) | ბრუნი (მინარდი) | 5 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (10) | კულჰარდი (მაკლარენი) | გაიარა 50 წრე |
| (18) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 45 |
| (20) | რაიკონენი (მაკლარენი) | 7 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**კვალიფიკაცია**
მ.შუმახერი 1.30,139 (216,3 კმ/სთ)

**რბოლაში საუკეთესო წრე**
მ.შუმახერი 1.30,252 (216,1 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | ესპანეთი 9 მაისი | მონაკო 23 მაისი | ევროპა 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | აშშ 20 ივნისი | საფრანგეთი 4 ივლისი | დ.ბრიტანეთი 11 ივლისი | გერმანია 25 ივლისი | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | 30 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | 21 |
| 3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | 15 |
| 4 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | | | | | | | | | | | | | | | | 12 |
| 5 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | 11 |
| 6 ტრული რენო, იტალია | 2 | 4 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | 11 |
| 7 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 5 | – | 2 | | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 8 სატო B.A.R., იაპონია | – | – | 4 | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 9 კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 1 | 3 | – | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 10 მასა ზაუბერი, ბრაზილია | – | 1 | – | | | | | | | | | | | | | | | | 1 |

ვებერი (იაგუარი) — 1 ქულა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 18 | 15 | 18 | | | | | | | | | | | | | | | | 51 |
| 2 რენო | 8 | 6 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | 22 |
| 3 უილიამსი | 9 | 8 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | 19 |
| 4 B.A.R. | 3 | 6 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | 19 |
| 5 მაკლარენი | 1 | 3 | – | | | | | | | | | | | | | | | | 4 |

იაგუარი, ზაუბერი — 1 ქულა


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge